

9 177 2298 1095006

13

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

თარგმნული
ზიგლინოთეკა

პრილი

ფასი 3 ლარი

1134
2023



2023
3 (311)

ნუგზარ ზუგუნაშვილის
დაცული ტერიტორიები

სარჩევი



- პერსონა** 1 ბესო სოლომანაშვილი | არსადაც არ წავა
12 რეზო გეთიაშვილი | სიცოცხლე ხანგრძლივად რომ მოგეჩვენოს
- შეთხზული "მე"** 16 მალხაზ ხარბედია | "მე"-ც და გავედით
27 გივი კიკილაშვილი | მე - გივი კიკილაშვილი
- პოეზია** 32 ნანა აკობიძე
36 ზაალ ჯალაღონია
- პროზა** 40 ზურა ჯიშკარიანი | ფიქრების სიხშირე
- ესე** 42 იტალო კალვინო | "ოდისეას" ოდისეები
იტალიურიდან თარგმნა დარეჯან კიკოლიაშვილმა
46 უისტან ჰიუ ოდენი | უპიროვნო მე
ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან გრძელიძემ

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Ariili"

რედაქტორები
მალხაზ ხარბედია
ლექსო დორეული
შადიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამალლობელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბულაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მაღლაფერიძე,
ზვიად რატიანი, ჯიმშერ რეხვიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გულსუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტაველიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ჭილაძე.

არილი - დასასვენებელი სინამდვილათა

სულხან-საბა

არილი - მზის შუშპი, რამიზა დამდბარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

არილი - თანამედროვე ქართული ლიტერატურის
მარაღი

ხალხური

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge



გამოდის 1993 წლიდან

© ფურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია

ფურნალი გამოდის
საქართველოს კულტურის,
სპორტისა და ახალგაზრდობის
სამინისტროს ფინანსური
მხარდაჭერით



ბესო სოლომანაშვილი

არსადაც არ წავა

96

ამბავი ნუგზარ ზაზანაშვილზე -
ჩუმი პოეტი, რომელიც სულ ხმაურობდა




96

ხომ გყოლიათ ცხოვრებაში ისეთი ადამიანები, რომლებსაც ძალიან იშვიათად ხვდებით, თან მთლად ყმანვილობაში კი არა, სულაც, ზრდასრულ ასაკში გაციანით, მაგრამ შეგრძნება გაქვთ, რომ მთელი ცხოვრება იცნობთ, არა მარტო იცნობთ, უზრალოდ მეგობარია, მეგობრობა ხომ ეგრე ყალიბდება, თან გვიან ასაკში, ერთი სალაპარაკო ენა გაქვთ, უამრავი საერთო მეგობარი და რატომღაც ისე აღმოჩნდა, რომ ფიზიკურად შეზღვდით გვიან, გრძნობ, რომ ერთი ღირებულებებით ცხოვრობთ და ერთნაირად გიყვართ ვისკი.

ასე გავიცანი ნუგზარ ზაზანაშვილი. მწერალთა სახლში იყო რომელიღაცა ლიტერატურული ოფიციალური შეხვედრა. მშვენიერი ალაფურშეტი დაგვხვდა და სოლიდური დელეგაცია. ცოტა ხნით ეტიკეტი და-

ვიცავი და მერე მაგიდასთან მივიპარე, მრავალფეროვანი სასმელი იყო. მე და ნუგზარი შორიდან ვიცნობდით ერთმანეთს და როგორც ზრდილობიან ხალხს სჩვევია, ერთმანეთს გავუღიმეთ, თავი დავუქნიეთ მისალმების ნიშნად და უცებ რალაცნაირი უზერხული ამბავი მოხდა, ორივემ ერთად წავიღეთ ვისკის ბოთლისკენ ხელი. მერე როგორც ხდება - ორივე რომ თმობს ხოლმე. დაგისხამთ-მეთქი, არაო, მოდი, მე გიმასპინძლებო.... უცებ დაწვდა ბოთლს და თვითონ დამისხა. ყინული ჩავიყაროო? არა, ვისკის ყინულს არ ვაკარებ-მეთქი და აიო, გაელიმა, ესე იგი ჩვენი ახლო მეგობრობის პირველი ნაბიჯიც გადაიდგაო, - ვისკიში ყინული როგორ შეიძლებაო. ასე გავიცანი ნუგზარ ზაზანაშვილი ახლოს. ვწრუპავდით და უფს-



მენდით მაღალფარდოვან გამოსვლებს, დროდადრო ჭიქას გამოჩვენდა ხოლმე და ვუნკარუნებდით ერთმანეთს, თან ჩურჩულით ყველაზე რალაც კომენტარებს აკეთებდა ქირქილით. მერე, მოდი რა გავიდეო. იქვე ახლო-მახლო, ლუდის ბარში აღმოვჩნდით. დიდი ხანი მისაუბრა ლიტერატურასა და ბუნებაზე, პოეზიას, ფლორას, ფაუნას და ადამიანის ფილოსოფიას უცნაურად აკავშირებდა.

დაახლოებით ასე:

“რა უნდა დამხვდეს იმ ქვეყნად ისეთი, ეს ივლისის წვიმა არ მომენატროს, ან - თუნდაც ეს გალუმპული ყვავი, ჭადრის ტოტზე რომ ზის და - იმის თავიც აღარა აქვს, დაინახვლოს: “მეტი ვერასდროს”...”

ინტელექტის და ენერჯის ნიაღვარი მოდიოდა, რამე რომ იყოს, ვერც კი გავიხსენებ იმ საუბრის დეტალებს, უბრალოდ ერთი დიდი ტალღა დამეჯახა აზროვნების. რომ დავიშალეთ, თბილად დამადო ხელი მხარზე, კავშირზე იყავიო - ისე მითხრა, მეგობრობის დრო მთლიანად დაარღვია. მივხვდი, სამყარომ ერთი უკეთილშობილესი ადამიანი მაჩუქა, ემოციური, ცოტა ექსპანსიური, ბოდიშით და, რუსებს აქვთ ერთ ასეთი გამოთქმა **Давить интеллектом**, აი, სწორედ ასეთი.

მერე ხშირად ვურთიერთობდით, ხან სოციალური ქსელებით, ხან ტელეფონით და რამდენჯერმე შევხვდით. დამპირდა, ახლა ერთ წიგნს გამოვცემ და უნდა მოგანოდო რამენიარადო, ვერაფრით მოვახერხეთ, მერე იყო პანდემია და ცოტა ხნით სახლში ჩავჯდები, ჯანმრთელობა უნდა გამოვისწორო, თორემ ვეღარ ვილხენ ისე როგორც მინდაო. ეს წიგნი იყო “რუსოფობია - ანუ პოეტური იმპერიალიზმი ლომონოსოვიდან ევტუშენკომდე” - თუმცა ამაზე მერე. მანამდე კი, მისი მხოლოდ ერთი კრებული მქონდა, მექანიკური როიალი, ერთი ჰაიკუსავით ლექსი ჰქონდა პოეტზე:

“ჩიტი ასწრებს განთიადს, მოასწავებს - ვალობს, ვალობს - მკოსანს შუქი ეკულება ახლო...”

პოეტსაც ხომ მკოსანს ვეტყვიო, პოეტიც ხომ ვალობს... ვალობს და ვალობს და ვალობს და ვალობს და ვალობს და ვალობს და ვალობს და ვალობს და ვალობს და”

გადავწყვიტე, უბრალოდ მომეთხრო განსაკუთრებულ ადამიანზე განსაკუთრებული პოეზიით, რომელიც სულ ჩანდა, მაგრამ არასოდეს ხმაურობდა ან პირიქით, არასოდეს ჩანდა, მაგრამ სულ ხმაურობდა.

აადექი და ჩემი კინო-ტელე გამოცდილება გამოვიყენე და დავინყე დოკუმენტური ნოველის, პორტრეტის კეთება, გადავწყვიტე, მის ცხოვრებაში შემოგზაურა და ერთგვარი დოკუმენტური ფილმისთვის ნოველა დამენერა.

ლექსებიც შეგნებულად პირდაპირ წიგნიდან ამოვჭერი, ცხოვრებისა და წიგნის ერთგვარი კოლაჟი რომ გამოსულიყო.

ვფიქრობდი, რა ფორმა მომემდებნა, პოეზიას გავყე, მსოფლმხედველობას, ცხოვრების წესს, თუ პროფესიას, სადაც სერიოზული ჰქონდა, - გიორგი ნახუციანიშვილმა მითხრა: “ფაქტობრივად, მთელ ამიერკავკასიაში გეოპოტანიკის ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი იყო, თავისუფალი შემოქმედი მეცნიერიო. რასაც ნუგზარი ფლობდა, ის იყო ნამდვილი მეცნიერის უნარებით, შემოქმედებით ძიება ჰქონდა სულ”.

ჰოდა, მივხვდი რომ ასე, ან პოეზიას ცალკე, ან ადამიანს ცალკე, ან მეცნიერებას ცალკე ვერ გავყვებოდი, რალაც უნდა მომეფიქრებინა.

კოტე ჯანდიერმა: “დიდი მასშტაბების ადამიანი იყო, მრავალშრიანი ინტელექტითო” - და, აბა, როგორია, ახლა ასე ცალსახად რამეს გავყვე.

ფაქტობრივად ეგზისტენციალური დილემის წინაშე აღმოვჩნდი, ისე კი აქვს ასეთი პოეზია, სულ ეგზისტენციალური დილემებით საესე, ცხოვრებასავეთ ჰყვება ამბებს გლობალურ პრობლემებზე, მიყვება ემოციებს, უცნაური დაკვირვება აქვს ცხოვრებაზე, თითქოს უშინძვენლოს პოეზიად აქცევს და ბოლოს ფილოსოფიაში გადადის... უუჰ, არ მინდოდა ასეთი მაღალფარდოვნება, მაგრამ თუ ნაეკითხავთ, დამეთანხმებით.

თან ისეთ ტრაგიკულს, თითქოს სასწონარკვეთად დე უიმედოს, ისე მსუბუქად ამბობს.

“ლიტონი სიტყვა... რამდენი ლიტონი სიტყვაა, ლიტონი ფრაზა გარშემო...”

მავალითად: “ნეტავ, სულ არ მოვსულიყავი ამ ქვეყნად”.

მაგრამ... შენ მხოლოდ მხოლოდ ჩასახვისას ჩნდები, მანამდე კი არა ხარ, არაფერი ხარ, არაფერიც კი არა ხარ...

მოვსულიყავიო... შენ არ მოდიხარ - ჩნდები და არც მიდიხარ - ქრები, არც მოდიხარ და არც მიდიხარ - ჩნდები წამით და უმალ ქრები...

და რა?

არც არაფერი. უბრალოდ ამ დეკემბრის ღამით ძალიან ღამაში ცაა - უღრუბლო და გამჭვირვალე, ძალიან ღამაში მთვარეა და ვარსკვლავები.”

აბა უბრალოდ სცადეთ და მკრეხელურად სამი სტროფი ამოიღეთ და მიაძინებთ ერთმანეთს, რა გამოვა?

“რამდენი ლიტონი სიტყვაა ლიტონი ფრაზა გარშემო მავალითად ნეტავ სულ არ მოვსულიყავი ამ ქვეყნად...”

....
არც მოდიხარ და არც მიდიხარ



ჩნდები წამით და უმალ ქრები და რა? არც არაფერი უბრალოდ ამ დეკემბრის ღამით ძალიან ღამაში ცაა,-...”

აი, ასე მარტივად ალაგებს სიცოცხლის ამაოებას, შექსპირს რომ “ყოფნა, არ ყოფნა” დაურქმევია. პოდა, დაიწყე ნუგზარ ზაზანაშვილის ცხოვრებაში მოგზაურობა, ხომ გინახავთ ორსონ უელსის “მოქალაქე კეინი”, - მსგავსი გამოძიება დაიწყე, მიწადა, მისი “როუზ ბუტონ” მეპოვა. მითუმეტეს, როგორც მიხასიათებდნენ და როგორც გაეიცანი, ნამდვილად ჩარლს ფოსტერ კეინით ძლიერი და ნიჭიერი კაცი იყო, თუმცა სიყვარულით გაზრდილი.

შვილებს შევხვდი: ნახოს, ქეთის, ირაკლის, უახლოეს მეგობარს - კოტე ჯანდიერს, ნახცოს, ძია გიორგის, მეუღლეს... ყველას, ვისაც მივხვდი.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ 66 წლის წინ ირაკლი ზაზანაშვილის ოჯახში პლატონის ქუჩაზე გაჩნდა ბიჭი ნუგზარ ზაზანაშვილი. “პლატონის” ქუჩა!

მანამდე, იმპერიის დროს, ეს ქუჩა “ვორონცოვის” ქუჩა ყოფილა. ზაზანაშვილებს ორსართულიანი პატარა სახლი დგმათ, “დღემდე ეგეთიაო, - კოტე ჯანდიერმა, - მთელი სტუდენტობა მანდ მაქვს გატარებული”, საბჭოთა პერიოდში პლატონის ქუჩა გადაერქვა და ამით თურმე ტრაბახობდა ნუგზარი.

კოტემ მომიყვა, პირველად აქ ნაიკითხა მიმა ქვლივიძემ ვერ კიდევ დაუბეჭდავი “იუდას მონოლოგი”:

“...ვეღუდით, დუმილმა სული დალალა იწურებოდა დათქმული ვადა. და დაიყვილა ერთხელ მამალმა და ეს ყივილი გასროლას ჰგავდა.

მერე მოვიდა სიო ფრთამალი, დაფლითა შავი ღრუბლების ფარჩა. უკვე მორედ ყივის მამალი, მოლალატე კი არა ჩანს და არ ჩანს!...”

გაოგნებულები ვუსმენდითო, ძალიან კარგი სამეგობრო ჰყოლია ნუგზარის მამას, ძია ირაკლის. პოეტი იყო ერთი ძალიან კარგი, სანდრო მათიამელი, მერე ნუგზარმა წერილიც გამოაქვეყნა “ლიტერატურულ გაზეთში” მის შესახებ - “გამქრალი პოეტი”.

თვითონ ძია ირაკლი, მხატვარი-კერამიკოსი ყოფილა, ულამაზეს დეკორატიულ და გამოყენებით ჭურჭელზე მუშაობდა, რა თქმა უნდა, ძირითადად, ღვინის გარშემო და აი, სწორედ “პლატონის” ქუჩაზე, ირაკლი ზაზანაშვილის სახლში იმართებოდა არაორდინალური ნადიმები.

სანამ ამ ნადიმებზე მოვეყვები, იმას გეტყვით, რომ ნუგზარს სკოლა ჰქონდა დამთავრებული “პლენხანოვზე”. ცნობილი რკინიგზის სკოლა; ალიომა ცინცაძე - ყველასთვის ცნობილი ღირებულო თავის გამონათქვამებით.

სანიშნო მოსწავლე ყოფილა და სიცოცხლის ბოლომდე მეგობრობდა თურმე კლასელებთან. დაადგებოდა თავის კლასელს გვიან ღამით, “კარგი ღვინო აქვს და გაავარძელოთ” საბაბით და იწყებოდა სკოლის პერიოდის გახსენება, ამბები საბჭოთა სკოლის ისტორიებიდან, ხანდახან აბსურდამდე რომ მიდიოდა სწავლის მეოთხედში. მისთვის ეს ბავშუობა, ქალა-

ქი და გარემო, რომელშიც გაიზარდა, იყო ერთგვარი ცხოვრების წესი და ყოფის იდეალური ფორმა, რომლითაც ყოველთვის ამყავდა. ეს იმას არ ნიშნავდა, რომ საბჭოთა პერიოდის ნოსტალგია ჰქონდა, პირიქით, იმ საბჭოთა დროს რაც გადაურჩა სალი, იმის ნოსტალგია. კინოსავით ჰყვებოდა ამ გარემოზე და სურნელზე, განწყობაზე, რაშიც ნუგზარი გაიზარდა.

ნამდვილი პოეტურ კინოა მისი პოეზია, ამონარიდი - “კონვენციური ლექსიდან” - ასევე ჰქვია ზუსტად.

“ჩვენი სახლიდან მუსიკა ისმის - მოწაფეს ეტიუდს ასწავლის დედა, მე კი მაწამებს ეჭვები სიყრმის და სიყმაწვილის მაოდეს ელდა: სიყვარული მჭირს და საველეში ველარასოდეს ჩადგება გული, - ასე მგონია და უხეშობით ვნილობ ვ სინაზეს, ვრძობობას და სურვილს.

აი, პირველი ოდნავლექსებიც, აი, “თბილისში” ვდგავართ, ვაბოლებთ ოცკაპიკიან ლუდს შევექცევით, ათკაპიკიან ხინკალს ვაყოლებთ, ვმსჯელობთ, ვკამათობთ, ვდაობთ და გვეჯერა - თავისუფლება აქვეა, ახლო: ბრწყინვალე დროში შევედივართ ერთად ალექო, ვია, ლევანი, ვახო...”

ნანო მომიყვა: “მამასთვის თბილისელობა და ოჯახური ტრადიცია ძალიან ბევრს ნიშნავდა, ცოტა ნახვაზე ამაზე ტრაბახობდა კიდევ, თავის ქალაქურ წარმომავლობაზე”... ნუგზარისთვის, თბილისი არაკლდე ყოფილა ის ბანალური, საბჭოეთში გაჩენილი კლიმე, რუსულად საზიზღრად რომ ჟღერს, “თბილისი არი ატნაშენია”.

ირაკლიმ მითხრა, ნახვაზე ტრაბახობდა, ხელოვანი ქალაქელები ვართ ზაზანაშვილები და ყველაზე საამაყო და საზრუნავი სიცოცხლის ბოლომდე ეს ჰქონდა, ზაზანაშვილების სახელი და შვილების ღირსეული მომავალი.

წინაპრების საფლავების მოვლა ჰქონია განსაკუთრებული რიტუალი. აღდგომას დაუვლიდა ყველას, გაიხსენებდა, თითქოს ცდილობდა, წარსული უწყვეტად მიეზა მომავლისთვის. იმ ნადიმებზე “პლატონის” ქუჩაზე, მართლაც საოცარი ხალხი იკრიბებოდა, ძია ირაკლის უახლოესი მეგობრები. ერთ ლექსს პირდაპირ უძღვნის ნუგზარი ამ ნადიმებს, პლატონის “ნადიმებს” რომ ჩამოჰგავდა.

მამაჩემის მეგობრების -

პოეტის მიხილ ქვლივიძის, კერამიკოსების თამაზ გამცემიძის და ზურაბ კვიციანიძის, ფსიქიატრის და პოეტის სანდრო მათიამელიის ხსოვნას

“ძია მიშა, ძია სანდრო, ძია ზურა, ძია თამაზ, მესიზმრებით - თქვენთან ერთად სუფრას მუდამ უზის მამაც.

და კოტეც იხსენებს, რომ ეს იყო სწორედ ის კლა-

სიკური ნადიმი, რომელიც იშვიათათლა ჩანს თბილისში, აი, ილიას ხუთშაბათობებს რომ ჩამოჰგავს, ნუგზარი ამ მიძღვნილი წერს იმ ნადიმებზე, რა შეიძლება მოგესმინა ჯერ ზაგვს და მერე უკვე სტუდენტობის პერიოდში.

“მუსაიფობთ, ბჭობთ და დაკობთ

ხან - რაზე და ხანაც - რაზე.

მხატვრობაზე,

ლექსზე,

ომზე,

ამ დაწყებულ ქვეყანაზე -

უმწეოზე,

მშვენიერზე,

კვეტერაზე,

უბისაზე,

გელათზე და იყალთოზე,

წინაპარზე,

მწვრთნელზე,

წერთანაზე,

თიხის მადლზე,

სიტყვის ყადრზე.

სინაღდზე,

კაცობაზე,

სიყვარულზე,

სინანულზე,

წარუვალებზე,

წარმავალზე

და ნელ-ნელა თვრებით - ასე...”

სწორედ იმ ქალაქის ჩამომავალი იყო ნუგზარი და ეს მის ნებისმიერ საქციელში ჩანდა, ფასეულობებში, ღირებულებათა მთელს ხასიათში, რომელსაც, სხვათა შორის, ფართო მკითხველი არ იცნობდა.

ნუგზარისთვის თბილისი იყო ბოლშევიკებამდე-ელი ქალაქი, იმპერიას რომ ჰა და ჰა დაუძვრებოდა ხელიდან. ევროპაში თავისუფლად გადაიოდნენ, სწავლობდნენ, შრომობდნენ და, სხვათა შორის, ძირითადად, ქართველები ქმნიდნენ ცივილურ გარემოს საქართველოში... და მერე მოვიდნენ ბოლშევიკები. ამ პატარა კუბლეტშიც კი მძაფრად ჩანს იმ ნადიმებზე რა დამოკიდებულება ჰქონდათ ბოლშევიკებთან:

“ასე თავისუფლებით და
თავს გრძნობთ სულ სხვა სამშობლოში,
ხოლო გარეთ უცხო ხალხი
აფრიალებს წითელ დროშებს,
აჯილდოებს ჩინ-მედლებით
ერთმანეთს და “ისმის ტაში!”

და სევდა, სევდა ნოსტალგიური, დროში და ყოფაში, როცა გაკლდება ადამიანები და მათთან ერთად განუქმეორებელი სურნელი, რომელსაც ვერ დააბრუნებ.

“ძია თამაზ,
ძია ზურა,
ძია სანდრო,
ძია მიშა,
როგორ ვაუკაცრიელდა
თქვენი ქალაქური ნიშა!...”

და მერე იყო სტუდენტობა, ეს ის დროა, როდესაც ქართველ ბიჭებს და გოგონებს საბჭოთა გარემოდან გასაქცევად რომანტიზმი აქვთ საშველად. გეოლოგების, არქეოლოგების პროფესიებია პოპულარული, გურამ რჩეულიშვილის სილუეტი - ბათინკები, სპორტული აღნაგობა და თავგადასავლები. ცოტას

ყველა წერს. ჩუმად ან ლიად, სადღაც კი არის თავისუფალი სამყარო, ეს 70-იანი წლების შუაში ხდება, ჩუმად უსმენენ ამერიკის სმას, არალეგალურად ჩამოტანილი ვინილის ფირფიტებს, ჯინსების ჩაცმა ჯერ კიდევ აკრძალულია. ნუგზარი სწავლას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ფიზიკური გეოგრაფიის მამართლებზე.

“პირველი, ვინც ყველაზე მეტად გამაღიზიანა, ნუგზარ ზახანაშვილი იყო, საშუალო სიმაღლის, სიმპათიური, მუდამ კარგად ჩაცმული, შოკოლადისფერი კოსტიუმი, თეთრი პერანგი და დადიოდა ესე... ეცვა განსხვავებულად, იყო განსხვავებული, ირონიული - ვერ ავიტანე რო დავიხანაე. სულ ჰქონდა ირონიული ღიმილი, განსაკუთრებით უცნობებთან. ის იმ კატეგორიის იყო, ავტომატურად რომ ლიდერებად იქცევიან. ყველას უნდა მასთან ურთიერთობა და თვითონ არჩევს ვისთან იურთიერთობს. ლიდერები სულ მძაბვენ, მაგრამ ნუგზარს ყველაფერთან ერთად ჰქონდა საოცარი იუმორი... და თან ლინგვისტური, სიტყვებს იგონებდა, ყველა ლექტორის შარადა მოიგონა... იშვიათი ნიჭის პატრონი იყო, რა მომენტში ასწრებდა რალაციის ნაკითხვას, არ ვიცი, ყველაფერი ნაკითხული ჰქონდა... ეტყობოდა, რომ იყო უზომოდ განათლებული და დიდი ინტელექტი”, - ამას ყველა კოტე ჯანდიერი, რომელსაც ტელევიზიაში მივაკითხე, თავის პატარა კაბინეტში. დაკავებული კაცია კოტე, შეიძლება ტელეფონსაც არ უპასუხოს, სოციალური ქსელები არ აქვს და ვერ მისწერს, ძლივს დავიჭირე. რამდენჯერმე დავურეკე და რომ გაიგო, ნუგზარზე უნდა მოეყოლა, უცებ გამონახა დრო - მთხრობელი რომ უმაგრესია კოტე, ყველამ ვიცით, მაგრამ, აი, ემოცია მოჰყვებოდა ისეთი მის მონათხრობს... სევდა ჰქონდა ხმაში, არ უყვარს კოტეს დიდი ემოციების ჩვენება, მაგრამ ეტყობოდა, სულ ბოლოს რომ ვკითხე, რა დაკარგე, ნუგზარი რომ აღარ არი-მეთქი, დიდი პაუზა ჰქონდა, ორი სიტყვით მითხრა - “ნახევარი აღარ ვარო”.

არ ვიცი რატომ, მაგრამ ეს რომ მითხრა კოტემ, ბოლო კრებულის ერთი პატარა ლექსი გამახსენდა, სრულიად შესაძლებელია არაფერ შუაშია, მაგრამ ის ემოცია გამიჩინა, როცა გრძნობ, რომ არყოფნა შორს არ არის და ადამიანები განახევრდებიან შენი არ ყოფნით.

“როცა არყოფნა შორს აღარ არი -
გულს უკეთ ესმის ძველი ზღაპარი,
ძველი იგავი და ძველი მითი...”

და გული ხვდება -
შებნდებისას
რად
გალობს
ჩიტი...”

ამ განახევრების გრძნობას კი ტოვებენ განსაკუთრებული ადამიანები.

ისეთ სპეციალობაზე სწავლობდნენ, მუდამ პრაქტიკებზე ყოფნა უწევდათ და, რა თქმა უნდა, ყველაფერი მთავრდებოდა ლუდით. პირველივე ასეთი შეხვედრა ლუდით დამთავრდა, მაგდენი არც მანამდე და არც მერე არ დამიღვივია - კოტემ - და, საერთოდ, პროფესიონალური სმა ნუგზარმა გვასწავლა.

იმ დროს ახალი გამოსული ყოფილა ოთარ ჭილაძის პირველი პოეტური კრებული “გულის მეორე მხა-



რე. ეს ის დროა, ოთარ ჭილაძის მხოლოდ ერთი რო-
მანია გამოცემული ჯერ - "გზაზე ერთი კაცი მიდიო-
და" (1973).

პირველ მე პირველი, რაც გაცნობისას შევატყვე
სუგზარს, ის იყო, რომ საქმიოდ პირდაპირ გამოთ-
ქვამდა თავის აზრებს, თითქმის უხეშობამდე პირდა-
პირ, გახსნილად და ვერდებტივი.

ველა მაგას აღნიშნავდა, მოურიდებლად ამბობ-
და სიპართლესო, საქმიოდ გასაგებად და არაორაზ-
როვნად შეეძლო ეთქვა, რა აზრის იყო შენზე, შენს
კატეგორიულ საქმეებზე, ვინმე მწერალზე.

ის კი არა, ირაკლიმ გაიხსენა, აი, ესე შეეძლო
ჯერ ტელეფონი და თავის ჩვეული საუბრის მანერ-
ით კი გვარინადა და უხეშად მოეკითხა ადამიანი,
ვისი საქციელიც არ მოეწონა, უსამართლობამ შეა-
წინა ან უსინდისობამ, პირდაპირ "ევახებინა" რა ჩა-
დინა და არც თავის მართლებისთვის მოეცმინა: "ნა-
უფლის ამის არაკაცო..." და დაეხეთქებინა ყურმილი.

იმ პირველი, პრაქტიკების პირველი ლუდის სმის
დროს, თურმე ზუსტად ასე პირდაპირ გამოუთქვამს
თავისი აზრი - აი, გამოჩნდა პოეტი, რომელმაც და-
ამოწავა გალაკტიონის ეპიგონობის ეპოქაო, დაამ-
თავრა გალაკტიონის მიმბაძველობის გულსამრევი
დრო. გახსნა ახალი ჰორიზონტი. შევეკამათო კო-
ტეჯი - გალაკტიონს მაინც სხვა მასშტაბები აქვს-
თქო და, არავითარ შემთხვევაში! აი, რითაა ნაკლე-
ბიო - და ნაუკითხავს ლექსი კრებულადან, ზეპირად
იკვდა თურმე, ეს ლექსი არის რადიკალური სიახ-
ლე. რომ გვეგონა, გალაკტიონის იქით აღარაფერი
იყო. მთელი სამყარო გახსნია. ლექსი თავისი სპეცი-
ფიკური ხმით და საუბრის მანერით ნაუკითხავს:

მარინა! მაგრამ როგორ გამიგებ ...

"მარინა! მაგრამ როგორ გაიგებ:
ჩვენს შორის მთელი წელია უკვე.
ქუჩებში ქარი დგას და არიგებს
უწინარე ეფეებს, ზარებს და ბუკებს.
აქ იყო თოვლი და როგორც ვალი
ჩვენს მხრებზე იწავა მთელი სიმძიმით
და მუშუნეულად მიღლიდა თვალებს
თეთრი სათლემის ცივი ციმციმი..."

მისი ცხოვრების მთავარ მარინაზე ცოტა ქვე-
მოთ, მანამდე კი სწორედ ამ პირველი პროფესიული
წილად პლატონის ქუნაზე ნადიმებს.

სტუდენტობის პერიოდში ერთი მოღონება გადა-
დოდა მთორმე, იწყებოდა მეგობრებთან მისვლა,
ტყის საერთო მეგობარს, უკარგეს ადამიანს, ლევან
სტეფანა გადაკიდებია, მაგას დღეი მაგას სტიკენდია
არ დაუბარავს და მივაკითხითო. ლევანის ცხოვრობს
ვაკის საცურაო აუზთან, იქვე ცეკას აუშენებია სახ-
ლი თავის ნომენკლატურული კომუნისტური ბობო-
ლხისთვის. ერთი ჰყოლია ამოჩემებული, ძალიან
ცნობილი, იმ ვენერაციის კომუნისტებს რომ განასა-
ხიერებდა. ერთი შემთხვევა ჰქონდა ჩარჩენილი, ერ-
თხელ ოპერაში ვერ შევსულს მოახსენეს, პლისიციკაია
იყო ჩამოსული და ცეკამ წაიღო ყველა ბილეთიო -
მალაჩის უხეშად მიუჯახუნებია საღაროს ფანჯა-
რა ვტყობა, ეს გაახსენდა და დაუსწია ყვირილი, აჰ-
და თურმე კოტეჯი, - გამომდი გარეთ, რა გინდა შენ
პლისიციკაიაზე ოპერაში, მამამენი რომ ურმით გა-

დაბრუნდა, ბაბუაჩემი რუსთაველზე წიგნებით და-
დიოდაო, - თუმცა არასოდეს სჩვეოდა ქსლაქელო-
ბით ბანალური ტრაბახი, ის ექ დადგა ერთგვარი საპ-
როტესტო პერფორმანსი კომუნისტების წინააღმდეგ.

ამ ამბებს რომ ვისმენდი, გუარამ რჩეულიშვილის
აჯანყებებს მაგონებდა რალა ციმა, ახლა რომ ეძახიან
"რებელეებს", დაუმორჩილებელ ყმაწვილებს.

ნუგზარის დედა, ცისანა დედა, ყოფილა ოპერის
კაპელის დირექტორი, არ არსებობდა, გვეთხოვა, -
აუ, ცისანა დედა, დაუკარით რა და, რა საქმეც არ
უნდა ეკეთებინა, დაანებებდა თავს და როიალს მი-
უჯდებოდაო, უკრავდა და უკრავდა თავდავიწყებით
თურმე. ვისხედით ესე და ვუსმენდით ბედნიერად,
ნუგზარი კი ამაყი და კმაყოფილი იყო იმით, რომ ამ-
ხელა სიამოვნებას ვიღებდით მის ოჯახში.

ისევე დედას

"სტკიოდა გაუსაძლისად სტკიოდა
არ უჩიოდა დიდად
იციოდა რომ მიდიოდა
და
არ მემშინიაო


არც ეტყობოდა შიში

იქნებ იმიტომ რომ ტკივილმა თავი მოაბეზრა
ტკივილმა 37-ში რომ ჩაიხუდა სულში
მამის გაუჩინარებისას
ტკივილმა გუნდის რომ მოაძებინა თავმესაფრად
გუნდს რომ შეასისხლხორცა
გუნდს რომ შეაბერა
გუნდს რომ ელსაც უსმენდა
გუნდს რომ ელსაც ასწავლიდა
ვერდის რექვიემსაც
ორფის *Carmina Burana*-საც

და სულხანიშვილის "ღმერთო, ღმერთო"-საც"
ნუგზარს საოცარი სითბო ჰქონდა დედის, მიუხე-
დავად იმისა, რომ ნუგზარი უკვე შუა ასაკში იყო და
ქალბატონი ცისანა უკვე ღრმად მოხუცი წავიდა, ძა-
ლიან მტკივნეულად განიცავდა დედის წასვლა. დიდი
ხანი, ფაქტობრივად, დემურისაში იყო - ქეთიმ. ქე-
თი ნუგზარის შეილია, ზუსტად ისეთი გულწრფელი,
როგორიც ნუგზარი.

გაგას მრგვალ ბაღთან შევხვდი, გიორგი ნახუც-
რიშვილთან მივდიოდი სტუმრად. დიახ, ის გიორგი
ნახუცრიშვილი, უცნობილესი ბოტანიკოსი, პროფე-
სორი, აკადემიკოსი, ამ დარგის კორიფე საქართვე-
ლოში. გარდა იმისა, რომ გაგა ნახუცრიშვილის მა-
მაა, ნახცოლი, კიდევ ის, რომ, ნუგზარის პირველი
ლექტორი იყო, აი სადაც კოტემ და ნუგზარმა ერ-
თმანეთი გაიცნეს იმ ჯგუფის ხელმძღვანელი უნი-
ვერსიტეტში.

გაგა რომ ძალიან მიყვარს და მისი პოეზია, პირ-
ველად ვიყავი მასთან სტუმრად ახალ ბინაში. აუო,
მეხამუშება რალაცნარად ეს ახალი სახლები, ის მერ-
ჩინაო, ძველებური შუშაბანდებითო და გასასვლელ-
გამოსასვლელებითო. რა თქმა უნდა, გემრიელი პა-
ტარა სუფრა გაიშალა, თუმცა მანამდე ძია გიორგის-
თან ჩამოვჯექი, ჩავრთე ტელეფონში ხმის ჩამწერი,
ისე მავიწყდება, ამდენ ამბებს როგორ დავიმახსოვ-
რებ, გამომჩნება რამე ძვირფასი ამბავი და გავწამ-



დები... კი ბატონო, ჩაინერო, ძია გიორგიმ და დაინყო: "აი, პირდაპირ ეტყობოდა, რომ ყველასგან გამორჩეული იყო, უზომოდ ნიჭიერი და, ამ დროს, ფართო ჰუმანიტარული განათლებით".

ყველა ერთი უცნაური რამე შევტყვევებ ნუგზარის ცხოვრებაში მოგზაურობისას. ვისაც კი შევხვდები, კითხვები არავის დასჭირვებია. იწყებენ ნუგზარზე მოყოლას და არ ჩერდებიან, ჰყვებიან და ჰყვებიან, ჰყვებიან და ჰყვებიან, ისე როგორც თვითონ ნუგზარი ჰყვებოდა ხან, ზოგადად, ცხოვრებაზე, ხან თავის ცხოვრებაზე, მსუბუქად და მარტივად. ესე მარტივად ესაუბრა გაგასაც თავისი ლექსით. ნახცომ მითხრა, პატარა ვიყავი, რომ გავიცანი ყაზბეგის ექსპედიციონი და ვერაფრით იგრძნობდი, რომ უფროსი იყო ასაკით, თუმცა ვერც ზედმეტს გაბედავდიო. აბა, ორი სიტყვით სცადე და დაახასიათე-მეთქი, ვთხოვე გაგას: "გამოირჩეოდა ბუნებრივობით. სადაც არ უნდა ყოფილიყო, როგორც არ უნდა ყოფილიყო, ის იყო, რაც იყო. ვიწრო წრეში დაღვევა უფრო უყვარდა სუფრებზე მეტად. სილაღე, გულწრფელობა, ხშირად "უხეში" პირდაპირობა, რომლის მიღმაც მგრძნობიარე, ადამიანური ადამიანი იყო".

არასდროს მითქვამს "ასეთი დროა" გავა ნახუცრიშვილი

ეჰ, ჩემო გავა,
ვითქვამს თუ არა -
ლექსს მიღმა მუდამ "ასეთი დროა":
იცილება ხალხი, იცილება პაეცა -
ასეთი წავა,
ისეთი მოვა...

თუმცა, რომ მოვა,
გვამცნობს გაზეთი:
იყო ისეთი,
გახდა ასეთი..."

ადამიანებისთვის ის ალბათ იყო ადამიანი, რომელზეც სულ უნდად, რომ ილაპარაკონ, გაისხენონ, რადგან ძალიან დააკლდათ, დააკლდათ უზომოდ.

განახებერა ან სიცარიელე დაუტოვა, ან შიში უსაყრდენობის, ან სიმარტოვე... მიუხედავად ემოციური, ხანდახან რთული ხასიათისა... თუმცა ასეთი ენერჯის და ნიჭის ადამიანები ვერასოდეს ეტყვიან საზღვრებში, რომლებიც ხანდახან სხვების საზღვრებსაც კი ღაზავს.

გიორგი ნახუცრიშვილი გეობოტანიკის კურსს უკითხავდა იმ დროს გეოლოგებს: "სხვა დისციპლინა იყო გეოლოგებისთვის, მაგრამ მაინც შევთავაზებ, ნუგზარს, კოტეს და ზაურ ბიძინაშვილს. იმდენად ნიჭიერები იყვნენ, რომ ჯერ კიდევ სტუდენტები წავიყვანე ბოტანიკის ინსტიტუტში სამუშაოდ. ფაქტობრივად, პროფესიის შეცვლა ვთხოვე და დამთანხმდნენ. ბოტანიკა არ ჰქონდათ გავლილი და პირდაპირ ფიტოცეროლოგია, ანუ მეცნიერება მცენარეთა ციროზების შესახებო, რა არის ტყე, რა არის მდელო საქართველოს მცენარეულის საფუძველზე" - შემეძლო არ დამენერა მთელი ეს ტერმინოლოგია, მაგრამ აღსაქმელად დავეჩერე... მე გამოთქმაც კი მიჭირს ამ სამეცნიერო ტერმინის... მაგრამ აზროვნებისა და შეთავსების მასშტაბებს კარგად აჩვენებს - პოეტური,

დიდი ჰუმანიტარული ინტელექტი და პარალელურად მეცნიერი. შეყვარებული საკუთარ პროფესიაზე...

მაშინ ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი ყოფილა ნიკო კეცხოველი, გიორგი ნახუცრიშვილი მოაღველე და ნარუდგენია კოტე, ნუგზარი და ზაური, რომ სამასხურში აყევანა. კოტე ჰყვება: "ბოტანიკა, რა თქმა უნდა, არ ვიცოდითო, მაგრამ საუბარს ლიტერატურაზე ჩამოვარდა და ნიკო კეცხოველმა, აბა, ეს თუ გაქვთ წაკითხულიო, აბა, ის თუ იცითო, ძალიან გაუტეხს ერთმანეთს და მოეწონათო. ორივე ნიჭიერი, ორივე ლიტერატურული სენტიმენტებით, ორივე ქართლური პირდაპირობით. ძალიან მოსწონდა პაპა ნიკო, ყველაფერი მოსწონდა უპირობოდ, რაც მოსაწონი არ იყო, ისიც. თვითონაც ეგეთი იყო, თავისი ჩამოყალიბებული აზრით, არ ჰქონდა მნიშვნელობა, მოსწონდა ვინმეს თუ არ მოსწონდა... ნუგზარი გახდა დიდი მეცნიერი, მე ვერ გავხდი მეცნიერი, - კოტემ, - იმან მოახერხა, ის კი არა, როცა რუსული საბჭოთა საზღვრები აღარ იყო და უკვე დასავლეთთან დაიწყო საქმიანი კონტაქტები, მოახერხა და ინგლისური ისწავლა, ბოლოს ლექციებს კითხულობდა ინგლისურად სამეცნიერო კონფერენციებზე... და თან ახერხებდა ლექსის წერას..."

ნუგზარს თავიდან დაუნყია მცენარეების კარტოგრაფირების შესწავლა, თან ძალიან ინტენსიურად. ეს ის დროა, ჯერ კიდევ მოსკოვსა და პეტერბურგში აკეთებ შემავამებელ მოხსენებებს და აი, აქ გაისხენა ძია გიორგიმ ძალიან საინტერესო რამ. ალბათ ეს იყო მოტივაცია, რის გამოც ნუგზარმა დანერგა ნიგინი, ზემოთ რომ ვთქვი, ქვემოთ მოგიყვებით მეთქი, ის ნიგინი, - "რუსოფობია - ანუ პოეტური იმიერიალიზმი ლომონოსოვიდან ევტუშენკომდე". როგორც ჩანს, იმ პერიოდშიც არ ეპუებოდა ყოფით დონეზე გამოთქმულ საბჭოთა რუსულ-დერჟავინკულ ნებებს, რაც კარგად გვახსოვს იმათ, ვისაც ცოტა ხნით მაინც უტახტვრია იმ დროს, როგორ ყოფითად ხდებოდა იმ დერჟავინკული იდეების გადმონთხევა ნებისმიერი რუსი ჩინოვიკისგან და როგორ უკვირდათ, როცა არ უთმობდი. მშვენივრად იცოდა, ზოგადად, რუსული ლიტერატურა და ფიქრობდა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიო კულტურაში, მაგრამ ასევე იცოდა, როგორ მულაგანდებოდა რუსული შოვინიზმი გენიოსთა ტექსტებშიც კი... სანამ არგუ მენტები ესმოდათ, თურმე უხსნიდა და როცა აღარ ესმოდათ არგუმენტები, რაც რუსებს ხშირად ახასიათებდათ და ახასიათებთ, მაშინ, როგორც ჩანს, თავის ქართლურ ხასიათსაც ავლენდა. ამ ნიგინით ნუგზარმა, როგორც ნამდვილმა ხელოვანმა და ლირსეულმა ადამიანმა, ყველას უთხრა, რომ "რუსო-ფობია" ზიზღი კი არ არის, ეს არის შიში იმისა, რასაც უკვე 200 წელზე მეტია განვიცდით ქართველები იმპერიისგან. ყოველგვარი ზედმეტი ისტერიის გარეშე, თვით ტიუტჩევიც, ტოლსტოის, ლერმონტოვის, მაიაკოვსკის, ევტუშენკოს, ახმატოვას, ცვეტაევის და სხვების ციტატებით არგუმენტირებულად საუბრობდა ამ დერჟავულ შოვინიზმზე, განსაკუთრებით საქართველოს მიმართ, განსაკუთრებით მაღალი რუსული ლიტერატურის კანცერკლებიდან.

ამ თემებზე უკმეხად ახსნის მიუხედავად, თავისი ინტელექტით აღფრთოვანებულს ტოვებდა რუსებს, რომელთა შორის უამრავი მოაზროვნე იყო - ძია გიორგიმ. ხვედებოდნენ, რა ინტელექტის ადამიანთან



ჰქონდა ურთიერთობა. ყოფილა შემთხვევა, როდესაც აეროპორტში დარჩენილი გამოსვლის უშვებელი ტექსტი, მაგრამ მოხსენება მაინც გაუკეთებია ყოველგვარი წუნის გარეშე, ალბათ სწორედ ასეთი ხასიათის გამო სცემდნენ იქ პატივს.

ამ ისტორიებთან დაკავშირებით გასართობ ამბებს მოყვას კოტე: "ძალიან მშირად მათი ექსპედიციები იყო ყაზბეგში, სადაც სერიოზული სამეცნიერო სამუშაოები ტარდებოდა. ნუგზარს საფუძვლიანად ჰქონია შესწავლილ ყაზბეგის ბუნება. ჰქონდა შემუშავებული მცენარეული რუკა, ეს მისი აღმოჩენილი მეთოდი იყო და განსაკუთრებული ადგილი ეკავა სამეცნიერო წრეებში. იმ დროს ჩამოდიოდნენ საკავშირო მნიშვნელობის მეცნიერები და ასეთ შოვინისტურ დამოკიდებულებას ავლენდნენ ხშირად, მაგრამ ყველა მოთოკა და თავისი ადგილი მოიჭინა, რაც არ უნდა თანამდებობა ჰქონოდა ან სამეცნიერო ხარისხი. ერთმა გავგაზრდას ძალიან, მეც კი ველარ ვიკავებდი თავსო - კოტემ - შევცვამა უმიზნო პრეტენზიებით და სულ ცდილობდა, რომ ეგვრძობინებინა, რომ რალაცით მეტი იყო ჩვენზე, პირდაპირ ეროვნებას უსვამდა ხაზს და ბოლოს მოახერხა და წყობიდან გამოგვიყვანა და პასუხიც მოილო შესაბამისიო. მერე ცდილობდა, რომ დეცვა ზომიერება და ეწილზე რომ გავედით, ფეხი იტკინა და ისევ ჩვენი საშველი ვახდა, ჯერ არავინ ეკარებოდა და ბოლოს ისევ ნუგზარი მიეხმარა, მაგრამ სულ აგრძნობინებდა, სად იყო მისი ადგილიო".

თუმცა ერთი ძალიან სახალისო ისტორია მომხდარა. ყოფილა ვინმე პროფესორი-აკადემიკოსი ვასილიევი, რომელიც ჩამოვიდა და აქ მუშბმუკრული აკვირდებოდა მუშაობას, ერთ საღამოს, რა თქმა უნდა, დღია... დარჩნენ ნუგზარი და ეს აკადემიკოსი მარტო დიდ მიხაღებ თანხში, დანარჩენებს ველარ გაუძლიათ და დასაძინებლად დაშლოლან. ძალიან გვიან ხმაურს გაუღვიძებია ყველა და რას ხედავენ, სასტუმრო ოთახში, მაგიდასთან ზანაშვილი ზის, ეს აკადემიკოსი დადის მაგიდის გარშემო, ნუგზარი იძლევა ბრძანებებს, "ტავარიშჩ ვასილევისკი, შავომ მარშ" - ვასილიევი ხომ იყო და "ვასილევისკი" დაარქვა და ეს "ტავარიშჩ ვასილევისკი" ნუგზარის ბრძანებაზე სასმედლო ნაბიჯით გარშემო უღლიდა მაგიდას. "ტავარიშჩ ვასილევისკი, ვოლნა!", - აკადემიკოსი დაჯდებოდა, დაუსხამდა ნუგზარი, ის დალევდა, ისევ - "ტავარიშჩ ვასილევისკი, შავომ მარშ" - და ისიც წამოშტებოდა და დადიოდა თურმე მაგიდის გარშემო.

მერე ჩამოვიდა გიორგი ნახუცრიშვილი - გაიგო, განყრა და, - მთარიდეთ ეს ზანაშვილსო. ყველა ეს საქმიანი და დამლელი დღე, მთაში, ყაზბეგში, რა თქმა უნდა, ბოლოს მოლხენით მთავრდებოდა, მაგრამ დილას ნაბახუსევზე გაიღვიძებდა, იყო მკაცრი და ჰქონდა აკვიატებული ფრაზა, "რო მოვკედე, საქმე არ უნდა გააკეთოთ?".

"სხვადა შორის, ვაორება ჰქონდა ირაკონალურ პოტიკასა და რაციონალურ პროფესიას შორის, ძალიან ძნელია, რომ შეათავსო, თან არა უბრალოდ მეცნიერი, არამედ თან კარგი მეწვეერიც უნდა იყო. დიდი რესურსების კაცო იყო, შემოქმედება, მეცნიერება, მენეჯმენტი, მოლხენას ყოველთვის დიდი ადგილი ეკავა - ეს ერთგვარი რელაქსი იყო, ძალიან ძნელი ამის გარეშე ეცხოვრა, ერთგვარი დასვენება იყო მისთვისო" - კოტემ.

ის კი არა, საბჭოთა კავშირი რომ დაიშალა და შემოვიდა საერთაშორისო ორგანიზაციები, "ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი" (WWF), ნუგზარი ამ ფონდის კავკასიის ოფისის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და კონსერვაციის პროგრამის დირექტორი გახდა, უცნობილესი ეკოლოგი. ძალიან საპასუხისმგებლო საქმე იყო, მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით. საქმეში ყოფილა მკაცრი, საშინლად ვერ იტანდა უპასუხისმგებლობასა და არაპროფესიონალიზმს, - ირაკლიმ მომიყვა, შვილმა, ერთხელ ძალიან დავიძაბე, თანამშრომელი, რომელიც გაუთავებლად ზანამცობდა და ვერ მუშაობდა, საშინელ დღეში ჩააგდო, - თუმცა მერე უთქვამს, არ ვაგუშვებ, უსამსახუროდ ცოდოაო. ძალიან ერიდებოდათ მისი და ყველას ეხმარებოდა, ფინანსურად, საქმით. ნიჭიერებს ძალიან ხელს უწყობდა კარიერის აწყობაში.

ისიც ყოფილა, დასახმარებლად საკუთარი ფული გაუგზავნია თანამშრომლისთვის, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა, გვარიანი თანხა, თან მიუყოლებია, ცოტა მოკეკლი, ვისკი ვიყიდე, შენი ჯანმრთელობისა ხომ უნდა დავლიოთ.

მაშინ უკვე ძალიან დაძაბული იყო სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობა და ნუგზარი და WWF იყო ადგილი, სადაც სომხები და აზერბაიჯანელები მეგობრობდნენ, ერთს უთქვამს, ნუგზარს ვერ ვაკადრებთ კონფლიქტსო.

...და, რა თქმა უნდა, ოჯახი.

ქეთის შეხვედრა კავშირში, თითქმის ერთ დროს მივედით, ადრე ერთადერთხელ მყავდა ნანახი, საბას დაჯილდოების შემდეგ ვახშამი იმართება ხოლმე და იქ იყვნენ ნუგზარის მაგივრად, ნაზო და ქეთი, აი, ზუსტად ისე უშუალოდ შემხვდა, როგორც მაშინ ნუგზარი შეხვდა, გაცნობასა. მაშინ შეხვედრისას ვერ ვუთხარი, ღიმილით ჰგავდა ძალიან მამას, ღიმილით და თავისუფალი სიცილით.

ერთხელ ერლომ ახვლედიანმა მითხრა: ადამიანი ორი რამით იცნობა, ღიმილით და ხმის ტემპრით, ორივეში ყველაზე მეტად ჩანს გულწრფელობაო... გულწრფელობა, აი, ის სიტყვა, რაც ყველაზე მეტად ახასიათებდა ნუგზარს, იმიტომ ჰქონდა ასეთი მიზიდულობა, გულწრფელობის გამო.

შოდა, ქეთის აქვს ასეთი გულწრფელობა და ასე თავისუფლად და ემოციურად მომიყვა ნუგზარზე, ძალიან დიდი ხანი ვიცხოვრეთ ცალკე-ცალკე და საკმაოდ გვიან დაეუმეგობრდი მამასო, მაგრამ თავიდანვე მივხვდი, რომ რალაც სხვაინა მამასთან მქონდა საქმეო.

90-იანების ეპოქა, სიცივე, შიმშილი, ომი - გადარჩენის ზღვარზე დგას ხალხი. ცოტა ხნით, მეუღლის, მარინა ნინიძის თხოვნით, მოსკოვში გააჩიდა ოჯახი. მაგრამ ვერ გაძლო, უფრო სწორად, ვერ დატოვა იმ სამყაროში და მალევე დააბრუნა უკან, ალბათ ქეთისთვის და ირაკლისთვის ეს "მალევე" არც ისე პატარა დრო იყო.

როგორ თავისებდა კონსერვატიულ ქართულ მამობას და ასეთ ლიბერალურ ხედვებს, ძალიან მიკვირსო, იბუზღუნებდა და მერე იტყოდა, კარგი, როგორც გინდაო. სერიოზული განათლების მიღებაში დამეხმარება და უცვებ მოცეკვავე გაჩნდა, თავიდან იბუზღუნა - "ამისთვის ისწავლე ამდენი" - და მერე კონკურსი მოვიგე და ამაყობდა, უხაროდა - ელიმება საუბრისას ქეთის და ვატიკობ, შეუმჩნეველად ცრემლს ინმენდა.

“გაბრაზებულია კიდევ უზომოდ, მაგრამ მერე, უცებ ხედებოდა, რომ თავისუფლება არის მთავარი... ძალიან განიცდიდა ჩვენს პირად ცხოვრებას. იქით ირაკლიზე ნერვიულობდა, ჩემს ძმაზე, როგორც ყველა ქართველი მამა, ისიც განსაკუთრებულად აქცევდა ყურადღებას ვაჟის ყოფილ. განსაკუთრებით ბოლო წლებში ძალიან დამეგობრდნენ... ნანოზე ზრუნავდა და სულ ეგონა, რაღაცას აკლებდა... და ის, რაც ყველაზე მეტად მახსენდება, საოცარი იუმორი, სიტყვები იგონებდა, ყველას სახელებს არქმევდა, გართმავდა ისე, რომ მთელი დღე ვხალისობდით.

ნელ-ნელა მივხვდი, რა მასშტაბის მამა მყავდა, გვიან გავიგე, რომ თურმე ლექსებს წერდა და არა ისე, ვასართობად და წერებოდა პოეტური ახირებით... აღმოვაჩინე, რომ უსერიოზულესი პოეტია”.

და მერე იყო ის უწყვეტი თხრობა მამაზე, რაც, როგორც ხეშოთ ვთქვი, ყველას შევაძინა, კითხვები არ იყო საჭირო, ჰყვებოდა და ჰყვებოდა.

ნანოს “საბას” ვახშამზე გავიცანი და მერე აღარ შევხვედრივარ, მამაზე მინდა-მეთქი ვისაუბროთ და სიხარული დაეტყო, გაციებული იყო და ორღან შევხვდით. უზომო ზრუნვა და ნერვიულობა შვილზე, მის ყოფაზე, მომავალზე და უსამელო სითბო, - “სულ ლელავდა ჩემს ყოფით პრობლემებზე, სულ უნდოდა, რომ მყარად ვყოფილიყავი. ჩემს შვილზე ზრუნავდა, მე კი მყავდა დიდი მეგობარი და დიდი საყრდენი. ახლა, მისი წახვლის მერე, კიდევ უფრო ვგრძნობ, და ვგრძნობ იმას, რამდენად კვალი დაუტოვებია ადამიანებში, სულ სხვანაირად გადავიფარე მისი პიროვნება, ბევრ წინააღმდეგობებს უყრდა თავს ხასიათში, რამდენად იყო პრაგმატული და რაციონალური, იმდენად იყო მგრძობიარე და ემოციური... პირველი მიმხვდარა, თუ რამე მიჭირდა, თან ჩვენ ხომ ერთ ოჯახად არ გვიცხოვრია, აი, ვერც წარმოვიდგენდი, თუ ასე უხილავად შეეძლო ადამიანს ეგრძნო პრობლემა და ძალიან ფაქიზად დამეგობოდა გვერდით, თან ეს მატერიალური თანადგომა სულაც არ ყოფილა... თუმცა მატერიალური თანადგომა ჩვეულებრივ წესად ჰქონდა. უნიკალური ურთიერთობა ჰქონდა შვილიშვილთან, ტასოსთან. ძალიან ანებივრებდა, ვლელავდა კიდევ, რომ ნამეტანი მატერიალური დამოკიდებულება არ ჰქონოდა ნუგზართან, თუმცა ერთხელ ვკითხე ტასოს, შენთვის რას ნიშნავს საინტერესო ადამიანი-მეთქი და ბაბუო, ძალიან საინტერესო რაღაცებს ჰყვება და საინტერესოდ. ჩემთვის ეს დიდი აღმოჩენა იყო და გამიხარდა... ჰელიუმის ბუშტი მაქვს ძალიან ჩარჩენილი, ბავშვობისას ხშირად დავსერივრბოდი ერთად და ეს სილუეტი სულ მახსოვს, მერე ტასოს რომ დაეარსებდა, ამ სილუეტს მახსენებდა: ნუგზარი, ბავშვი და ჰელიუმის ბურთი. რომ გამოვიდა პირველი კრებული, ძალიან ამაყი ვიყავი, ძალიან. თინეიჯერი ვიყავი და ბევრს ნიშნავდა ჩემთვის პოეტი მამა. მისი ოთახი მახსოვს და ენერგეტიკა, წიგნების თაროები, საწერი მაგიდა. მამა იმ ოთახით ჩანდა, ვინ იყო... მის მაგიდაზე სულ იდო ლიტერატურული გაზეთი, “არილი” სულ იდო, სულ ყოველთვის კითხულობდა ახლებს... პროცესი? არასოდეს მინახავს, როგორ მუშაობდა, მაგრამ მამას ლექსებში სულ ვგრძნობდი სევდას, რაღაცნაირს, მოუხელთებელს... სიკვდილზე სულ ფიქრობდა, მე არ ვიცი ადამიანი, ვინც ასე მომზადებული შეხვდა სიკვდილს... მხო-

ლოდ ჩვენზე, სამივე შვილზე ზრუნვა და ფიქრი ჰქონდა ბოლოს”.

“თუკი გკითხავთ ვინმე ჩემზე, რომ უყვარდყო ყველაზე მეტად? - ასე უპასუხებთ: სასმელზე და დროსტარებაზე, წიგნის კითხვასა და ლექსის წერაზე მეტად უყვარდა საღამოობით ქალაქების პარკებში მარტო ჩამოჯდომა, სივარეტის ვაბოლება და სახეების თვალიერება, - იქ, სადაც ვერავინ ცნობდა, ზოგა - მიხრა-მოხრითაც კი - ის კი თითქოსდა ცნობდა ყველას, თქო...”.

ბიჭისთვის მამა სხვაა, - ხომ არსებობს ასეთი აზრი. ირაკლის, რომელიც ძალიან პატარა წავიდა მოსკოვში და ჩამოვიდა 11 წლის, აბსოლუტურად უცხო გარემოში, ცოტა ვასჭირვებია, ძალიან ძნელი აღმოჩენილა შეგუება თბილისურ გარემოსთან. “ახლა ვხვდები, როგორ ფრთხილად მოახერხა, რომ შევეგუებოდი ამ ყველაფერს, შეიძლება, ცოტა დამამაგვრებდაც გრძნობდა თავს, რომ ამდენი ხანი უიმისოდ ვიყავი, მაგრამ სადაც მივდიოდით, ყველგან უდიდესი პატივისცემით ეპყრობოდნენ და გულში სულ ვამაყობდი, ერთადერთი რჩევა ჰქონდა - ფულისთვის და მდგომარეობისთვის ადამიანებისთვის არ მეტყინა გული და არ მომეტყუებინა, პატიოსნება, პატიოსნება ჰქონდა ერთადერთი თხოვნა... თავიდან ცოტა გამიჭირდა, მის ახირებას - მოლენებას და მძას შევეგუებოდი, ბოლოს მე და მამა ძალიან დამეგობრდით, უკვე ძალიან ლიად ვესაუბრებოდი ერთმანეთს - ერთხელ მითხრა, ძალიან მძიმე ვარ, ჰო, ვის უნდა ჩემი ლექსები, რა გამიკეთებია... ვერაფერს ვიტყვებთ შვილებს და მასაც ვერ მივცეცი, რისი ღირსიც იყო, ალბათ ერთადერთი ქალი იყო, ვინც გამიძლებდა და ვერ დავეუფასეო... ცვადა, გადარწმუნება, მაგრამ ხელი ჩაიქნია, - მე ხომ ვიციო... და მისი ოთახი, წიგნები წინ, წიგნები მარცხნივ, წიგნები მარჯვნივ, წიგნები უკან”.

და ის მთავარი მარინა, მართლაც კინოსავით იყო მათი ურთიერთობა, ალბათ ოთარ ჭილაძის ლექსიც იმიტომ იყო ასეთი მნიშვნელოვანი.

ეს იმ ლექსის ფინალური სტრიქონებია:

“...მე კიდევ მთვლიდნენ ოჯახის წევრად, მე კი ქუჩებში ვემგები საშველს. და თოვლს მიჰყავდა ყინვის ალკირით ჩვენი ქუჩები, როგორც ცხენები. მარინა! შენი ძებნით დაღლილი ეწვებოდი თოვლში და ვისხენებდი. მარინა! მაგრამ როგორ გაიგებ: ჩვენს შორის მთელი წელა უკვე. ქუჩებში ქარი დგას და არიგებს უჩინარ ეფვენებს, ზარებს და ბუკებს”.

იყო 4 მეგობარი: ალექო ჩავლიშვილი, დათო ჩორგოლიანი, ლევან ნინიძე და ნუგზარ ზახანაშვილი. თბილისი. “პლენაროვი” ყველა თავისი მეგობრულ-კაცურ-ბიჭური ტრადიციით, ერთს სკოლა, ერ-



თი კლასი და ლევანის და, - მარინა, როგორც თვითონ ჰყვება, გატუტუტებული, თამამი, განებობიერებული, როგორც მაშინ ეძახდნენ "ბელარუსკა", ანუ ქალი, რომელმაც არ იცის საოჯახო საქმეების კეთება, მითუმეტეს რომ, ფორტიპიანოზე უკრავდა და არაფერს აკარებდნენ. ბებოს საყვარელი შვილიშვილი, თუმცა ბებო ვერ ერეოდა, მეგობრები სულ ჭკუას ასწავლიდნენ - იქ არ ნახვიდე, ეს არ გააკეთო, მაგრამ, ვინ აჩუმებდა და აჩერებდა? - ძმის მეგობარი ნუგზარი, - რით? არაფრით, - მხოლოდ საუბარი, - "თი ესე ვიჯექი და ხმაჩავარდნილი, თვალეზადედებული ვუსმენდი". ერთხელაც მარინამ მიატოვა ფორტიპიანოზე სწავლა და გამოაცხადა, რომ აბარებს მისაღებ გამოცდებს ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტზე. ვინ თუ არა ძმის მეგობარი შეუმონებდა ცოდნას, ნუგზარმა თავისი ირონიული ტონით "აბა, ერთი, ვნახოთ, რა იცი?" - და ჩაჭრა, - "სამიანს მიიღებ" - მართლაც, სამიანი მიიღო. 16-17 წლის ასაკში ცოტა შეიცვალა, ქალობა დაეტყო, უფრო გოგობა, თორემ მანამდე ფეხბურთი, ჰოკეი, ფიგურული სრიალი, ყველაფერი გამოიარა, კრივიც - და აი, ცოტათი რომ შეიცვალა, კი შეხედეს ერთმანეთს რალაცნაირად ნუგზარმა და მარინამ, მაგრამ, უუჰ, მაშინ სხვა დროა - მეგობრის და, ძმის მეგობარი? - არ შეიძლება ურთიერთობა, ძაალიან სირცხვილი იყო. ისე მზდა, გოგო გათხოვდა და მალე გამოშრდა. ბჭმა ცოლი მოიყვანა და ისიც დაშორდა.

ქალბატონ მარინა ნინიძეს ვესტუმრე ყიფშიძეზე, სადაც ნუგზარმა თავისი ცხოვრების უდიდესი დრო გაატარა, აქ იყო მისი სამუშაო ოთახი. აქ შექმნა ოჯახი, სადაც იზრდებოდა მისი ორი შვილი: ქეთი და ირაკლი და ხშირი სტუმარი იყო ნანოც - პირველი შვილი პირველი ქორწინებიდან. მაგიდაზე ელაგა საადა სადილი და ერთი ბოთლი ღვინო, ნუგზარი ამის გარეშე არ შეგხვდებოდა - მითხრა.

ერთი ბოთლი ღვინო კომუნიკაციისთვის ყოველთვის სჭირდებოდაო - მანამდე იხსენებდა კოტე.

მოკლედ, აქაც ზუსტად ისე და ალბათ ყველასთან შედარებით უფრო მეტად, კითხვები არ იყო საჭირო, ჰყვებოდა და ჰყვებოდა, ჰყვებოდა ემოციით, აღფრთოვანებით, სევდით, სინანულით, ხშირად იციონოდა და ხშირად ტირიდა, პერიოდულად ხმა უწყებოდა... და ცრემლიანი თვალეზი გამუდმებდა.

"ისე მოხდა, რომ მე გამოვრების მერე ერთ ოთახიანი ბინა დამითმო ბებიამ, სტრესს ასე ადვილად ვაუქმლავდებო, და ერთხელაც ჩემი ძმის მეგობრები მოვიდნენ, "ვნახოთ, ერთი, ეს მარინა სად ცხოვრობს, რას აკეთებს მარტო?" - ამას ზუსტად ნუგზარის მანერით ამბობს და ვხვდები, რომ ნუგზარის ნათქვამი იქნებოდა - "25 იანვარი იყო, ახალი წელი, ვაგზალე სუფრა, დაიწყო ქეთი, გავედი სამზარეულოში და უტეც მესმის ნუგზარის ხმა, - ლევან, რაღაც უნდა გითხრა... ბიჭო, შენი და მომწონსო, ლევანი დაიძაბა - არა, ხო იცი, ბიჭო, ეგ ხო ცოტა გიყთა, უნდა მოვაშაადოთ - და მე? რა დროს მომზადება! - იმ მომენტადანვე იფეთქა... ძალიან მიყვარდა ნუგზარი და..."

და დაინყო დიდი სიყვარულის ისტორია, ეს არ იყო ბანალური-ტკბილ-რომანტიკული ურთიერთობა, ეს იყო ნამდვილი სიყვარული. "ვერაფრით ვიტანდი მისთვის საყვედურის თქმას... არასოდეს არ გამოხატავდა ლიად გრძნობებს... მოსკოვში წასვლა მე

მოვიდნო, არ მეგონა, რომ დამთანხმდებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ იქ კომფორტულად ვიყავით, მალე ვიგრძენი ამ მოსკოვის მძიმე ხასიათი და რომ მითხრა, მორჩა, წავედი, ავიბარგეთო, წამოვედი... ფენომენალური ენერჯის კაცი იყო, ვერაფრით ვხვდებოდი, როგორ ასწრებდა ამდენს. ძალიან განიცადა სამოქალაქო ომი, ყველაზე მწარე წლები იყო და ალბათ ამიტომაც უფრო ადვილად დამთო და გავვიშვა მოსკოვში. ძალიან განიცდიდა ამ არეულობას, იმ საშინელებას საქართველოში. დროსთან ერთად მივხვდი, რომ ის ძალიან არასტანდარტული ადამიანი იყო და ასევე უნდა მოვტკეულოყავი, ვილაცს შეიძლება ეთქვა - აუ როგორ უძლდე - მე ვისწავლე მასთან ურთიერთობა, ადამიანთან, რომელსაც უნდა გაუფრთხილდე, რადგან ასეთები არიან ცოტა... მორმობდა თავდაუზოგავად, გაუთავებელ მოგზაურობებში იყო და მუდმივი ნერვიულობა სამგზავრო ნივთებზე, რამე არ დარჩენოდა და მე ბევრს ეხალისობდი ამ ნერვიულობაზე, თან სულ მე ვულაგებდი..."

იყო ჩუმი ზრუნვა და ემოციური ცხოვრება. ხან უზომოდ ემოციურიც კი. მერე სინანული, მერე ჯანმრთელობის შერყევა და ბევრი ექიმი, რომლებიც აფრთხილებდნენ და რალაცნაირი ფილოსოფიური სიმშვიდე სიკვდილ-სიცოცხლის აღქმაში.

ეს სიტყვებიც სწორედ იმ დღეების სწორი ინერება, როცა ის ამბავი მოხდა, რაზეც უნდა დავწერო. აღდგომის კვირა ყოფილა, ბრწყინვალე შვიდეული, შაბათს შვილები ესტუმრნენ თურმე, ჰქონდათ ლუდით გართობა, კვირა ძალია თენდება და ჰაერი არ მყოფნისო, ვაღვიძებია.

- მე ძალიან ზუსტად ვიცოდი ხოლმე, ამ დროს რა უნდა მექნა, სამედიცინო განათლებაც მქონდა და დავიწყე შემოწმება, თითქოს არაფერი ისეთი, მაგრამ სასწრაფო გამოვიძახო-მეთქი, ხელი მომკიდა და მითხრა: გ ა მ ი შ ე ი!

მარინა ჩუმდება, ცრემლები ახრჩობს, სიტყვა უწყდება.

ამბობენ, ბრწყინვალე შვიდეული წასულები პირდაპირ სამოთხეში ხვდებიანო.

უყვარდა ფრანგი პოეტები, საერთოდ ფრანგული ლიტერატურა, ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა, "ბევრს ვსწავლობო", - ამბობდა. ალბათ, აპოლინერი, პოლ ვალერი, ჟან ჟუვი... სიმბოლისტებით დანყებული: ბოდლერი, რემბო, ვერლენი...

არ უყვარდა ედგარ პო, განსაკუთრებით პროზა - "გიჟია ეს ედგარ პო... მერე რა რო ვითიკურ მოდაში იყო... მკვდარს კბილები როგორ უნდა ამოაცალო, ნორმალური დაწერს?.. გიჟია რა"- ბუზლუნებდა თავისი მანერით.

უყვარდა რობერტ ლოუელი, შექელო, დილის 6 საათზე მეგობართან დაერეკა და ეთქვა, - რობერტ ლოუელი გარდაცვლილა, ბიჭო, ამო, დავლით და უნდა ასულიყავი და შესანდობარი გეთქვა. ეს რობერტ ლოუელია:

ათი ნუთი

ორადგილიანი საწოლიდან
 შეწარი გამუდმებით ცურდება ქვემოთ.
 რაც უფრო ჯიუტად ვასწორებ,
 მით უფრო ჯიუტად ცურდება



ქვემოთ. აი ასე ვიწყებ წოლას. სხვებს აქვთ მიზანი, ჩემი ვაგონი მიქრის არსაით. ვიცი, ჩემი გზა ჩიხისკენ მიდის. მაინც ვოცნებობ, ჩემმა ტყუილმა სიმართლე მოიხსას.

ყველაფერს კითხულობდა, განსაკუთრებით ახალ-გაზრდებს, არასოდეს არ იკავებდა თავს ქებისგან თუ მოეწონებოდა - "კაი ბიჭია, ხო იცი ეს" - და, რაც მთავარია, ასწრებდა ნაკითხვას, თითქმის ყველა იცოდა, ვინც ახალი იბეჭდებოდა და ძალიან უხაროდა, თუ ნიჭს აღმოაჩენდა... ოტია პაჭკორიას პატარა მოთხრობებზე უთქვამს - ძალიან სერიოზული ავტორია. სიახლეები მოსწონდა ძალიან, მოულოდნელობა. ერთმანეთის პირველი მკითხველები კოტე და ნუგზარი იყვნენ. ოთარ ჭილაძის "ყოველმან ჩემმან მპოვნელმა" ძალიან მოეწონა - "პოეტის დაწერილი პროზა მაინც, იმიტოა ასეთი".

სამაგიეროდ, გიორგი ნახუცრიშვილიმაც, კოტე ჯანდიერმაც, მარინამაც, ირაკლიმაც მითხრეს, ხანდახან დაუნდობელიც კი იყო ადამიანების მიმართ, თუ თვალთმაქცობას შეატყობდა, უნიჭოთა უტიფრობას ვერ იტანდა და სიბრყველს - განსაკუთრებით.

ზეპირად იცოდა ბევრი პოეტი. თვითონ ჩუმიად ბეჭდავდა და ჩუმიად გამოსცემდა, ბოლო ნიგნზე, ირაკლის უთხრა, წამო გამომცემლობაში, რაღაც გამომიცეს, 200 ნიგნი უნდა წამოვიღო საჩუქრად. გაუკვირდა ირაკლის, რატომ არ მითხაროი. ოოჰ, კაი რა, ისეთები წერენ, ისეთები გამოსცემენ, ჩემი რა არისო.

ერთ ინტერვიუში, ელისო მეტრეველთან აქვს ნათქვამი: "ლევან ბრეგვაძეს ჰქონდა თავის ჟურნალში რუბრიკა "რატომ წერ", მერე დაიხურა ეს ჟურნალი, თორემ მინდოდა მიმეწერა, "რატომ წერ" კი არა, "რატომ აქვეყნებ" - ეს არის მთავარი. რატომ წერ, გასაგებია, ჩაჯდა შენში ეს რაღაც და აღარ შეგიძლია, რომ არ წერო. რატომ აქვეყნებ? ზუსტადაც რომ, აქვეყნებ და ეს უმნიშვნელოვანესი შეკითხვაა".

ფილოსოფიით გადადიოდა პოეზიაში, პოეზიიდან ფილოსოფიაში, სარჩევს რომ ჩაუყვებით, შეგხვდებათ: "გოეთედან", "შოპენჰაუერიდან", "ემერსონიდან", "მანდელშტამიდან", "ჰაინრიხ ბიოლიდან", "უმბერტო ეკოდან", "სენეკადან"... "ბულვარზე ჰაიდეგერთან ერთად"

ბულვარზე ჰაიდეგერთან ერთად

"ზეთისხილის ხე
აღვა
ჩინარი
კარგიც წინ არი
ცუდიც წინ არი

ასეა
რადგან კაცი გზაზეა
მუდამ გზაზეა
რადგან ასეა

ასეა რადგან
ასე წერია
და რადგან უკან
არაფერია"

და ამონარიდი ერთი უცნაური ლექსიდან:

"უცნაური გრძნობა მიპყრობს,
როცა გარდაცვლილი მეგობრის
ფეისბუქ-გვერდზე მოვხვდები ხოლმე...
ულოცავენ დაბადების დღეს...
გეგონება, ამ ვირტუალურ სივრცეში
ისევ გრძელდებოდეს მისი არსებობა..."

უცნაური გრძნობა - რაღაც საშუალო
შეცბუნებასა და შეძრწუნებას შორის:
ვხედავ, რომ სიკვდილამდე ორი-სამი
დღით ადრე დაუპოვებია რაღაც"

და ამავე ლექსისი ფინალი, მართლაც, შემადრწუნებლად მსუბუქად ჰყვება სიკვდილზე:

"ეტყობა, უნდა ვაითავისო,
რომ სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა ხარ:
ბავშვობაში ერთი ხარ,
სიყმაწვილეში უკვე სხვა ადამიანი ხარ,
ახალგაზრდობაში კიდევ - სულ სხვა,
შუაწლებში, სიბერის პირზე..."

ასე მგონია, ამის ვათავისებას თუ შევძლებ -
გარდაცვლილთა ფეისბუქ-გვერდებსაც
უფრო მშვიდად აღვიქვამ..."

მაგრამ მე მაინც ვავაუქმებ ჩემს გვერდს
სიკვდილის წინ,
თუ თვე მოვასწარი -
ა ბატონო, დამიბარებია -
გააუქმეთ!..."

ნუგზარის ფეისბუქ გვერდი რომ ნახოთ, ვერაფრით იგრძნობთ, რომ ამ ქვეყნიდან გასულია, მასთან ჩვეულებრივად შედიან ადამიანები: სტუდენტები, მეგობრები, თანამშრომლები, საქმიანი პარტნიორები, შორი და ახლო ნაცნობები და ურთიერთობენ, ესაუბრებიან, დებენ კომენტარებს, პოსტებს.

11 მარტს მისი დაბადების დღე იყო და ულოცავდნენ, მაგალითად, აზერბაიჯანელი კოლეგა ულოცავდა და ბედნიერი იყო, რომ მისი ტექსტების თარგმანი მოახერხა და ახლა გამოვა აზერბაიჯანულ ენაზე.

სტუდენტები წერენ, როგორი ურთიერთობა ჰქონდათ და როგორ მოენატრათ, მკითხველები მის ლექსებს დებენ მისივე გვერდზე და ეს ყველაფერი ანმყოფრობს, ახლა და ამ წუთას...

ელმად ასკეროვი, მისი კოლეგა, წერს, როგორ მიენიჭა მისი სახელი ნაკრძალს. "ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის საშუაის ნაკრძალი. საქართველოს პარლამენტმა მდინარე ივრის მცირე ნაპირზე ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის ახალი ნაკრძალის შექმნის შესახებ კანონი მიიღო. ღირსეული ნაბიჯია ჩემი ძვირფასი მასწავლებლის ხსოვნის უკვდავსაყოფად. არც ჩვენ დაგვიწყებინარ, ოსტატო. ადრე დაე-

ვტოვებ, მაგრამ დიდი გამოცდილება დაგვიტოვებ.

პირველად 2013 წელს შირვანის ეროვნული პარკთან 10 ქურციკი წამოვიყვანეთ საქართველოში, 19 საათი ვატარებდეთ და ღამე ისე, რომ არ გავჩერებულვარ. ახლა იქ ქურციკების რაოდენობამ 250-ს გადააჭარბა. ჩვენს ძალისხმევას უშედეგოდ არ ჩაუვლია”.

საბას ყიურშიში მძიმე ამბების გადატანა მოგვიწია. არ ველოდი. თუმცა თუნდაც იმიტომ ღირდა, რომ ნუგზარ ზაზანაშვილის პოეზიის კრებულის - “ნავა, ნავა, ნავა, ნავა” - აღნიშვნაში ჩემი მცირე წვლილიც არის. ბევრჯერ მოვეყვით, მეც, ყიურის სხვა წევრებმაც და კიდევ ერთხელ მოვეყვით, იმ წელს, 2021 წლის საბაზე, მართლაც, ერთმანეთზე უკეთესი კრებულები შემოვიდა პოეზიაში. პრინციპი გვქონდა, რაც შეიძლება დანერგული მოკლე სიები გაგვეყვითებინა. ვიფიქრეთ, რომ ეს, გარკვეულად, თამასას მაღლა აწევდა, თუმცა ძალიან ძნელი აღმოჩნდა. ამან გამოიწვია კიდევ დაძაბულობა, მაგრამ, ჯანდაბას, მერე ყველაფერი ჩვეულად დამთავრდა, დრო დაჭირდა, მაგრამ მაინც. ბოლო-ბოლო მწერლები გვქვია და ამისი ადამიანური ვალდებულება გვაქვს. ერთადერთი წიგნი, რომელზეც გარჩევა და კამათი არ მოგვსვლია, იყო ნუგზარის კრებული და ერთმანეთს ჩაუფსაფრდით, აბა, ვინ გამოაცხადებდა დაჯილდოებაზე, ვინ გაახარებდა ნუგზარ ზაზანაშვილს. წარმოვიდგინეთ კიდევ, როგორ შეაფასებდა, დაიმორცხებდა, შეიძლება ბოდიშიც კი მოეხადა დანარჩენი მოკლე სიის ავტორებისთვის. განვიხილავდით, როგორი ანეგობალი კრებული იყო, ხან კინოა, ხან პოეზია, რა მსუბუქია და თან რა ღრმა, ჩემთვის იმპრესიონისტებთან ასოციაციას იწვევდა. მოკლედ, უსწრაფესად და ყველაზე ადრე გადაწყდა პოეზიის მთავარი ჯილდოს ბედი, თან გვეამაყება დანარჩენი ნომინანტების სიძლიერეც და წარმოვიდგინეთ ნუგზარი სცენაზე, თავისი ღია, გულწრფელი ღიმილით და ცოტა დარცხვენილი მაღლობით... და უცებ...

ეს ჩემი საყვარელი ლექსიდანაა:

კორნავირუსობის ჟამს
ჰესეს “ტრამალოს მგელი”-დან
რამდენი ხანია არ მიცეკვია...

კარგი მოცეკვავე არასოდეს ვყოფილვარ -
პლასტიკურობა მაკლდა,
მაგრამ მელიოდისა და რიტმს ვგრძნობდი
და სიამოვნებით ვეცეკვებოდი ხოლმე
ნელ ცეკვებს ახალგაზრდა
და არც ისე ახალგაზრდა ქალბატონებს.

როდის ვიცეკვე ბოლოს?
ალარც კი მახსოვს,
ალბათ ასე ოცდახუთი წლის წინ.

მეოთხედი საუკუნეა არ მიცეკვია...

ოთხი კრებული გამოსცა, ერთი ძალიან ადრე და პაუზის შემდეგ სამი: “ცის ლექსები”, “მექანიკური როიალი”, “ნავა, ნავა, ნავა, ნავა” - ზუსტად ვიცი, რომ არსადაც არ ნავა, რადგან ვინც მის კრებულებს აიღებს ხელში, პირდაპირ მის სამყაროში აღმოჩნდე-

ბა, როგორც “ელისი სასწაულების ქვეყანაში”- ნუგზარი ლექსების კრებული არის ხეტილი სამყაროში, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით. ძალიან ეგზოტიკურ უცხო ქალაქში რომ ჩასულხართ და თქვენთვის ყველაფერი უცნობია და უცნაური, სულ აღმოჩენებში რომ ხართ, ადამიანების, განწყობის, ფერის, ხმის, სუნის... უმნიშვნელოდ მნიშვნელოვანი დეტალები და პირიქით მნიშვნელოვნად უმნიშვნელოები... თან ამ დროს, ყველაფერი თითქოს ძალიან ნაცნობია, ვაჰ, გაიცემა, მე რატომ ვერ დავინახე, მე რატომ ვერ ვიგრძენი, ვაჰ, რა მსუბუქია... ხან ვერ-ლობრი, ხან კონვენციური, ხან კლასიკური რითმა, ხან კანონების მთლიანად რღვევა, მარცვლებით და სიტყვებით თამაში, თვითირონიით გაჟღერებული... და თან რა სიმძიმე აქვს პოეტის, რომელმაც იცხოვრა ისე, რომ თავი პოეტი არ ეგონა, უბრალოდ პოეტითი ცხოვრობდა და როგორც ცხოვრობდა, ისე წერდა.

და ბოლოს:

“ნამდვილი პოეზია
“სალფეთქის” ფურცლებზე
და “პაპიროსის” კოლოფებზე
იწერება”

შესაძლოა, ცოტა ქაოსური ამბავია კაცზე, რომელიც თვითონ ქაოსური იყო, არა, ბუნებასავით მოწინავედ ქაოსი, როგორც კოსმოსი. თავის პოეზიაზე კი გეტყვოდათ, თავისი სპეციფიკური მანერით და ხმით, იქნებ ქართლური პირდაპირობით, ცოტა უხეშადაც: “რავი, როგორია, წაიკითხე და ნახავ... მე მარტივი ვარ”.

“მე მარტივი ვარ
ექიმმა
არტერიები ჯერ კიდევ გაგიძლებსო
და მიხარია

მე მარტივი ვარ
ცოტათი დათბა
აყვავდა ატმის ხე
და მიხარია

მე მარტივი ვარ
ჩემმა შვილმა რომელიღაც
კონკურსზე გამიარჯვა
და მიხარია

მე მარტივი ვარ
მოუგო საქართველოს
რავის ნაკრებმა არუსეთისას
და მიხარია

მე მარტივი ვარ
წავიკითხე ვილაცის მშვენიერი ლექსი
და მიხარია

მე მარტივი ვარ
ჩემზე ვილაკამ რაღაც კარგი თქვა
და მიხარია

რემო გეთიაშვილი

სიცოცხლე ხანგრძლივად რომ მოგეჩვენოს



WWF-ის კავკასიის ოფისი, მივლინებები, კონფერენციები, რადიოშიც შევხვდით, ერთხელ - აერობორტშიც... მარტო სივრცეებს თუ ავიღებთ, შეიძლება ჩვენს ურთიერთობას საქმიანიც დაერქვას, მაგრამ ეს "საქმიანი" რა უხერხული სიტყვაა, როცა ნუგზარ ზაზანაშვილზე წერ.

საქმეს, რა თქმა უნდა, არ ვაკნინებ - იმდენი აკეთა, თან ბოლომდე გამოუვიდა, დიდი და დაუჯერებელი იდეები რეალობად აქცია და მემკვიდრეობა დატოვა, ერთ ქვეყანას კი არა, ხუთს ეყო-

ფა... მაგრამ სხვანაირი იყო, გამჭვირვალე, შენც გხსნიდა, ფიქრს განწყებინებდა, რომ რა კარგია, თან რა რთული ამბავია, თან კომიკური, მაგრამ დააკვირდი, ზაფხულია, დრო გადის, დაბლა ვულკანური კლდეა, წინ პრომეთეს კარიკატურული ძეგლი დადგეს და შენ კი არა, ეს ძეგლიც დროებითია, რალაც უმცირეს დროში არსებობს, თუნდაც იმ კლდესთან შედარებით, რის წინაც დადგეს და ამ კლდესაც თავისი დრო აქვს, ჰოდა, ამითა განსაკუთრებული, ამდენი რამ ხდება, ყვე-

ლაფერი ერთად, კარგია, ეს დრო, ეს ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, შენს თავს კი არა, შენში ხდება და რა დროს საქმიანი გამომეტყველება და საჭირობოტო თემებია...

“კარგია მარტო რომ წევხარ აგვისტოში ლამის მდელიოზე და ვარსკვლავებს შესცქერი

კარგია მარტო რომ არ წევხარ აგვისტოში ლამის მდელიოზე და ვარსკვლავებს შესცქერით”.

ასე იყო, რაღაც პირადზე მეტისთვის, ურთიერთობაზე მეტისთვის გინვევდა. ჩემთვის ამას ერთი სახელი დავარქვე: ფილოსოფოსი, ოღონდ მთლად პირდაპირი გაგებითაც არა.

მოკლედ, მე და ნუგზარი მეგობრები ვიყავით. ყველა და ნუგზარი, ვინც იმ ოფისში, იმ მივლინებაში, თუნდაც იმ კონფერენციაზე და ფილოსოფიურად, იმ აეროპორტშიც იყო და თუნდაც იმ რადიოს უსმენდა. ეს დამეგობრება თვითონ გადაწყვიტა და საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იყო იმ აეროპორტში და ვინ უსმენდა რადიოს (“მწვანე ტალღას”).

მეც თვითონ დამიმეგობრდა. ჩემი ჟამიდან ჟამზე დაწერილ-გადაწერილი მოთხრობები მკითხველს კი არა, მეგობრებს და ჩემს თავსაც ვერ მოვანონე, მაგრამ ნუგზარს სადღაც ნაეკითხა და შემხვდა თუ არა, “საქმეზე” გადავიდა - ახალგაზრდა კაცი ხარ, შემოსავალი გჭირდება და ხელშეკრულება გამიფორმა, მაგონი, იმავე დღეს. მისგან წამოსვლის მიერც მგულშემატკივრობდა და დავდიოდი წელგამართული. ზურგს რომ ნუგზარ ზაზანაშვილი გიმაგრებს, რა უნდა გაგიჭირდეს, მთავარია, შენს თავთან იყო მართალი და ესეც რა მარტივია.

ჩემი მასწავლებელიც იყო. ვიტყვოდი, რომ ჩემი თაობის, რადგან სხვისგანაც ბევრჯერ მაქვს ეს მოსმენილი და ზოგჯერ - ყველაზე აღმატებულ ფორმაშიც: “მამასავით”.

მის პოეზიაზე ჯერ იმას ვიტყვი, რომ ხშირად უნდა იკითხო, რადგან უკეთესს გხდის, ზუსტად ისევე, როგორც მასთან ურთიერთობა. და მარტო უკეთესს კი არა, კარგად გხდის - ეს კიდევ სხვა განზომილებაა. ამიტომ, ნურაფერს დაელოდებით, განმარტოვდით და გადაშალეთ.

შეიძლება ზოგს გაეცინოს კიდევ ბევრისთვის საყვარელი პოეტის ჩემგან წარდგენაზე, მაგრამ ისეთიც რამდენია, ვინც ეს ჯერ კიდევ არ იცის: თქვენი მარტოობა ხუთ ნუთში განათდება და მეგობრის პოვნის ძალიან კარგი გრძნობა გაგიჩნდება. მეტიც, მიხვდებით, რომ უყვარხართ და გული გაგიტბებათ, რომ თქვენზე ზრუნავს, ათას რამეზე შეუძლია ლაპარაკი, მნიშვნელოვან ამბებს გიყვებათ, დამაჯერებლად, გულწრფელად და ძალიან საინტერესოდ. კითხვისას მოგჩვენებ-

ბათ, რომ სადღაც საკუთარი ცოდნაც აღმოაჩინეთ, რომ ეს ყველაფერი ისედაც იცოდით, მაგრამ ამას ვერასდროს გაიგებდით, ეს ნიგნი რომ არ გადაგეშლათ. მოკლედ, ყველაფერს თქვენივე გულში და თავში იპოვით:

“კარგია მარტო რომ დგახარ სასტუმროს ნომრის ფანჯარასთან და ლამის შუქით განათებულ უცხო ქალაქს გასცქერი

კარგია მარტო რომ არ დგახარ სასტუმროს ნომრის ფანჯარასთან და ლამის შუქით განათებულ უცხო ქალაქს გასცქერით”.

მეგობრები და მასწავლებლები სხვებიც ნავიდნენ, მაგრამ ნუგზართან დაკავშირებით ცოტა სხვანაირადაა - არ წასულა, თავისი თავი დატოვა, მატერიალიზებული. იმის თქმა მინდა, რომ მისი ნიგნები არაა “არტ-ხელოვნება”, რომელიც შთაბეჭდილების მოხდენას მხატვრული საშუალებებით ცდილობს. არც ამ მიმართულებას ვაკნინებ, პირიქით, პოეზიაში არტისტიზმი უბრალო შთაბეჭდილებას კი არა, აღფრთოვანებასაც იწვევს ხოლმე, მაგრამ წარმოიდგინეთ და გვერდზე გადადეთ მხატვრული ხერხები, ერთ მეტაფორასაც ნუ გამოიყენებთ და დაწერეთ, თქვით, რისი თქმაც გინდოდათ. შავი ფანქრით წითელი ზოლის გავლებასავითაა. გასაგებია, რომ სიტყვებით ეს ადვილად გამოდის, სიტყვები სიზმრებით არიან, ვიზუალური ხელოვნებისგან ამით განსხვავდებიან - არა მარტო უყურებ, მათი ნაწილი ხდები.

ასეც წერენ, როლში შესვლის გარეშე, ნუგზარ ზაზანაშვილის სტილში. თავის თავს წერენ, ყვებიან, არ მსახიობობენ, არავის ასახიერებენ, მით უმეტეს, ისეთს, ვინც კიდევ სხვას ასახიერებს. თითქოს რა მარტივია, საკუთარი თავი უნდა იყო, უნდა გადაწერო.

გაციფრულებასავითაა: “მე ცეკვა არ ვიცი, პლასტიკა არ მივარგა, მაგრამ მაინც ვიცეკვებ, რადგან ახლა საუკეთესო დროა ცეკვისთვის”.

მოკლედ, ყველას ძალიან გაგვიმართლა - “ნავა, ნავა, ნავა, ნავაო” - ყდაზე დავგინერა და არსად წასულა, დარჩა. ნებისმიერ დროს “მოვა, მოვა, მოვა, მოვა” და ზუსტად იმას გელაპარაკებათ, რასაც სიცოცხლეში ლაპარაკობდა. იქით გთვლის პოეტად, ფილოსოფოსად თუ პროფესიონალად. ფასს ადებს შენს ყოფნას, შენს სიტყვებს, შენთვის მოსმენას. ახლობელია, ყველაზე პირდაპირი გაგებით. შენ ხომ კარგად ხდები და ათი კაცი რომ იყოს შენს გარდა, ყველა კარგად ხდება. უკეთესი ხდება მასთან.

მასთან საქმიანი შეხვედრა არ იყო საქმიანი, ადამიანური იყო. მისი ხმა, სიტყვები, ენერგია - ყველაფერი შენს სასარგებლოდ იყო მომართუ-



ლი. საქმეც უკეთესად გამოდიოდა. საქმეს რაც შეეხება, ერთი სფეროთი ნუ შემოვიფარგლებით - მგონი, ამდენი სარგებელი ქვეყნისთვისაც ძალიან ცოტას თუ მოუტანია. დარდით და სიყვარულით აკეთებდა. ხელის ჩაქნევაც იცოდა, ოღონდ საჭირო დროს, სწორი და დროული დასკვნებისთვის, თუნდაც სწორი გეზის ასაღებად.

ზღაპრის გმირივით დადიოდა და დაცულ ტერიტორიებს ქმნიდა, ათეულობით წლის განმავლობაში ამისთვის დადიოდა, მთელს ქვეყანაში, რეგიონში, მსოფლიოში. მსოფლიო გამოახედა საქართველოსკენ და კავკასიისკენ, ბევრი ცოდნა და ფული ჩაადებინა, ძალიან კონკრეტული, ძალიან მნიშვნელოვანი მეექვიდრეობა დატოვა, ქვეყნისთვისაც და მსოფლიოსთვისაც. და მიუხედავად იმისა, რომ ამდენს აკეთებდა, ყველაფერს თითქმის უჩინრად აკეთებდა.

უჩინრადაც წერდა. და ეს ბუნებრივაც უნდა ყოფილიყო - სად ეცალა ამდენ ამბებში თავისი თავისთვისაც ედევნა ან რაში სჭირდებოდა. შეიძლება ამ მიზეზით ჩვენამდეც ოდნავ გვიან მოვიდა, მაგრამ მთავარია, რომ მოვიდა და ამ დაგვიანების გამო ჩვენც არაფერი გვიჭირს.

ერთ-ერთ დაცულ ტერიტორიას გასულ წელს ნუგზარ ზაზანაშვილის სახელი მიენიჭა. პირველი სახელობითი დაცული ტერიტორიაა საქართველოში და ალბათ ესეც ნიშნავს რაღაცას. სამინისტროს ახსნა-განმარტებაც აქვს გამოქვეყნებული: "დაცული ტერიტორიების ქსელის გაფართოებას და განვითარებაში და, ზოგადად, ქვეყნის გარემოს დაცვებში ნუგზარ ზაზანაშვილის მიერ შეტანილი უდიდესი წვლილისთვის".

ბარემ ვიტყვი, რომ კონკრეტულად ამ დაცული ტერიტორიის დაარსების ძირითადი მიზანი საქართველოში რეინტროდუცირებული ქურციკის (*Gazella subgutturosa*) პოპულაციის აღდგენა, დაცვა და შენარჩუნებაა. ეს ამბავიც თვითონ წამოიწყო.

ადამიანებში მიმართლებს. როცა ადამიანებში გიმართლებს, ყველაფერში გიმართლებს - ქალაქში და ქვეყანაში, დროში და ეპოქაში. მე მაინც - განსაკუთრებით. რაღაცა მოსწონდა, რაღაცა არ მოსწონდა, მაგრამ მაინც ისე აკეთებდა, რომ შენს ჭკუაზე გაგველო. მასთან ერთად რომ იყავი, ეს უკვე "საქმე" იყო და მისგან რომ მოდიოდი - ესეც. ახლაც, როცა "წავიდა", ოდესღაც ხომ იყო და ესეც უკვე მაგარია. თან მისი ნიგნება, როცა გინდა, მაშინ გადმოიღებ, ჩამოგიჯდება და ძველებურად გაგიბამს ლაპარაკს. მაგის მოსმენას არაფერი სჯობია:

"კარგია მარტო რომ რჩები შინ

და შეჭყურებ ფერად-ფერადი აფეთქებებით
გაცისკროვნებულ ახალწლის ღამეს

კარგია მარტო რომ არ რჩები შინ

და შეჭყურებ ფერად-ფერადი აფეთქებებით

გაცისკროვნებულ ახალწლის ღამეს
კარგია".

დილის ხუთზე მესამედ გამეღვიძა, ასაკში ასეა, ძლივს იძინებ და დილაზე რამდენჯერმე დგები სხვადასხვა მიზეზით. სამზარეულოში გადის, მაცივარში ნაყინი ეგულება და ვერ უძლებს ცდუნებას, მერე სივარეტს უკიდებს და ღია ფანჯრიდან რეანომობილის გამზარებულ, წყვეტილი სირენა მოისმის - ვილაც კვდება დილის 5-ზეო.

გელაპარაკება. იმაზე, რაც ხდება და იმიტომ, რომ მნიშვნელოვანია. ისეთი ამბებია, ვერაფერს დაამატებ, თვითკმარია, მეტი რაღა. ერთი კონკრეტული ადამიანისთვის კი არა, ზოგადად, ერთი ადამიანისთვის, ერთი ცხოვრებისთვის, ერთი სამყაროსთვის. გაციფრულებული, პირადული, ახლა უკვე თითქმის საყოველთაო, თითქმის მარადიული.

"ვინც აქ თამაშობს - აღარავინ აღარ არი,
ფაფუ!

თან ფოკუს-მოკუს! -

აღარ არი,

მაგრამ მაინც თამაშობს,

ანუ არ არი,

მაგრამ მაინც არი".

ზუსტად ასეა - ყველაფერი "წავა", მაგრამ ისევე ყველაფერი იქნება.

ისიც კარგია, რომ ახლა სამუხის ველზეც ქურციკები დარბიან. ბოლო ქურციკი, იგივე ჯეირანი, საქართველოში სულ რაღაც 50 წლის წინ მოკლეს. ამის მერე ეს სახეობა გაქრა. ყველაფერი ძალიან მარტივად მოხდა: სადღირობიდან დაბრუნებულმა მამამ შვილებს საურბრინო მოუწყო, მერე მეზობლებიც გადმოიპატიჟეს და საქართველოს ველური ბუნების ქელეხზე გვარიანად მოუღხინეს. ამეებზე ნუგზართან ვწერდი, სტატიას "ქართული ბუნების ნეკროლოგი" ერქვა. რაღაც რუბრიკაც იყო - "პანდა-ფართი". ეს "პანდა-ფართი" საშინლად არ მოსწონდა, მითხრა კიდევ, გაიცინა კიდევ, მაგრამ აღარ ჩარეულა, ჩემს ნებაზე მიმიშვა.

ახლა, ამ ყველაფრის შედეგზე რომ ვფიქრობ, სამუხის ველზე დაბრუნებულ ჯეირნებზე, ვხვდები, რომ შედეგობრივად არაფერს ცვლიდა, რუბრიკას მართლაც იმ სფერულურ სახელს დავარქმევდით, თუ რამე უფრო უკეთესს. ნუგზარმა მაშინვე იცოდა, ამიტომ არ მანყენინა და დროც დაზოგა. მარტო იმაზე უნდა ეხარჯა დრო, რაც მნიშვნელოვანი იყო. ტყეებს იცავდა - ხან ენერგეტიკის, ხან ეკონომიკის, ხან რეგიონული განვითარების, მაგრამ, პირველ რიგში, გარემოს დაცვის სამინისტროსგან. წლები შეალია, მაგრამ ბოლომდე არ სჯეროდა ამ საქმის (ყოველ ჯერზე ახალი იმედგაცრუება). ერთხელ მითხრა, რასაც დაცულ ტერიტორიებში შევი-

ტანთ, იმას თუ გადავარჩინთ, დანარჩენს, სამ-
ნუხაროდ, ვერ დავიცავთო. ჰოდა, ბევრის შე-
ტანა მოასწრო.

ჯეირნებიც დაბრუნდნენ და ამისთვისაც ღირ-
და ცხოვრება. მათ სამუხის ველზე 800 000 წელი
გაატარეს. ჯერ კიდევ 100 წლის მათი გავრცე-
ლების არეალი თბილისამდე აღწევდა. მე-20 სა-
უკუნის დასაწყისში იმდენ ჯეირანს მოიპოვებ-
დნენ, რომ თბილისის ბაზრებში საქონლის ხორ-
ცზე მეტი იყიდებოდა... 15-20 წლის წინ მხოლოდ
თეორიებზე ვწერდით, როგორ უნდა დაგვებრუ-
ნებინა ბუნებისთვის. იყო ტრანსლოციების მე-
თოდი, რეინტროდუციების მეთოდი, მარტო
თეორიები და მეთოდები იყო, ბოლომდე არც
გვჯეროდა.

ახლა ეს რეალობაა, სამუხის ველზე ჯეირ-
ნები დაბრუნდნენ. მათ სანახავად ნუგზარ ზა-
ხანაშვილის სახელობის დაცულ ტერიტორიაზე
უნდა წახვიდეთ. ნიგინც გაიყოფით: უცნაური
გრძობა მიპყრობს, როცა გარდაცვლილი მე-
გობრის ფეისბუქ-გვერდზე მოგვხვდები ხოლმეო...
ულოცავენ დაბადების დღეს... გეგონება, ისევ
გრძელდებოდეს მისი არსებობაო.

ახლა დაეფიქრდი, ხომ შეიძლება, მისი გვერ-
დი ისევ აქტიურია. შევედი. ბოლო პოსტი ჯიმ-
შერ რეხვიაშვილს დაუდია, 11 მარტს, ნუგზარ
ისის დაბადების დღეს, მისი "რუსოფობია" გაუ-
ზიარებია - თუ გინდათ ვერაფერი დაგაკლოთ
ფორმით ქართულმა და შინაარსით რუსულმა
პროპაგანდამ, ნაიკთხეთ ნუგზარის ეს ძალიან
კარგი და მნიშვნელოვანი ნიგნო.

ძნელია, ასე იფიქრო, ასე აკეთო, ასე წერო...
მით უმეტეს, როცა საქმე ლიტერატურულ კრი-
ტიკას ეხება. ნუგზარი კი ჩაუჯდა და მთელი "გე-
ნიალური რუსები" "პოეტურ იმპერიალიზმში"
ამხილა, მათი "დერჟავულ-დამყრობლური და
ნაციონალურ-იმპერიალისტური", ანუ ნამდვი-
ლი სახე დაგვანახა, "ლომონოსოვიდან ევტუ-
შენკომდე": "უდიდესი პოეტი, ჩემი აზრით, უდი-
დესი რუსი ლირიკოსი, მაგრამ მეორე მხარე აქვს
ამას. მან ასევე შექმნა რუსეთის იმპერიის და
იმპერიალიზმის სიწმინდის მეტამითი, რუსეთის,
როგორც ღვთის საიდუმლოსი. აქედან დაიწყო
ყველაფერი და დღემდე გრძელდება. ფაქტობ-
რივად, ყველა დიდი რუსი პოეტის შემოქმედე-
ბას აქვს ორი სახე... ორსახოვანი იანუსივითაა:
ერთი - ნამდვილად დიდი პოეტური მხარე და
მეორე - იმპერიალისტური სახე... პრიმიტიული
და უცვლელი - დერჟავული იდეოლოგია თუ
დერჟავულობის კომპლექსი, რომლისგანაც რუ-
სეთი, აგერ უკვე ხუთ საუკუნეზე მეტია, ვერა
და ვერ განიკურნა. ამდენად, რუსეთის კავკასი-
ისადმი და, კერძოდ, საქართველოსადმი "სიყ-
ვარულის" განელების იმედი ახლო მომავალში
არ უნდა გვექონდეს".

იცოდა, რომ საშიში მეზობლის კულტურულ
სივრცეში ყოფნაც საშიშია. და თუ ცოტა ღირე-

ბულიცაა, მით უფრო საშიშია, რადგან უფრო
მეტად ბეტონდება და იღობება ყველაფერი. რომ
ეს საბედისწერო ლტოლვა რუსეთისკენ კიდევ
დიდხანს არ გაგვივლის და ერთხელაც შეიძლე-
ბა ყველაფერი ჩაყლაპოს: "ჩვენ გვაბრალებენ
რუსოფობიას იმ თვალსაზრისით, რომ გვძულს
რუსი ერი. ამ დროს ეს აბსოლუტურად ასე არ
არის. შეიძლება პირიქით ტენდენციაც კი არის.
საქართველოს ბევრ ადვილზე რუსოფობია კი
არა, რუსოფილია სჭირთ".

ბოლოს მისი ლექსი 15 თებერვალს დაუდი-
ათ. ბათუმელი გოგო აქვეყნებს, მეც ვიცნობ:

"ლექსი იმისთვის არ იწერება,
რომ იხსენებდნენ პოეტის სახელს...

ქრებიან:

შუქი,
ლამის პეპლები,
და - არეკილი - მინაზე სახე".

ბერლინი, ბაქო, ნახჭევანი... ისევ სხვები წე-
რენ: საქართველოს დაცული ტერიტორიები UN-
ESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის
სიაში შევიდაო. "განსაკუთრებული ნუგზარის
წვლილი ამ უდიდეს საქმეში, მისი მხარდაჭერა
ნამდვილად განსაკუთრებული იყო, მაღლობა
მას ამისთვის". ქობულეთი, კინტრიში, მტირა-
ლა, კოლხეთი - მსოფლიოს ბუნებრივი მემკვიდ-
რეობის სიაში, როგორი ამბავია... რამდენი რამ
გადარჩა, მსოფლიო მემკვიდრეობა...

ეს "წასვლაც" რა მაგარი რამეა. ესეც ინ-
სტინქტია, ჩვენი და ყველა ცოცხალი ორგანიზ-
მის რეფლექსი, ჩვენი თანდაყოლილი, გენეტი-
კურად დაპროგრამებული ქცევა. ცხოველთა
მიგრაციასავითაა - არავის უსწავლებია, მაგრამ
ზუსტად ვიცით, სად უნდა წავიდეო. მგონი ეს
უფრო მძაფრი ინსტინქტია, ვიდრე თუნდაც თავ-
დაცვა, მესაკუთრეთა თუ თანაარსებობა. რაც
ფეხი ავიდგით, სულ გვიდევართ. გინდა რელი-
გიური და შევხედოთ და გინდა ევოლუციურად -
რაც მცენარეებს ფარფლები გამოუვიდათ, მე-
რე ფესვებიდან მოწყდნენ და გაცურდნენ, მერე
ნაპირზე გამოიორიყნენ და ბოლოს ადამიანება-
დაც იქცნენ, სულ მიდიან. ყველამ კარგად ვი-
ცით, საითაც, მარა მაინც მიდიან, მივდივართ,
ადვილზე ვერ ვჩერდებით. კარგი ჭაჭა მაქვს,
დაძველებული. ნუგზარს უფრო ვისკი უყვარდა.
წავალ და დავისხამ.

რამდენიმე სტრიქონს კიდევ დავტოვებ:
"და ყველაფერი საკვირველია
რაც თავს გადამხდა
დაბადებით დაწყებული


და რაც კიდევ გადამხდება
სიკვდილით დამთავრებული"...

"და, აი, კიდევ რას ვფიქრობ:
სიცოცხლე ხანგრძლივად რომ მოგეჩვენოს,
არაფერი უნდა აკეთო კაცმა".

მალხაზ ხარბედია

“მე”-ც და გავედით

ჩენისში გამომცემლობა “პალიტრა L” გამოსცემს მალხაზ ხარბედიას ახალ წიგნს, “შეთხზული “მე” - მწერალი და ავტობიოგრაფია”. ავტობიოგრაფიული ესე, რომელსაც დღეს გთავაზობთ, ამ წიგნის ერთ-ერთი დასკვნითი თავია.



ჩემს შესახებ ზემოთაც არაერთხელ დავწერე, ხანაც ვიგულისხმე საკუთარი თავი. შედარებით ვრცლად მოვყევი ჩემს აღზრდა-განათლებლაზე, ფასეულობებზე, გატაცებებზე, შეცდომებზე... დასკვნით თავშიც მინდა დავუბრუნდე იმავე თემას, თუმცა შესავლად ისევ რუსოს უნდა მივმართო, არამხოლოდ მისაბაძი გულახდილობის, არამედ დამთხვევების გამოც.

დაბადებას და ბავშვობის რამდენიმე დეტალს რომ თავი დავანებოთ, ასევე რუსოს ეროტიკულ გამოცდილებას, თავისი გაუბედაობითა და მაზოხისტური გადახრებით (ესენი ავტობიოგრაფიული რომანის თემები უფროა), მთავარი, რამაც თავის დროზე რუსოსთან დამაახლოვა, მისი მგრძნობელობა იყო. ფორიაქი და აზროვნების განსაკუთრებული უნარი. მძაფრი ვნებებისა და დაგვიანებული, შენელებული ფიქრის შეხამება, ელვასავით გრძნობები და აზრების გაქვავება ან ამღვრევა. ამ აზრების დალაგებისას კი ტაქიკარდიული შეტევები და არითმია.

2001 წელს, 7 აგვისტოს, დაახლოებით იგივე დამემართა, რაც რუსოს, როცა მის სხეულში რა-

ღაც შეირყა და დიდი ქარიშხალი დაატყდა თავს (იხ. წინისწინა თავი). ჩემი შემთხვევა ჩვეულებრივი ნევროზი იყო ალბათ. მეც მესმოდა ყურში სისხლძარღვებში გაჩენილი ნარმოუდგენელი ტალღების ხმაური, გულის პარკუჭების, თუ ხრტილების (თუ რაცაა) ღრჭიალსაც ვისმენდი დიდი ყურადღებით. სულ ცოტათი ვერთობოდი კიდეც რიტმების მონაცვლეობით, რომელიც წამიერად მაგინყებდა იმ შეუჩერებელ შინაგან ქარიშხალს. წარმოიდგინეთ, 7 აგვისტოს საშინელი სიცხე, გაღებულ ფანჯარაში მაქვს თავი გაყოფილი, თითქოს რაღაც ნერტილს მივშტერებოვარ, მაგრამ გაუაზრებლად ვუყურებ, მაგრამ ვერ ვხედავ. ცვდილობ ღრმად ვისუნთქო, დარწმუნებული, რომ აი ახლა დამენწყება გულის შეტევა, ან უბრალოდ გასკდება ეს გული. ინფარქტი? არა, სპაზმები! სპაზმები? არა, ინფარქტი! აი, ასეთი იყო მაშინდელი ფიქრები.

სასწრაფოც გამოვიძახებთ, მაგრამ ვერ აგნებს მძლოლი. ჩვენს კორპუსს მაშინ ვერავინ აგნებდა, ხევშია, მდინარე ვერეს ნაპირას და ყველანაირი ლოგიკის გარეშე აქვს ნომერი მინიჭებული, ახლაც უჭირთ მოგნება. მე-8 კორპუსია, არადა გვერდით



არც 6 ნომერი წერია სადმე და არც 10 და, რაც მთავარია, ჩვენი მოსახელე ქუჩაც სხვაგანაა, ჩვენს კორპუსთან არაფერი აქვს საერთო, ზემოთ იწყება და ყაზბეგის (პავლოვის) გამზირამდე ვრძელდება. სასწრაფო კი დადის-დასეირნობს დელისსა და ვაკის პარკს შორის, ხოლო მე რაღაც აჭარულის მაგვარ ცეკვას ვცეკვავ ვულისცემას აყოლილი - მხრების თამაში, ხელების ტრიალი, მოკლედ რიტმული კრუნჩხვები, რომლებიც თან მაშინებს, თან მაივინებს. 1 საათში ექიმებიც მოვიდნენ, უკვე დაღლილი ვიყავი ამდენი ცეკვით. რაღაც 2 ნემსი გამიკეთეს, ერთი გლუკოზა იყო, მეორე ალბათ დამანყნარებელი.

ძილას ისევე აჩქარებული გულით და შინაგანი ღრჭიალით გავიდვიძე. მამაჩემი რამდენიმე თვის გარდაცვლილი იყო, დედაჩემი ახალი ნაოპერაციები, მკერდი მოკვეთეს. ხანდახან დამამშვიდებელს სვამდა. მთელი დღე რაღაცნაირად გავუძელი, საღამოს კი ერთი ცალი ტაშუპამი მომცა დედაჩემმა. გამითიმა ნამალმა, დამაძინა, მაგრამ არ მომეწონა ეს მდგომარეობა, ეს გათიშულობა. ამის შემდეგ მხოლოდ რამდენიმეჯერ დავლიე ეს/ასეთი ნამალი, დავლიე ყველაზე გამოუვლად სიტუაციებში. არც მცენარეული რამე მშვეფლად და არც, მითუ-მეტეს, ალკოჰოლი. ერთი სიტყვით, წამლებშიც ვერ ვნახე რაიმე საშველი. მხოლოდ 1-2 კვირის მანძილზე ვსვი რაღაც წითელი პატარა აბები, დღეში ორი ცალი, ბელერგამინი ერქვა, მსუბუქი იყო. მალე მაგასაც დაგვანებ თავი. ისე ვიყავი, ჩემი უბნის ციცაბო აღმართზე ვერ ავდიოდი, ძალიან წელა უნდა მევლო. არადა ცოტა ხნის წინ ავრბოდი აღმართებში. აღმართს დავინახავდი თუ არა, ეგრევე ვუჩქარებდი ფეხს.

დაახლოებით ორ კვირაში ექიმთან წავედი, ნევროპათოლოგთანაც უნდა მივსულიყავი და ფსიქიატრთანაც. ნევროპათოლოგი (თუ ნევროლოგი?) იყო გვარად ვირსალაძე, ელისო ვირსალაძის ბიძაშვილი და დინი ვირსალაძის მამა, თუ არ ვცდები, ან ბიძა. კარზე დინი ვირსალაძის დიდი პოსტერი იქონდა გარკული. მე მგონი, მართლაც მამა იყო. შესანიშნავი ადამიანი აღმოჩნდა, ეგრევე დამამშვიდა, საუბარსაც შევცვეით. ცოტა ხანში მითხრა, ავგრ ამავე სართულზეა ფსიქიატრი და იმასთან მიდი. გამაგზავნა ექიმ გიგინეიშვილთან, მე მგონი, ნეირო-ფსიქიატრია (მოკლედ, ორივე ებილეთის სპეციალისტი იყო, როგორც მახსოვს. მაშინ ბევრს ვენოდი და ხანდახან შეტყევებაც მქონდა ხოლმე, მაგ. სუფრაოსთან, ნასვამზე და სიგარეტით გაჭვარტლულს, მაქვავებდა და მაშემუბნა და ვრჩებოდი ერთი-ორი წუთი ასე გაღიმებული).

ექიმი გიგინეიშვილი ჩემზე უარესი გიჟი აღმოჩნდა. საუბარი რომ დაიწყო, მეც მაშინვე მხრების თამაში დამეწყო, კამათში გამოვიწვიე, ავფორიაქდი. მელაპარაკებოდა სრულიად უადგილო რაღაცებზე - როგორ დაფრინავს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში სამეცნიერო კონფერენციებზე და როგორ შოულობს ორიგინალ CD-ებს. მელომანი

იყო, კლასიკური მუსიკა, ოპერები... შეიძლება უფრო ფართო თვალსაზრისის მსმენელიც იყო (შემდეგ ერთი-ორჯერ კონცერტზეც შემეხვდა, ერთხელ ქუჩაშიც). მე კი მეზარებოდა მუსიკაზე ლაპარაკი, მინდოდა, რაც შეიძლება კონკრეტული პასუხი მიმელო. ვიზიარ, ხელში უზარმაზარი გრავილი მიჭირავს, ჩემი ენცეფალოგრამაა. თან მეც ხომ მელომანი ვარ, მერე რა, რომ კორაქეციონერი ვერ/არ გავხდი. მხოლოდ ერთხელ წამოვიკნავლე მუსიკაზე, ავეყვი ჩემს ჭკუაში, მაგრამ მკაცრად არ შეიმჩნია პაციენტ ხარბედიას ეს მუსიკალური გაქანება და მოკლედ მომიჭრა, სხვა თემაზე გადავიდა ან ისევე ნევროზების და ალკოჰოლიზმის თემას დაუბრუნდა, ზუსტად არ მახსოვს. როგორც კი რამის მოყოლას დავაპირებდი, მაშინვე მანყვეტინებდა, არ ვიცი, ალბათ მაგრძობინებდა ამით, რომ რიგით ფსიქოანალიტიკოსთან არ ვიყავი ნაშრომლილი სეანსზე ჩემი ამბების მოსაყოლად (სხვათა შორის, ფსიქოანალიზის სეანსზე არასდროს ვყოფილვარ, საინტერესო კი იქნებოდა ისე).

ექიმმა გიგინეიშვილმა დამინიშნა რაღაცა ძალიან ძლიერი ნამალი, რომელიც ჯერ მეოთხედებდა უნდა დამეტება და ისე მესება, მერე შუაზე უნდა გამეტება და ბოლოს მთელ-მთელ აბებზე გადავსულიყავი. 64 ლარი ღირდა ეს ნამალი. შევიძინე, გადმოვაგდე მინიდან ერთი აბი, დავტეხე ოთხად და ერთ-ერთი ნატეხი დავლიე. ველი მვეზახს, გაციკროვებხას, მაგრამ, ნურას უკაცრავად, რამდენიმე წუთში ამ პატარა ნატეხმა ისეთი ამბავი დამატება, 7 აგვისტოს შეტევა მონაგონი იყო. მთელი დღე დამტანჯა ამ "ცრუ-ნევროზმა", ამ ჩამნაცვლებელმა ელეთ-მელეთმა, ხელოვნურმა ფორიაქმა და თითიდან გამონვივლმა ბორცვამ. ტომ ვულფის რომანი მახსენდებოდა მთელი დღე, The Electric Kool-Aid Acid Test, ახალი ნაკითხული მქონდა მაშინ. რა თქმა უნდა, მეორე დღესვე უარი ვთქვი ყველანაირ ნამალზე, განსაკუთრებით ასეთ ძლიერ-სამკურნალოებზე და რაღაცენაირ ბრძოლებში გავაჭურე მთელი წელი - შეიძლება ითქვას, გულისცემისა და პალუცინაციების მართვაში, აღმართებზე ასვლისას სისწრაფის კონტროლში, საკუთარ სხეულზე მიყურადებასა და სრულიად უსარგებლო მოვლენებსა და საგნებზე კონცენტრირებაში. 2002 წლის აპრილში, როცა "24 საათში" დავინყე მუშაობა, უკვე გამოცდილი არამსმელი ვიყავი (8 თვე ალკოჰოლის გარეშე, ხუმრობა საქმე არაა?), გრეიპფრუტის წვენთმშუსრელი, ხილთამყრობილი და ბოსტან-მწვანოვლის მიოვლეი. ვითომ ჩემს თავს ვმკურნალობდი, ჯანსაღ არჩევანს ვთავაზობდი, ურეცეპტოდ.

ემკურნალობდი, რა თქმა უნდა, მუსიკითაც, ბევრს ვუსმენდი. იმ დროს audiogalaxy-ს ხანა იყო და ვინერდი და ვინერდი ყველაფერს, რაც გამახსენდებოდა, თბილისში კი CD-ების 2-3 მალაზია მქონდა ამოჩემებული. ერთხელ დიზი გილესპის, სონი სტიტის, სტენ გეტცის და ა.შ. For Musicians Only გამოვაცოლე ხელს. 4 ცნობილი თემაა. ჩავ-

1 ვცდილობ, არ ჩამოვრჩე რუსოს თვლაში და უსარგებლო კონკრეტულებში.
 2 მარიხუანას ბოლო ამოსუნთქვა დაახლ. ერთ წელიწადში იქნება, 2003 წელს.





რთე და პირველივე ცნობილ თემაზე Be-Bop (12:48 წუთი გრძელდება) ისევე იგივე დამეწყო: საშინელი გულისცემა, წუილი, ხრტილთა ღრჭიალი. თან არ მინდა გამორთვა, მაგრამ ტაქტიკარდია სულ უფრო ძლიერდება, ადის და ადის რიტმი. გილესპის სოლოდან მოყოლებული, განსაკუთრებით ავარდა და აიშვა ყველაფერმა. ისევე რაღაცა ცეკვის მაგვარ მოძრაობებს მაიძულებს შინაგანი ქარიშხალი, ცინიკური და ყოვლად გათახსირებული შინაგანი ხმა. მერე ისევე ფანჯარა გამოვალე, ამჯერად გვიანი შემოდგომა იყო, თუ არ ვცდები. ცოტა ცივმა პაერმა და გეტციის სოლომ გამინიავა უაზრო სიმხურვალე და დამიცხრო ის რაღაცა ქარიშხლები.

რუსოს მთელი ცხოვრება ტანჯავდა ეს ხმები, მე კი რამდენიმე თვეში გადავიარა, ცოტა სასმელსაც მივეპარე და ყველაფერს გაორმაგებული ენერგიით ვაკეთებდი. ამ ტემპერამენტთან შრომა-გასწორებას ხანდახან სიზანტე და აზრის შენელება ენაცვლებოდა (ისევე რუსოსავით), მაგრამ ჯერ მაინც შორს ვიყავი ხანგრძლივი და მდორე, ერთი შეხედვით, გამოუვალი კრიზისებისგან. გავა რამდენიმე წელი და 2010 წლიდან 1-2 კვირიანი "გაქცევები" დაიწყება, გათიშვები და გონების დაკონსერვება, ჯერ წელიწადში ორ-სამჯერ, 2017-დან კი გაცილებით ხშირად.

რუსოზე და ნიგენბის კითხვაზე ზემოთაც ვილაპარაკე, მაგრამ რამდენიმე ეპიზოდით კიდევ მინდა შევეგოს ეს თემა. ვიცით, რომ იგი ბავშვობიდან ძალიან ბევრს კითხულობდა, ხშირად მამასთან ერთად, და რომ სწორედ ამ რომანებმა ჩამოუყალიბეს ის მგრძობილობა, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა.

როცა წამოიზარდა, სამუშაოს იგი ნიგენბის კითხვას სწირავდა, კითხვა მის კიდევ ერთ დანაშაულად იქცა, მალე ვნებდა ჩამოყალიბდა და ბოლოს სიგიჟედ ვაფორმდა. კითხულობდა გაბმით, ყველაფერს - მაგიდასთან, ლივინში, სიარულისას, საპირფარეოში, სადაც საათობით რჩებოდა ხანდახან. მას ნიგენბს უმაღლავდნენ, უხევდნენ, უწვავდნენ, სცემდნენ კიდევ ამის გამო. შესაბამისად, დამწვარ და დახეულ ნიგენბს ველარ უბრუნებდა გამქიარებელს და პერანგებით და სხვა ტანსაცმლით იხდიდა საფასურს. დადიოდა ჩვენი რუსო შიშველ-ტიტველი და დაატარებდა ილიის ქვეშ თავის ნიგენბს.

კითხვამ ყველაფერი დაავინწყა, ყველანაირი საქმიანობა და ვალდებულება, ზნეც იცვალა, აღარ ქურდობდა. ეს გატაცება რადიკალურად ცვლიდა მის ცხოვრებას, ახალი ვნება ყველაფერს ავინწყებდა და მხოლოდ საკითხავ სიახლეებზე მიმართავდა მის ყურადღებას. ერთად-ერთი ფიქრი ჰქონდა, რაც შეიძლება მალე დაეცნობოდა, მოეშორებინა ნიგენი, რომელსაც კითხულობდა და ახალი ნიგენი გადაეფურცლა. მისი ეს გატაცება, როგორც თქვეი, არავის მოსწონდა, სულ ისჯებოდა ამის გამო და მალე რუსო პირქუში, უკარება და უთქმელი გახდა, გონებაც აიქვრა. წარმოსახვითი საგნების მიმართ სიყვარულმა და იმ სიმსუბუქემ, რითაც ეს წარმოსახვა ავსებდა მის შინაგან სამყაროს, საბოლოოდ დააშორა ყმანვილი რუსო გარე-

მოსა და რეალობას და სამუდამოდ მარტოსულ, მარტობისკენ მსწრაფველ არსებად აქცია. ასე მიაღწია მან 16 წლის ასაკს, მოუსვენარმა, ყველაფრით უკმაყოფილომ, საკუთარი ხელობის მოძულემ, ახალგაზრდული გასართობების გარეშე დარჩენილმა, არეული სურვილებით თავგზაბნებულმა და უაზრო ოხვრებით და დარდებით დაღლილმა ყმანვილმა, რომელიც არაფერს აღიარებდა თავისი ქიმერების გარდა.

მოგვიანებით, ტურინში, აბატმა დე გუვონმა, შეიძლება ითქვას, ხელახლა ასწავლა მას კითხვა. დაკვირვებული, ნელი ნაკითხვა, ე. წ. Close Reading-ის ერთგვარი ნინამორბედი მეთოდი, როცა კი არ ყლაპავ, შთანთქავ წიგნს, არამედ გამოწვლილივით კითხულობ. თუკი მანამდე ბევრ რამეს ვერ იაზრებდა რუსო კითხვისას, ახლა უკვე აკვირდებოდა გამოთქმებს, სტილს, თხრობის ხერხებს, აზრებს... მოგვიანებით VI თავში რუსო ნაკითხვის თავის ერთ-ერთ მეთოდს აღწერს, როგორითაც არაერთი ნიგენი მეც წამიკითხავს ყმანვილობაში. ეს ერთ-ერთი ყველაზე დამღვლი მეთოდი და, როგორც წესი, მას რომელიმე ახალი თემათა შესწავლის ადრეულ ეტაპზე ვიყენებთ. როცა ახალ ცნებებს და ახალ ცოდნას ეზიარები, ძალაუწებურად არაერთი სხვა ნიგენს გადაშლა გინევს და სანამ მეთე გვერდამდე მიაღწევ, რამდენიმე ნიგენს გადაბულბულვაც შეიძლება მოასწრო.

რუსოს დროს საგამომცემლო საქმე შორს იყო. ჰიპერტექსტუალური ბმებისგან, არც ინტერნეტი არსებობდა და არც ამდენი კომენტარი და სქოლიო მოჰყვებოდა ტექსტებს (თუმცა, ცხადია, იყო გამოწვლილებებიც). ყველა ახალი ცნება ასწინა ვერ იქნებოდა, ასეთი ნაკითხვები დაფიქრებას მოითხოვდა და ხშირად გონების დაბინდვასაც იწვევდა. მეც თავიდან დიდ დროს განდომებდი რთული ტექსტის გაგებას, სწორედ ამ პერიოდში ვისწავლე ნიგენბზე ფანქრით მუშაობა, ყველაფერის მონიშვნა, რაც, ცხადია, იწვევდა კონკრეტული ადგილების დავინწყებასაც. მონიშნავ, ე. ი. შეგიძლია დაივიწყო, საინტერესო ფრაგმენტი სადაღაცა და მახსოვრებული და იმედინად შეგიძლია გააგრძელო კითხვა. ეს მებსიერების გაზარმაცებას იწვევდა და უკვე მის (მებსიერების) გამამთლიანებელ, შემკვრელ უნარებზე კი აღარ იყავი დამოკიდებული, არამედ დაარქივებულზე, რაღაც მონიშნულ ფრაგმენტებზე, მცირე ერთეულზე და არა ერთიან საზრისზე. ასეთი ფრაგმენტულობა მე წლების განმავლობაში მიქმნიდა პრობლემებს გააზრებაში, თუმცა ხშირად ყველაზე კომფორტული ხერხიც იყო, ამის გამო წლების განმავლობაში კარგად ვისწავლე ფრაგმენტებიდან მთელის აება.

რუსო იმასაც წერს, რომ ცოდნის წყურვილი ლამის მანიად იქცა, სიგიჟედ და რომ იგი სულ მუდამ ახალ ცოდნას ესწრაფოდა და დღენიადაგ ბუტბუტებდა თავისთვის, იძეორებდა რაღაცას, არადა გვახსოვს, რომ საზუპიროებს რუსო ცუდად იმახსოვრებდა. მეც, ცხოვრების მანძილზე სულ 3-4 ლექსი თუ ვიცოდი. რა თქმა უნდა, გამორიცხულია, მეგობრების წრეში ან სუფრასთან რაიმე ლექსი წამეკითხა ზუპირად, ასეთი რამ არასდროს მომ-

ხდარა³, ერთი-ორ სკაბრეზულ ლექსს თუ არ ჩავთვლით. უნივერსიტეტის მისაღებ წერით გამოცდაზე 1991 წელს 2 თემამ მოვიდა, “ნიკოლოზ ბარათაშვილის სასიყვარულო პოეზია” და კონსტანტინე გამსახურდიას “დიდოსტატის მარჯვენაზე”, რაღაც ბარათაშვილზე ნამუშევარი მქონდა, მაგრამ არც ერთი ლექსი ზეპირად არ ვიცოდე და მეზობელი გოგოების დახმარებით ჩამოვწერე ყველა ლექსი. დიდხანს მოვუნდი ჩურჩულით შედგენილი ამ ანთოლოგიის ფურცელზე გადატანას. შემდეგ ავდექი და აფორაბეზულმა და სრულიად უიმედომ, მუცლის ბუყბუყის ფონზე, ამ ლექსების ანალიზი დაიწყო. ახლა არ მახსოვს ნაწერის შინაარსი, მახსოვს მხოლოდ წარმოუდგენელი სირცხვილი და მღვრიე თავსლაფი, რომელიც წერისას წურწურით ჩამომდიოდა. ვგრძნობდი, როგორი სასაცილო იყო ჩემი ეს სახელდახელო “ანალიზი”, წერის ყველა კანონის მიღმა გაჩაღებული ბოდეა, რომელიც სულ უფრო მიფუჭებდა ხასიათს და ფინალური აბზაცის დაწერისას, საერთოდაც ცეცხლი წამიკიდა, სირცხვილის კოცონი ამინთო გონებაში. გადაკითხვის ხასიათიც კი არ მქონდა.

ამის შემდეგ წერის მხრივ ბევრი რამე შეიცვალა ჩემთან. ჩავირიცხე 1992 წელს, დავწერე რამდენიმე საკურსო, უკვე 1995 წელს კი გავათვისუფლდი გზაბნეული აბიტურიენტის ტვირთისგან და აღმოვაჩინე, რომ წერა მსიაპოვნებს. ნაკითხვის ვენებას ჯერ ვერ შეედრებოდა, მაგრამ ფაქტი იყო, რომ დიდი დაკვირვებით და შემოვლითი გზებით ვწერდი, თავგადასავლებით, გავურბოდი სიმარტივეს, უფრო სწორად, არ გამომდიოდა დამიჯივად წერა, თუმცა მკაფიო აზრი არასდროს დამიკარგავს. რამდენადაც პოეზიაში მიყვარდა ნისლოვანება, იმდენად არ მიყვარდა ჩემს ნაწერში გაურკვევლობა. წერა ხომ თერაპიასავით იყო ჩემთვის, რაღაცაში გარკვევა, სინათლე. სულ სიტყვებს ვეძებდი, ბევრს ვესწორებდი, ვათითრებდი, ხელახლა ვკითხულობდი. დროს ბევრს ვკარგავდი, მაგრამ დრო არ მადარდებდა. უფრო სწორად, ბევრ დროს კიარ ვხარჯავდი, გაბმულად ვწერდი, ხანგრძლივად, შეუწერებლად, ღამეებს ვათენებდი და საერთოდ არ ვფიქრობდი, რომ ეს უწყვეტი პროცესი არ იყო მთლად კარგი პრაქტიკა, არც გონებისთვის და არც მითუმეტეს ნაწერისთვის. ახლა გაცილებით მცირე მონაკვეთებად ვწერ. გამოირიცხულია, რომ 4-5 საათი გადავაბა წერის პროცესი, მაშინ კი მართლა მათენებოდა.

თანაც აუარება ყავას ვსვამდი იმ პერიოდში (1991-1995) და, შეიძლება თქვას, რაღაცა ინსომნიური ასკეზითი ვიყავი გატაცებული, უძილობაში ვვარჯიშობდი ყოველდღიურად (ყოველღამეთერად) და მიგნიდან ვგრძნობდი საკუთარ ჯანმრთელობას, ვთხრიდი, ვანგრევდი, თავზე ვიშობდი, გრძელი გვირაბი გამყავდა, გამოცდას ვუწყობდი ჩემს თავს. მოლანდებებამდე და მოჩვენებებამდე ნამ-

დვილად არ ავმალლებულვარ, მაგრამ ცოტა კი მაკლდა.

ისე, მცირე ხილვები სულ მქონდა, უმნიშვნელო, მაგრამ საამო ხილვები, ქიშკრები, როგორც რუსო უწოდებს. “ჩემო ტკბილო ქიშკრებო”, ასე უხმობს. იგი ხშირად ასვენებს ამ საწებტარო ქიშკრებს, რომლებიც მისთვის საზოგადოების, ურთიერთობის შემცვლელი აღმოჩნდნენ. იმ 90-იანებში ვისწავლე სიარულიც და სიარულის დროს ნაყოფიერი ფიქრების დალაგებაც. ძალიან ჩქარა დავდიოდი (ახლაც ჩქარა დავდივარ), შესაბამისად, ფიქრებიც (და ჩანაფიქრებიც) ძალზე სწრაფად მიმოქროდნენ და მონაცვლეობდნენ (მაშინ საკმაოდ ბევრი ვიხეტიალე, სანამ 2001 წელს ზემოსენებულმა შემოტევამ არ მაიძულა, რამდენიმე თვით დამეგლო სიარულის ტემპი). ჩემგან განსხვავებით, რუსო მოსიერნე იყო, გაცილებით ნელა დააბიჯებდა. იგი, საერთოდაც, ოთახში ვერ წერდა, მაგიდასთან ვერ ჯდებოდა საწერად, მხოლოდ სიარულისას ალაგებდა აზრებს და ნინადადებდა. IV თავისი აღნიშნავს, რომ სიარული რაღაც ისეთს მალავს, რაც ჩემს აზრებს ამახვილებს და აცოცხლებსო. მისი გონების გასამოძრაებლად სხეულიც მოძრაობაში უნდა ყოფილიყო: სუფთა ჰაერი, ხედები, სიარულისას მოსული მადა, მხნეობა, სითამამე, ეს ყველაფერი კარგ ზემოქმედებას ახდენდა ფიქრებზე, აზრებზე. აქრობდა შიშს, მათ შორის, საზოგადოების, საჯაროობის შიშსაც. რუსო ვერასდროს წერდა და აზროვნებდა დახურულ სივრცეში, მხოლოდ sub dio,⁴ და მოგვიანებით მომზარანის ტყე რუსოს სამუშაო კაბინეტად იქცა. ტყე და ტყის ბილიკები. შეჩერდებოდა თუ არა, მაშინვე ჩერდებოდა აზრიც, აზრი, რომელიც მხოლოდ ფეხებთან ერთად მუშაობდა.

90-იანებში ჩემი მარწმუტები, ძირითადად, ქალაქზე გადიოდა. მათშიც დავდიოდი მეგობრები, მაგრამ ქალაქში სიარული მაინც სხვა ცხოვრების წესი იყო. დავდიოდი ცენტრალურ ქუჩებსა და მის განტოტებებზე (სოლოლაკი, მთაწმინდა, ვერე, ვაკე, მარცხენა ნაპირი - აღმავლებელი, წერეთელი) უფრო ხშირად ღამე დავდიოდი. გარეუბნებშიც არაერთხელ მომინია ბოდიალი (2000-2001-ში გლდანშიც ვიარე, ქუჩაში ღამეებიც ვათენე), მეგობრებთან ერთადაც ვიხეტიალე ბევრი, ერთიორჯერ მაგრად გვეყუეს კიდეც. ბოლო წლებში სოფელში, ტყეშიც ვახერხებ ხანდახან სიარულს, მაშინ კი სოფელი და დასვენება ცოტა ძნელი წარმოსადგენი იყო. იმ წლებში სულ რამდენიმეჯერ მოვახერხე ნასვლა სამეგრელოსა და რაჭაში (ჩემს სოფლებში) და იქაც არც ისე ხშირად მქონდა მართო სიარულის უფუფუნება. რაჭის ტყეში და კარგვა და ბილიკების არევა ახლაც ტკბილად მახსენდება.

მოკლედ, დავდიოდი ქალაქის ქუჩებში და ათასნაირი სულელური აზრი მომდიოდა თავში. მაგ. ასეთი. მოკირწყლულ ქუჩაზე (ვთქვათ, ვარაზის ხე-

³ ნიგნიდან კი ბატონო, არაერთხელ. ერთხელ მე და ჩემმა მეგობარმა, მიხეილ კვიციანმა, იმის ნაცვლად, მეორე დღის გამოცდისთვის კარგად მოვმზადებულიყავით, სმა დავიწყეთ და თან პუშკინის ევგენი ონგენის³ ვკითხულობდით. კარგად მახსოვს, ბოლომდე ჩავკითხეთ.

⁴ ღია ცის ქვეშ (ლათ.)



ში) აღმართის ავლისას ვფიქრობდი იმაზე, თუ რა იყო დაფენილი ამ რიყის ქვების თუ გრანიტის კუბების ქვეშ. ვთქვათ ქვიშა. ქვიშის ქვემოთ რაა? ლორღი. ლორღის ქვეშ? უფრო ქვემოთ? მიწაა. რა ფერის მიწაა? წითელი? ყვითელი? შავი ნამდვილად არ იქნება, შეიძლება სულაც კლდეა. რაღაცა მანქანა რომ ასფალტს ჭრის, ხომ გინახავთ? მიღების ჩანწობისას ან სხვა სამუშაოებისას. ჭრის და ხედავ ფენებს, სხვადასხვა ათწლეულებში დაგებული ასფალტის ფენას. მეტ-ნაკლებად სხვადასხვა შემადგენლობა, განსხვავებული ფერი. შემდეგ კი ხედავ, რომ სულ ქვემოთ ნაყარი მიწაა. დედა-ქანები კი არა, დაყრილი, საიდანღაც მოტანილი მიწაა.

არ მიყვარს ნაყარი მიწა. მამაჩემი სადაც დავეკრძალეთ, 2000 წლის ოქტომბერში, საბურთალოს სასაფლაოზე, იქაც ნაყარი მიწა იყო. თხრიდნენ მესაფლავეები და ვერა და ვერ ჩადიოდნენ ძველზე დაპირამდე, ბებერ ქანებამდე. ხან მავთული ამოდიოდა, ხან რაღაც ბეტონის ნატეხი ან აგური. მეც მინდოდა თხრა, შეუჩერებლად, ნერვების მოშლით, გაგიჟებით. ერთი სული მქონდა, როდის ჩავიდოდი თი ნამდვილ, ძველ მიწის ზედაპირამდე. და ბოლოს, როგორც იქნა, ჩავალწიეთ. იქ იყო გამინებული ბალახის, ფოთლების ნარჩენები, რაღაც ქვები, ხან ფესვები, ტოტები, მოკლედ, თანამედროვე, უხარო და უმიზნო არქეოლოგია და ურბანული კომპოსტი. ამ ყველაფერს რამდენიმე ათეული წლის წინ მიწა დააყარეს, საიდანღაც მოტანილი მიწა. ერთი სიტყვით, მიწის ქვეშ ვიყავით, მაგრამ, ამავე დროს, მიწის ზედაპირზე ვიდექით. ცოტა დაემშვიდობი, ფეხქვეშ რომ მიწა ვიგრძენი, და დავიძახე: გვეყოფა! მაშინ გავიფიქრე, რომ კიარ დავმარხავდით მამაჩემს შემდეგ დღეს, არამედ პირდაპირ მიწის ზედაპირზე დავასვენებდით. ღია ცის ქვეშ. ნაყარი მიწა ხომ არ ითვლება?!

ჩვენს ცხოვრებაშიც ძალიან ბევრია ასეთი ნაყარი მიწა, ნაყარი ცხოვრება, ის, რაც ფარავს ნამდვილს, ის, რითაც ჩანაცვლება ხდება, გადატანა. სწორად ნაყარია საქმიანობაც, შობიც, ვასართობიც, ურთიერთობებიც. წლები გადის ისე, რომ ვერ ვხვდებით, რა არის მართლა ჩვენი საქმე, ჩვენი არჩევანი. რისთვის ვართ მონოდებული და რას უნდა მივსდიოთ ბოლომდე. ნაყარი მიწა კი მოდის და მოდის, ნაგავი არ თავდება, მოდის უზარმაზარი სატიერთობები, შიშები, ყოველდღიურობის, თავის რჩენის სატიერთობები. რუსო ბევრს წერს ამ თემაზე, განსაკუთრებით IX თავში. აქ რუსოს ჭკრეტა მწვერვალს აღწევს, იგი ძალიან შორს ტოპავს, უფრო შორს, ვიდრე ახლა ვიმყოფებით და ვიდრე ახლა შეგვიძლია შევაფასოთ საკუთარი არსებობა.

იგი სულ იკვლევდა თავის თავს, სხვებს, გარემოს, ყველაფერს, რაც მასზე გავლენას ახდენდა, იკვლევდა ყველა შთაბეჭდილებას. ცდილობდა გაეგო, თუ როგორ ცვლიდნენ განუწყვეტილად ჩვენს შინაგან სამყაროს ჩვენივე განცდები, აღქმა და გრძობის ორგანოები და როგორ აისახებოდა ეს ცვლილებები ჩვენს ფიქრებზე, გრძობებზე, საქციელზე. რამდენ შეცდომას და მანკიერებას გადაურჩებოდა ჩვენი გონება, რომ შეგვძლებოდა, ჩვენი ცხოველური ძალები ზნეობრივი წესრიგის

საკეთილდღეოდ, მის სამსახურში ჩაგვეყენებინა. ამ წესრიგს ხომ სწორედ ჩვენი ცხოველური ძალები არღვევენ. კლიმატი, ნელინადის დროები, ხმები, ფერები, უკუნი, სინათლე, სტიქიები, საკვები, ხმაური, სინამდვილე, მოძრაობა, სიმშვიდე და მოსვენება, ყველაფერი ეს მოქმედებს ჩვენს ორგანიზმზე და, შესაბამისად, ჩვენს სულზე. ყველაფერი ეს გრძობების მართვის ათასობით უცდომელ ხერხს გვთავაზობს, გრძობების საწყისებთან გვაბრუნებს და არ აძლევს მათ ჩვენზე ბატონობის უფლებასა და საშუალებას. ეს იყო ის ძირითადი იდეა, რაც რუსოს თავის ერთ-ერთ უმთავრეს ნაშრომში სურდა გადმოეცა, დანერგა კიდევ მონახაზი და იმედი ჰქონდა, რომ ეს იდეა გავლენასაც მოახდენდა კეთილშობილი ადამიანებზე, მათზე, ვისაც გულწრფელად უყვართ სათნოება და სიკეთე, მაგრამ თავისი სისუსტეების ეშინიათ და გაუარბიან. რუსოს იმედი ჰქონდა, რომ ამ იდეიდან წიგნი დაიბადებოდა და ეს წიგნი არამხოლოდ საწერად იქნებოდა სასიამოვნო, არამედ სხვებისთვისაც ბევრ სიამოვნებას მოიტანდა ნაკითხვის დროს. რუსომ ამ წიგნზე დიდხანს ვერ იმუშავა და მისი მხოლოდ მონახაზები დარჩა (1756 წლისა). სათაური, ჩემი აზრით, ბრწყინვალეა: "გრძობიერი მორალი, ანუ ბრძენის მატერიალიზმი" (Morale sensitive ou le Materialisme du sage).

მგრძობიარე მორალზე გამახსენდა ჩემი ძველი გასართობი ვნებიან აზროვნებასთან დაკავშირებით. რაღაცით ხომ უნდა გამემართლებინა ჩემი ქაოსური ბუნება, არათანმიმდევრულობა, სწორად ალოგიკურობა, გზააბნეული კოგიტო. ერთხანს ბევრს ვფიქრობდი ამ თემაზე, ვნებიან აზროვნებაზე. დეკარტის "განსჯიდანაც..." (მეთოდის შესახებ) დღემდე ყველაზე კარგად მისი ფინალური სიტყვები მახსოვს, სადაც იგი მოცალეობაზე ლაპარაკობს - "დედამიწის ზურგზე ყველაზე მაღალი თანამდებობების" საპირისპირო ცნებაზე. ეს რუსოსთანაც აახლოებს მას, რუსოს გაქცევებს და მისი სიამოვნების პრინციპებს გვახსენებს. ზემოთაც ხომ დავვიმონებ რუსოს იმედი თუ ოცნება, რომ საწერად და ნასაკითხადაც ერთხანად სასიამოვნო წიგნი შეექმნა. ავეუსტიცესთანაც ხომ წიგნამდე მივედით საბოლოო ჯამში?! ასევე გავიხსენოთ ბარტის კლასიკური ტექსტიც სიამოვნების შესახებ და აღმოჩნდება, რომ წიგნი ბევრი რამის განმსაზღვრელია, ზოგადად. ჩემს ამ ტექსტშიც, რომელიც საკუთარი გამოცდილების გარდა ათეულობით ქართველი მწერლის ავტობიოგრაფიულ ტექსტებს ეყრდნობა, წიგნის როლი გადამწყვეტი ჩანს.

ხომ ხედავთ, ისევე ნაკითხვას დავთბრუნდი, არადა ამდენი რამეა მოსაყოლი საკუთარ თავზე, მაგრამ რას ვიზამ, როცა ავტობიოგრაფიული მოდუსი ძალიან უახლოვდება ნაკითხვასა და ინტერპრეტაციას.

ახლა მოცალეობას, დასვენებას და სულისმთქმას რაც შეეხება. რუსოს მიაჩნდა, რომ საქმეთა მონაცვლეობა ნამდვილი, საუკეთესო დასვენება იყო: იგი მუსიკით წერისგან ისვენებდა, ბაღში მუშაობით კიდევ რაღაცისგან. მეც დიდი ხანი მეგონა, რომ ფიზიკური შრომით ან მეგობრებთან დროს-



ტარებით წერისგან ვთავისუფლდებოდი, ტყე-ღრე-ში ხეტიალით კი გაბამული, გაუმაძღარი კითხვის-გან ვისვენებდი. სინამდვილეში ორივე მლლიდა, რადგან ჩემი გონება ვერასდროს მოვმართე ისე, რომ ერთისგანაც სიამოვნება მიმეღო და მეორის-განაც. გადართვის მომენტში გაკეთებული გაც-ნობიერების მექანიზმი რთულად მუშაობდა, რო-გორც ჩანს, ან საერთოდ არ მუშაობდა და სიამოვ-ნება და გაკეთებული ტკობობაც სადღაც იკარგე-ბოდა, იმირტებოდა. ბარათაშვილის სიტყვები "აღუესებელი საწყაულის" შესახებ არასდროს მცოდნებოდა, რამდენიმე წუთის გამოყოფაც კი მენანებოდა, რათა გამეზარებინა, რომ რაღაც და-ვასრულე და ახალი რამ უნდა დაიწყო. ტკობობით გამტერების შუალედი არ არსებობდა. არადა მახ-სოვს, ერთხელ ჩემმა მეგობარმა 3 საუცხურიანი კიბე შეღება და მოაპირკეთა და იმხელა სიამოვნე-ბა მიიღო ამ პატარა საქმის შესრულების შემდეგ, რომ მეც კი გადამომედო. საქმიანობის მონაცვლე-ობის სტრატეგია და შესრულების ნუსები, როგორც ჩანს, ძალიან დასახვენი მაქვს. მართალია, ჩემი ორი ძირითადი საქმიანობა, ლიტერატურა და ღვი-ნო, გონებრივი და ფიზიკური სამუშაო არანაირად არ უშლის ხელს ერთმანეთს, თუმცა შუალედში, გადავლის მომენტებში რაღაც ხდება, რაც სია-მოვნებასაც აკავებს და თვითგაცნობიერების, სა-კუთარი თავის ინტერპრეტირების უნარსაც აბ-ლაგვებს და გარკვეულ თუ გაურკვეველ ავტომა-ტიზმამდე დაჰყავს ყველაფერი.

12-13 წლის წინ დავწერე წერილი "რატომ ვჩქა-რობ", რომელიც 20 წლის წინანდელ ჩანაწერებს ეფუძნებოდა. ჩანაწერებში იყო დაკვირვებები პოლ ვირილიოს ტექსტებზე, კუნდერას რომანზე "სი-დინჯე" და კიდევ რაღაცებზე. ცხადია, ვრცელი ციტატების მოყვანას არ ვაპირებ ამ წერილიდან, ქსელში თავადაც ადვილად იპოვით მას, უბრალოდ მინდა გავიხსენო მაშინდელი ნუსხილი და დღევან-დელს შევადარო. ამ მხრივ ბევრი რამ არ შეცვლი-ლა, მაშინაც საქმეების ბოლომდე მიყვანის წყურ-ვილი მკლავდა, ახალი საქმეების დადგენას მაშინ-აც ძლიერი ფორიაჟი მოსდევდა, თუმცა ახლა ცო-ტათი იკლო ნაყოფიერმა უძილო ღამეებმა და იმა-ტა უაზრო უძილობამ. მაშინ ნაკლებად ვეტანებო-დი ფიზიკურ სამუშაოს, ახლა კი ვიტვიტობ.

"თუ არ მოისვენე, ვერ დაისვენებ", ჩემი ეს ძველი შეუსრულებელი და საოცნებო პრინციპი დღესაც აქტუალურია და მიუღწევლი.

სამაგიეროდ ბოლო წლებში ნელი ტემპით მუ-შაობა ვისწავლე. მართალია, საქმეებს (ფიზიკურ და გონებრივ საქმეებს) შორის ისევ ვერ ვახერხებ გააზრებული ტიხრების გაკეთებას, სამაგიეროდ თავად საქმის კეთების პროცესი შევანელი, ისე აღარ ვჩქარობ და ფიქრისთვისაც მეტი დრო მეძ-ლევა ამის გამო. ეგ კი არა, ხანდახან ენისთვისაც ვიცლი. უცხო ენებისთვის. შენელება და სიდინჯე პირდაპირ კავშირშია ენასთან.

თუ არ ვცდები, კემუელ ბეკეტს ჰქონდა უცხო ენის შესწავლაზე, როგორც მკურნალობის ერთ-ერთ ხერხზე. მეცნიერებაც ამავიღებენ ამაზე ყუ-რადღებას. იძირები უცხო ენაში, ავარჯიშებ მეხ-

სიერებას და დეპრესიაც უკან იხევს. თუკი რამე დავაკელი იმ ენებს, რომლებსაც ვსწავლობდი და ბოლომდე ვერ მივიყვანე, სიდინჯეა. დავინყე გერ-მანული და მალევე მივატოვე, ინგლისურად კარ-გად ვკითხულობ, მაგრამ ალულ მაქვს საუბარში და წერისას პრობლემა, ძალიან არ მომწონს, როცა დროში ვარ შეზღუდული და სასწრაფოდ უნდა გა-მოვთქვა, გამოვხატო აზრი, საკმაოდ რთულია, არადა მიწვევს მარტივი გზები გამოვხახო ამ აზრის გამოსათქმელად.

უცხოელები (ბრიტანელები, ამერიკელები, ინ-გლისურის მცოდნე ევროპელებიც) ყოველთვის მამხნევენ ამ დროს. ძალიან თავაზიანები არიან. მეუბნებიან, რომ მშვენივრად ვსაუბრობ, არადა სინამდვილეში რაღაცას მივედ-მოვედები, ხან ცი-ტატას ვიმონმე ლექსიდან ან რომელიმე გამოთ-ქმას და ასე გამოვძვრები ხოლმე. თანამოსაუბრეს უხარია, რომ აზრის გამოხატვა შეეძელი, მე კი ვი-ტანჯები, მრცხენია. ასეთ სიტუაციებში, როგორც ნესი, ვანელებ რიტმს და მათაც ვთხოვ, არ აიჭქა-რონ. ადრეც, რეალურად ჩემს აჩქარებებს და არა-ნორმალურ ტემპებს მხოლოდ ენის სწავლა თუ ანე-ლებდა და ამშვიდებდა. სულ შერკინებაში ვიყავი ამ შენელებასთან. როგორი საქმე, 2 საათის მან-ძილზე 100 გვერდის ნაკითხვა შეიძლება, მე კი ამ დროს რაღაცა რუტინურ სავარჯიშოებს დავტრი-ალებდი. მახსოვს ჩემს დას გერმანული ახალი ნას-ნავლი ჰქონდა, ალბათ 1996 წელია და გერმანიი-დან დაურეკა დამსაქმებელმა. პირველი სიტყვები, რაც ჩემმა დამ უთხრა, ეს იყო: "შპრეხენ ზი ბიტე ლანგზამ". სიტყვა "ლანგზამმა" ეგრევე საყვარელ მუსიკასთან გადამიყვანა და მაშინ საბოლოოდ დაე-რნმენდი, რომ ეს Langsam ნაწილები, ჩემთვის შეებასავით იყო.

ლათინური ახლაც ძალიან მიჭირს, სამაგიე-როდ ძე. ბერძნულს (განსაკუთრებით კოინეს) შე-დარებით ადვილად ვიხსენებ. ხანდახან "ახალ აღ-თქმას" ვკითხულობ დედანში და ერთთვიანი, დღე-ში ერთ-ორსაათიანი გადაკითხვების სენადის შემდეგ ვაცილებთ უკეთ ვკრძნობ თავს. შიგადა-შიგ კლასიკური ტექსტის ნაკითხვაც მინევეს, ფრაგ-მენტების მაინც და ეს დრო ყველაზე დიდი შვებაა. ალბათ მთელი ჩემი საქმიანობა ერთ რამეზეა მი-მართული, ვცდილობ, ასეთი ნაკითხვებისთვის რაც შეიძლება მეტი დრო გამოვხახო, წარსულს არ ვუმ-ტყუნო და ოდესღაც ნასწავლი და გატაცებით მი-ღებული ამ ასაკში მაინც არ მივატოვო, არამედ პირიქით, რაც შეიძლება ბოლომდე მივიყვანო და მეტი სიამოვნება მივიღო მისგან.

ნეტარმა ავგუსტინემ ძველი ბერძნული არ იცო-და თურმე კარგად. თავადაც არაერთხელ ამბობს ამას. მაგ. "აღსარებანის" პირველივე წიგნში (XIII-XIV), თუმცა ავგუსტინე ალბათ ამეტებს, თავმდაბ-ლობს, უკმაყოფილებით ფარავს თავის ცოდნას. რა თქმა უნდა, იგი კითხულობდა ძე. ბერძნულად. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ანტიკური, ელინური კულ-ტურა გარკვეული ასაკისა და გადანყვებილებე-ბის შემდეგ მისთვის ისე ახლობელი აღარ იყო. კლასიკური ლიტერატურაც ნაკლებად აინტერე-სებდა, თუმცა ეკლესიის მამების ტექსტების ნა-

კითხვას ნამდვილად მოახერხებდა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ამბობენ, ამ ავტორებს მხოლოდ ლათინურ თარგმანებში ეცნობოდა.

იგივე პრობლემები ჰქონდა ჟან ჟაკ რუსოსაც, ოღონდ ლათინურთან. იგი წერს, რომ მრავალჯერ სცადა ლათინურთან დაბრუნება, მაგრამ უშედეგოდ, ენა ბოლომდე მაინც ვერ ისწავლა. VI წიგნში დეტალურად ჰყვება ამ ამბავს: რა ხერხი არ სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ვერ იტანდა ამ "ბარბაროსულ ლექსებს", გული ერეოდა და სმენაც ვერა და ვერ შეაჩვია. თავგზა ერეოდა აუარება წეს-კანონი გახლართულს, ავიწყლებოდა ადრე დასწავლილი წესები, თან სულ უჩიოდა მესხიერებას და სიტყვების მარაგიც, უსაბამისად, მწირი ჰქონდა. თუმცა კონსტრუქციებში კარგად გაერკვა და ლექსიკონით უპრობლემოდ კითხულობდა, გადარბენით კითხვაც ისწავლა მოგვიანებით. ეს არასრული ცოდნა მუდამ დისკომფორტს უქმნიდა თურმე. ვერ ერკვეოდა ლათინურ ლექსწყობაში, არ იცოდა პროსოდია და ძალიან ეცადა ამ ენის ჰარმონიაში თავისით გარკვეულიყო, თავისი მონდომებით მიეღწია შედეგისთვის, თუმცა გრძობდა, რომ მასწავლებლის გარეშე არაფერი გამოსდიოდა. იჯდა და საკუთარი ძალებით ანაწილებდა გრძელ და მოკლე მარცვლებს, ცდილობდა ვერგილიუსის ჰექსამეტრი დაეღაგებინა. ხშირად შეცდომები მოსდიოდა.

ზემოთ ბევრი ვილაპარაკე თვითგანათლებლაზე. ეს, ძირითადად, XIX საუკუნის შეხებოდა, თუმცა XX საუკუნეშიც ბევრი იყო ასეთი მაგალითი და დღესაც ხშირად ნახავთ თვითგანათლებულებს. რუსო მაგ. ხშირად თავად სწავლობდა ამა თუ იმ საგანს და ფიქრობდა, რომ ამას გარკვეული უპირატესობები ჰქონდა, თუმცა უზარმაზარი დისკომფორტიც ახლდა თან და რაც მთავარია, წარმოუდგენელ სირთულეებს აჩენდა. როგორია, შუალაშქმს, რაღაც მომენტში, ხედები, რომ წინ ვეღარ მიინვე სხვისი (მასწავლებლის) დახმარების გარეშე, არადა მთელი ღამის გათენებთან აპირებდი სამუშაოსთან და უცებ აღმოაჩენ, რომ აიჭყედე, მარტო ხარ, ვერ ხსნი ამოცანას.

ამიტომ მასწავლებელი და სავალდებულო საგნები ყოველთვის საჭიროა. ჩემ მიერ არაერთხელ გამიორებულ სიტყვებს მოვიყვან კიდევ ერთხელ. სიტყვები ტომას სტერნზ ელიოტს ეკუთვნის: "ვერაინ გახდება რეალურად განათლებული, თუ არ ეცდება იმის შესწავლასაც, რის მიმართაც მას ინტერესი არ ამოდრავებს, რადგან იმ საგნებით დაინტერესების უნარი, რომლებსაც არ გვაქვს მიდრეკილება, განათლების ნაწილს წარმოადგენს". არაერთი ადამიანი მინახავს, რომლებიც სევდიანი სახით დაამონმებდა ხოლმე ასეთ ცოდნას, მესხიერების და ჩაბეჭდილი წესების ხარჯზე სრულად ავლენდა მას, თუმცა მალე სახეზე გამომეტყველება ეცვლებოდა და ეს ადამიანი ჩემ თვალწინ აცნობიერებდა, თუ როგორ გამოადგა ცოდნა და თურმე ღირს კიდევ უფრო ჩაუღრმავდეს ოდესლაც ვალდებულებით მიღებულ ამ ვაკვეთილებს.

გარდა ამისა, მასწავლებელი იდეალური პერსონაჟია საკამათოდ და საკუთარი მოსაზრებების,


ჭეშმარიტებების თუ მრწამსის საწინააღმდეგო, როგორც არ ესმოდათ ძვ. ბერძნული ენის მასწავლებელს პინდაროსის, თეოგნიდეს და საფოს ლექსები, იგი საზომს მაინც გასწავლის კარგად. ხშირ შემთხვევაში, მათ, რა თქმა უნდა, მშვენივრად ესმით ეს ლექსები, უბრალოდ თავს არ გიყადრებენ, დროს არ კარგავენ "ლორიკაზე" და "მელოსზე" და მკაცრი წესების სწავლებას მიჰყვებიან. თუმცა არიან მასწავლებლები, ვისთანაც ძირითად დროს სწორედ ამ "ლორიკაში" ვხარჯავთ.

დაახლ. 15-17 წლის წინ, გადავწყვიტე დოქტორანტი გავემდარევიყო "ილიაუნში". გავხდი კიდევ რამდენიმე შეხვედრას დავესწარი და ჩემს ვალდებულებებსაც ვავეცანი. ვსწავლობდი ახალ წესებს, მაგ. კრედიტების დაგროვება და ა.შ. აღმოჩნდა, რომ კრედიტები უნდა დამეგროვებინა საგნების ნაკითხვით, ლექციებით. საგანს ერქვა "აკადემიური წერა". ყურადღებით გავეცანი სახელმძღვანელოს, თუ როგორ უნდა მესწავლებინა სტუდენტებისთვის აკადემიური წერა, შესავალი, რეზიუმე... და ეს საგანი იმდენად უცხო და მიუღებელი აღმოჩნდა ჩემთვის, რომ საერთოდ უარი ვთქვი დოქტორანტობაზეც, სადოქტოროზეც და, ზოგადად, სწავლებაზეც. ყოველ შემთხვევაში, ზუსტად ვიცი, რომ ამ საგანს, "აკადემიური წერა", მე ვერასდროს ვასწავლიდი. გარდა ამისა, იმ თემამაც, რომელზეც უნდა მეშუშავა ("ვალაკტონის ქალაქური ტექსტი"), რამდენიმე ხარვეზს ვხედავდი და ბოლომდე არ ვიყავი ჩამოყალიბებული პრობლემებში, თეორიულ მასალასა და ძირითად ტექსტებში.

ახლა 16 მარტია, 2023 წელი. ვარეთ გაზაფხული გუფუნებს, აუარება საქმე ვენახში, ბოსტანში, მარანში: დარგვა, თესვა, სხვა (როგორც წესი, გვიან მიწვეს ხოლმე ხეხილისა და ვაზის გასხვება). შიგნითაც ბევრია საქმე, სანერი და საკითხავი. ყველაფერს არ ჩამოვთვლი, ბოლო დღეების მანძილზე მთავარი მაინც და თავის დაწერა იყო, დასკვნითი თავის, სადაც პირველად ცხოვრებაში მიწვეს საკუთარი თავის დანახვა და ამოკითხვა, ამოკითხვა. თან უნდა ვეცადო ტონალობა ზუსტად შევარჩიო, არც ძალიან საცოდავი უნდა გამოვჩნდე და არც ამპარტავანი, ქედმაღლობის დასამარცხებლად შედმეტი თავის დაცივნაც არ ივარგებს, შორს გამოიტაცებს, თუმცა გარდამეტებული უბადრუობაც არ უნდა მოვირგო. ყველაფერს ისედაც ვერ მოვყვები, მხოლოდ აუცილებლობით და ალბათობით, ისე, რომ ამბავი გამოვიდეს, დამაჯერებელი ამბავი. არანაირი თანმიდევრობა, ქრონოლოგია და ლოგიკა, მხოლოდ საკუთარი რიტმის დაჭერა, მიყოლა, ხანდახან გადახვევა, თამაში, აჩქარება, შენელება და ა.შ.

ეს მხოლოდ დასაწყისია, მომავალში ვეცდები კიდევ გავარძელო ამაზე წერა, სხვა წიგნში, შესაძლოა სულ სხვა ჟანრის წიგნში.

წიგნმა, რომელსაც ახლა ვასრულებ, "შეთხზულმა" "მე"-მ ბოლო 2-3 წლის მანძილზე ყველაფერში შეაღწია, რაც ჩემს გარემოშია. ნებისმიერი სხვა საქმის კეთებისას თუ გართობას ხანდახან მასწავლებლობა მისი არცხება, გონებაში რაღაცა გინინავდო, შემდეგ მაკინწყებოდა, თუმცა მოგვიან-



ბი იგივე აზრი ახალ ტალღად ბრუნდებოდა, უფრო შევსებული და გამოკვეთილი ფორმით. ბევრი აზრი კი უკვალოდ იკარგებოდა.

საკუთარი ბიოგრაფია, ავტობიოგრაფია, პირად ამბებზე წერა ხშირად ხსნასავითაა. ბევრისთვის ხსნა იმიტომ, რომ რასაც უნდა, იმას დაწერს, როგორც უნდა, ისე გამოიგონებს. ზოგი ნარცისული ოცნებებით მოიხივებს გულს, ზემოთაც ხომ ვახსენე ავტოფიქციისა და ნარცისის კავშირები? მე-ს, როგორც სუბიექტსა და მე-ს, როგორც ობიექტს შორის გადაულახავი დისტანცია, ნარცისისტული თვითრეფლექსია, რომელიც წმინდა გამონაგონის სახეს იღებს. ანდა დილთაის თავი გაიხსენოთ, ვისთანაც "საკუთარი ამბის მოყოლა" სადღაც წარმოსახვით და რეალურ ამბავს შორისაა მოთავსებული, ჭეშმარიტებაცაა და სიცრუეც.

და, რაც მთავარია, ამ თემებზე, ავტობიოგრაფიაზე მუშაობა საშუალებას გაძლევს, მუდამ ბენვის ხიდზე იარო, სულ უპირისპირდებოდე ამ ნარცისულ დისკურსს, სწავლობდე თვითგამოხატვის ნარცისულ ხერხებს, ინაფებოდე, დასცინოდე მას, ამ მოჩვენებითი მონოლითურობის პაროდის, მის დეკონსტრუქციას ახდენდე. საკუთარ თავზე წერა, საბოლოო ჯამში, შეიძლება ფარადაც იქცეს, ერთგვარი ონტოლოგიური ნარცისიზმისგან დამცავ მთავარ საშუალებად. მისივე ხერხების ცოდნა, კარგად ფლობა და გამოყენება ამის საწინდარი შეიძლება გახდეს.

"შეთხზული "მე"-ს" წერისას არაერთი ქართველი და უცხოელი ავტორი მახსენდებოდა, ვინც საკუთარ თავს აღწერდა, იმედებზე და მცდელობებზე წერდა, ვინაობაზე, რაობაზე, შესაძლებლობებზე

ზე. მახსენებოდა, მაგ. გურამ რჩეულიშვილის ჩანაწერები ან არტურ რემპოს წერილებიდან ფრაგმენტები, ბევრი სხვა ყმანვილური თვითდაკვირვება, და ყოველი ასეთი გახსენებისას ვერასდროს წარმოვიდგენდი ჩემს თავს მათ ადგილას, მათ ასაკში, მათნაირი გამბედაობით რომ მეთვალყურებინა ჩემი თავი სიტყვების სარკეში. მე ძალიან გვიან ვისწავლე თავის დანახვა, უფრო სწორად, ახლა ვსწავლობ, ვსწავლობ სიტყვებით, რომლებიც ნელ-ნელა ამარცხებს გამოსახულებას, აქრობს ჩემს ზე-ლიგურ ვნებებს, დამხვავსების ნიჭს, მსგავსებებს სხვა პერსონაჟებთან, სხვა რეალურ ადამიანებთან. სხვადასხვა კულტურაში არაერთი ვიზუალური ალტერ ეგო მყავს, თუმცა ახლა ვგრძნობ, რომ ამ ალტერ ეგოებთან გამომშვიდობების, მათგან გათავისუფლების დროში შევავიჯე, დროში თუ ასაკში. და ამ გათავისუფლებაში რუსო აღმოჩნდა მთავარი მოკავშირე. მსგავსებამ, პარალელებმა თუ ანალოგიებმა პირიქითი ეფექტი იქონია.

ბავშვობიდან პაროდირების ნიჭით რაღაცა მქონდა. ხმები, საქციელი, ფრაზების დაზეპირება (არადა, როგორც ვთქვი, ლექსებს საერთოდ ვერ ვიზეპირებდი), ინტონაცია - ყველაფერი გამომდიოდა. მე და ჩემმა მეგობარმა, შოთა კვარაცხელიამ, ორჯერ თუ სამჯერ გავიშარჯვეთ იუმორის საქალაქო თუ რესპუბლიკურ (ზუსტად არ მახსოვს) კონკურსში, 12-13 წლისებმა. ჟიურის წევრები იყვნენ ქართლოს კასრაძე და ბორის ნიფურია. ქართლოს კასრაძის პაროდისაც ვაკეთებდი იმ დროს, ფიგაროს კავატინას ვმღეროდი, კიდევ ათას რაღაცას ვიგონებდით. ერთხელ "ტრიუმფატორები", შოთა და მე რაღაცა ახალგაზრდულ შეკრებაზე მიგვიწვიეს. შეკრება ტარდებოდა პავლოვის (ახლანდელი ყაზბეგის) გამზირზე, კაფეში. წლების შემდეგ იქ არავითარი სხვა კაფე თუ რესტორანი გაიხსნა, ახლა, თუ არ ვცდები, Dunkin' Donuts-ია. დაგვგვდა ვაკრიალტული ახალგაზრდობა, ვარდისფერსახიანი კომკავშირელები, ერთი-ორის სახეს ახლაც ვიცნობ, ისე დამამახსოვრდნენ, ვითომ ლალი ტიპები. მე და შოთა იმ წლებში ჯერ არ ვსვამდით, სულაც "მშრალი კანონის" პერიოდი იყო, მე მგონი. სახელმწიფო ხარჯით გაშლილ სუფრებზე ლიმონათების, რაღაცა გაუგებარი წვენების (მკვდრისფერი რომ ადევს) და ნამცხვრების ცვენა იყო. მივადექით და დავინყეთ ნამცხვრებით, ჯერ ერთი გადავიღე, მერე მეორე, არც ვიცით, რატომ ვართ იქ, ვერ ვხვდებით. ერთი აქტიური, სიმპათიური ქალი იყო, ჩვენთან სკოლაში მოდიოდა ხოლმე განათლების სამინისტროდან, ან ინსპექტორი იყო, ან რაღაც მაგდაგვარი, მისი ინიციატივა იყო, ვზიარებოდით მონინავე ახალგაზრდობის, ჩვენზე უფროსების, ვიღაც 16-17 წლის უღვაშიანი გოგო-ბიჭების ცხოვრების წესს. მოკლედ, გარშემო ხალხი ცდილობს გაერთოს, მაგრამ რაღაც არ გამოსდით, შეიძლება ჩუმ-ჩუმად "კანიაკებიც" აქეთ მომარაგებული, კანონსაწინააღმდეგოდ, მაგრამ არც ეგ შეკვლი და უცნა, ერთ-ერთმა ყველაზე ვარდისფერმა და გაპრიალტულმა კომკავშირელმა ვაჟმა

ჩვენკენ გამოიშვირა ხელი და ხმაშლილა გამოაცხადა, შეიძლება მიკროფონშიც თქვა ეს ფრაზა: "ესენი საჭმელად მოიყვანეთ აქ? დაიწყონ ახლა!".

ესეც ასე. თურმე სამაიმუნოდ მიგვიყვანეს, სხვების გასართობად. უცებ ვხედავ იმ ჩვენი ინსპექტორის თუ ინსტრუქტორის სევდიან და მბრძანებლური მუდარით სავსე თვალებს. ჩვენ კი ვლუქვებით, ასე ადვილად ვერ მოვდივართ აზრზე, გათიშულები ვართ, ჯერ ლუქმა უნდა გადავყლაპოთ, თან მშრალია ეს ხეერი ნამცხვარი, არ გადავით ყელში, ამ დამზავრელი ფრაზის მერე კი ("ესენი საჭმელად მოიყვანეთ აქ?"), საერთოდ გადაგვეკეტა საყლაპავები. მოკლედ, გავვით სხელდახელო სცენაზე და ჩავფლავდით. შეგვრცხვა, მოგვერიდა, ისეთ თამამ და სხარტ, მოქნილ მონავლესაც კი, როგორც შოთა კვარაცხელიაა, არაფერი არ გამოსდოდა, მე გავშტერდი, არც ერთი ხუმრობა არ არტყამდა მიზანში, არავინ არ იცინოდა, სახეზე ცეცხლი გვეკიდა, ეს ვარდისფერსახიანი კი გაღიზიანებული მოგვჩერებოდნენ. არადა ზოგი რა ლამაზი გოგო იყო, უფროსკლასაღლები. ან უკვე სტუდენტები, ზოგიც პიონერხელმძღვანელი იყო! მაგრამ სილამაზისთვის ვის ეცალა, ვოდექით დამარცხებულები. ხანდახან მგონია, რომ რეალურად არც მომხდარა, იმდენად სიზმრისეულ განცდას იწვევს ეს მოგონება. ერთხელ, წლების შემდეგ, სუფრასთან გავიცნა ჩემი კარგი ნაცნობის დედა, რომელიც ძალიან ჰგავდა იმ ქალბატონს, ჩვენს ინსტრუქტორს თუ ინსპექტორს. ცოტათი ნასვამმა ვგრევე ვკითხე, თქვენ ხომ არ იყავით ის ქალი-მეთქი. თან მოკლედ მოვყევი ამბავი. არა, მე არ ვყოფილვარო. ნამდვილად არ ვყოფილვარო.

ჩაფლავების, მორცხვობის და გაშეშების ისტორიები კიდევ ბევრი მაქვს, არაერთი არასწორი საქციელი ჩამიდენია, ცხოვრების ყველა პერიოდში მემართებოდა რაღაც მარცხი, თუმცა ნამიერი სწორ გადაწყვეტილებებსაც ვიღებდი ხანდახან, იშვიათად, რამაც თავის დროზე სხვადასხვა სიღრმის ფსკერებიდან ამომიყვანა.

რუსო თავის წიგნში ხშირად ცდილობს, არც განსაჯოს თავისი თავი და არც გამართლება მოუძებნოს თავის ზოგიერთ საქციელს, გადაწყვეტილებებს. რთულია, მაგრამ ზოგჯერ გამოსდის ეს: არც თავს იქებს და არც იმცირებს. VIII თავში იგი მეფესთან შეხვედრას იხსენებს. არეული პერიოდი აქვს, წვერი მოუშვა და ცუდად დავარცხნილი პარეკი ახურავს. შედის დარბაზში, სადაც მალე მეფე, დედოფალი (მადამ დე პომპადური) და მთელი ამაღალი შემოაბიჯებს. იგი უცნაურ ადგილას აღმოჩნდება, ქალბატონებს შორის, წინა რიგებში. რუსოს ეჭვი აქვს, რომ აქ იგი განზრახ დასვეს. მალე დარბაზი განათდა და რუსომ იგრძნო, რომ ამ გადაპრანჭულ საზოგადოებაში, სადაც ყველა ასე საგულდაგულოდაა გამოწყობილი, იგი ზედმეტია. რუსო თავს ეკითხება, არის თუ არა აქ მისი ადგილი და რამდენიმეწუთიანი ფორიაქის შემდეგ პასუხობს, "ღიას, არის". იგი გამბედაობას იკრებს



და ეს გაბედულება მომდინარეობს არა იმდენად არგუმენტებიდან, რამდენადაც უკანდახევის შეუძლებლობიდან. იგი იძულებულია თამამად მოიქცეს, არ დანებდეს. ჯერ ერთი, სცენაზე მისი პიესა უნდა წარმოადგინონ და ეს უკვე რაღაცას ნიშნავს, იქნებ ცოტათი დატუბეს კიდევ თავისი ამ გაზარჯვებით. მას ჩვეულებრივად აცვია, ეს კი საშუალებას აძლევს, არ გახდეს მალალი საზოგადოების მონა, არ იყოს მისი წესების მორჩილი. იგი უნდა ეცადოს, რომ არ განითქვას თავისი ჩაცმულობისა და გარეგნობის გამო, შეიძლება დაუდევრად გამოიყურება, მაგრამ სუფთად აცვია და მოწესრიგებულია. ფრთხილად ცდილობს მოშვებული წვერისთვისაც გამართლების მოძებნას, მერე რა, თუკი უბირად ჩათვლიან ან აიგდებენ. რუსო ამისთვისაც მზადაა. საკუთარ თავთან ასეთი გაზაასებით მან საკმარისი ძალა მოიკრიბა, იგი ყველანაირად მზად იყო შერკინებოდა აუდიტორიის დაცინვას, მაგრამ როცა მათი კეთილგანწყობა დაინახა, ბავშვივით აკანკალდა, განიარაღდა, გული აუწუყდა და დამბლა ყველა კლანჭი, რომლებიც აქამდე დასაბულობისგან გავებდა. სპექტაკლი კარგად მიდიოდა, დამსწრენი კმაყოფილი იყვნენ, ქალები ოხრავდნენ, მეფის თანდასწრებით მაშინ ტაშის დაკვრა აკრძალული იყო, ამიტომ საუკეთესო სცენებისას ყველაფერი კარგად ისმობდა დარბაზში: ნებისმიერი რეაქცია, გადალაპარაკება, ჩურჩული, ნაკვთების მოძრაობა შესამჩნევი ხდებოდა, ეს ყველაფერი არ იძირებოდა აპლოდისმენტების ერთიან, ყოვლისმთავანთქმულ ტალღაში. რუსოს ცრემლებიც კი მომდგა და იგი მზადაა, დამსწრე ქალბატონების ცრემლები კოცნით ამოაშროს. არ დაგვაინყდეს, რომ რუსო მათ გარემოცვაში მარტოა, მარტოა ამდენ ქალს შორის, წინა რიგებში ზის და ქალები განსაკუთრებულად ზემოქმედებენ მასზე.

ამ ტრიუმფის შემდგომი დამე ნამდვილ ჯოჯოხეთად ექცევა რუსოს. მალე მეფესთან აუდიენციად დაგეგმილი, ამის გამო იგი ვერ იძინებს, ფიქრობს, განიცდის, ხშირი შარდვის პრობლემაზე ფიქრობს. ვაითუ ნახდეს?! ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში რომ გახდეს საჭირო გაქცევა?! თან რუსოს პენსია უნდა დაუნიშნონ, სამეფო პენსია. არ მოსწონს ეს ამბავი, ამის მერე როგორ უნდა ილაპარაკოს ჭეშმარიტებაზე, დამოუკიდებლობაზე, ვაჟაკობაზე, უნაგარობაზე. ამის შემდეგ იგი ან ჩუმად უნდა ყოფილიყო, ან მლიქვნელად გადაქცეულიყო. რუსო უარს ამბობს პენსიაზე და ეს მისი ცხოვრების ყველაზე რთულ გადაწყვეტილებად იქცევა, მას გადაემტერებიან მეგობრები (დედრო, გრიმი), დაიხრატება ინტრიგები, ერთი სიტყვით, ყველაფერი შეიცვლება.

ჩემი ცხოვრება, ბიოგრაფია, გადანყვეტილებებისგან შედგება. ეს გადანყვეტილებები ხან დიდი ძალისხმევის შედეგია, ხანაც თავისით მოდის ცვლილებები. მხოლოდ ისეთ ცვლილებებს ვგულისხმობ, რომლებიც აღინერება, დაინერება, ამიტომაც ჰქვია ამ ცვლილებების ისტორიას ბიოგრაფია, მეტიც, ავტო-ბიო-გრაფია. ასეთი გადანყვეტილებების გამოა, რომ საკუთარი წარსულის შე-

ფასებას ვახერხებთ, შეიძლება დავგვიანებოთ, მაგრამ ინტრიგა, ამბავი ჩვენს თვალწინ ყალიბდება და უწყვეტ თხრობად იქცევა. ვინცებთ გარჩევას და იმაზე ჩაფიქრებას, რომ ახალგაზრდობაში ბევრ გულწრფელ, კეთილ ადამიანს ვხვდებოდათ, იყო დიდი მეგობრობა, სიყვარული, ნდობა და ერთიანობა, მონიფულობისას კი ასეთი ადამიანები სანთლით საქებარია. ან პირიქით, მაშინ უფრო შიშვლები ვიყავით, მეტი ტკივილის ატანა გვიწევდა სხვებისგან, სამაგიეროდ ახლა ისეთ წრეში ვართ, ბუზს არ ავიფრენთ, არავინ მოგვაკარებს უცხო ნესტარს და სხვადასხვა მკბენარს, არადა მათ გარეშე ხომ საბოლოოდ მოვდუნდებით, ძლიერი ვნებები ხომ სწორედ ამ უცხო ჩხვლეტებით აღიძვრება და არა შინაურული მოფერებით. ნაჩვენებ მყუდროებაში მხოლოდ თუ მოიკუნტები, საბანს გადაიფარებ, თავს მოინაჭუჭტებ. ამიტომაც, რომ არ ცხრება ამ ნაჭუჭიდან გაღწევის და გაქცევის სურვილი, ერთი ხელის მოსმით იშორებ მლიქვნელებს, გემინია მაქებრების, იგესლები, შხამს აფრქვევ, პირველ რიგში, მათ შორის და მათ გარშემო, ვინც სიყვარულს გეფიცება. თან უკან დასახევი გზაც აღარ გაქვს. ის ძველი სიყვარული, მეგობრობა, გულწრფელობა აღარ არსებობს, სხვანაირი გახდა, ზარის ხმასავით აღარ ჟღერს, არამედ ყრულ დაისმის, ჩუმად. მას წინააღმდეგ ვალობასაც ვერ დარაქმევ, იგი დარდის ბუბუტი უფროა. ერთად-ერთი, რაც არ იცვლება, უხერხულობაა, სირცხვილის გრძნობა, რაღაც ქენჯნები, რომ საჭირო დროს ხმა ვერ ამოიღე ან, პირიქით, როცა დუმილი ჯობდა, სწორედ მაშინ ალაპარაკდი და ამოალაგე ზედმეტები. ზოგი კარგად ფლობს ამ ხერხებს, დარწმუნებულნი არიან თავიანთ სათქმელში ან დუმილში, უჯრებად აქვთ დალაგებული ყველაფერი. ასეთები, როგორც წესი, კარგი სტუდენტები იყვნენ, საუცხოოდ ისწავლეს აზრების მოწესრიგება, ქაოსის დამარცხება. მაგრამ უცებ მათაც ეშლებათ, ისინიც ცვივიან უფსკრულში, ამაზე რუსოც წერს მესამე თავში.

აი, მაგალითად, სიტუაცია, როცა ორნი ვსაუბრობთ, პირისპირ, ცოცხლად. ასეთი რამ ხშირად არ ხდება, ამიტომ სულ ვცდილობთ არ გავჩერდეთ, შევავსოთ ეს დრო, ვილაპარაკოთ, ხშირად სისულელები ვილაპარაკოთ. არ ვაცლით ერთმანეთს ლაპარაკს, "ჰო, მეც ეგრე ვფიქრობ", შემდეგ ცოტათი გავრცხვინია ასეთი თანხმობის და ჰაზრმონის და ვმობთ, "აი, ამაში კი ვერ დაგეთანხმები". ასეთ დროს იშვიათია, რომ დუმილი ჩამოვარდეს და ასეთ დროს იბადება ურთიერთობის შიშვიც, ვალდებულების გრძნობა, რომ აუცილებლად უნდა ჩააგო სიტყვა, თქვა შენი აზრი, რომელიც, საბოლოო ჯამში, შეიძლება სისულელე აღმოჩნდეს ან იმდენად კონკრეტული და გამოუსადეგარი, რომ ბოლოს სირცხვილით შეიძლება დაიწვა.

შენგან განზოგადებებს ელოდნენ, შენ კი ამ დროს რაღაც ბაქტერიებზე ლაპარაკობ. ვის რაში აინტერესებს ეგ?!

ვის და, მე მაინტერესებს, ჩემია ეგ გამოუსადეგარი ამბები. ამის გამოა, რომ სულელის სახელი შეიძლება გამივარდეს, არადა სულაც არ ვი-

ყო სულელი და ბრიყვი. გარეგნულად, ხუმრობებით, სუფრასთან, მიმონერაში ძაანაც სოციალურ ცხოველად ვჩანდე, მაგრამ სინამდვილეში ველური ვიყო, ასოციალური, ატოპიური. ისევ რუსოს დავიმონებ: "სხვებით შევიყვარებდი საზოგადოებას, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ამ საზოგადოებაში არახელსაყრელი მხრიდან ვჩანვარ და სრულიად სხვა ადამიანად წარმოვდგები, არა იმად, ვინც სინამდვილეში ვარ. მე ჩემთვის ყველაზე შესაფერისი გადაწყვეტილება მივიღე: ვწერო და ვიმალებოდე. ყველას თვალწინ რომ მეცხოვრა, ვერავინ გაიგებდა ჩემს ფასს, ვერაფერს მიხედებოდა".

ახლა კი ყველას თვალწინ მიწევს ყოფნა, მიუხედავად იმისა, რომ არც ლექციებს ვკითხულობ და არც საჯარო გამოსვლების სხვა რაიმე გამოცდილება მაქვს. ცხადია, ერთეული, დისკომფორტითა და ფორიაქით სავსე გამოსვლა თუ ინტერვიუ არ ითვლება. გაქცევა, დამალვა ჯობია, რა თქმა უნდა, ხოლო აზრების რედაქტირება სიტყვით გამოსვლას მორჩენია. სიტყვის გამოსვლისას ნებისმიერ მომენტში შეიძლება გული ავიჩუყდეს და სისულელე თქვა, ირონია მეორე პლანზე გადადის, იუმორის ინტიმურობა ქრება და ვერც კონკრეტულ ადამიანზე მიშტერება და მხოლოდ მასთან საუბრის გაბმა გშველის, მით უმეტეს, თუ ეს ერთი, კონკრეტული ადამიანი ხბოს თვალეებით გიყურებს და რეალურად შეიძლება არც ესმის რაზე ელაპარაკები. და ამიტომაც, ჩემი ცხოვრების წესად იქცა უადგილო ხუმრობები, შეუსაბამო გადახვევები და შეუფერებელი, უხერხული საქციელი.

ზემოთ ვახსენე რუსოს ეპიზოდი, როცა იგი ბავშვით აკანკალდა საკუთარი პიესის ყურებისას. მან დაინახა სხვების აღფრთოვანება და ამან იგი განაიარაღა. საბრძოლველად იყო მისული, ალესილი, მზად იყო ნებისმიერი კრიტიკის მოსაგერიებლად და უცებ რას ხედავს, გული უჩუყდება და ყველანაირი ალესილობა უბლაგვედება, რბილდება, თვინიერდება. არადა მიაჩნდა, რომ მისი მთავარი ნიჭი ენერგიული და გაბეჭდილი სიმართლის თქმაა, მწარე, მაგრამ სასარგებლო სიმართლის პირში მიხლა. იგი დარდობს, რომ ბოლომდე ერთგული არ დარჩა ამ ნიჭისა და ხანდახან ქება და პირფერობაც უწევდა. რუსოს აზრით, ამ პირფერობამ გაცილებით მეტი ზიანი მოუტანა მას, ვიდრე მწარე შეფასებებმა.

ასეთ სიტუაციებში ბევრჯერ ჩავვარდნილვართ. ერთხელ კლასელების შეკრებაზე წავედი, ფეხს ვითრედი, რატომღაც არ მსიამოვნებდა ასეთი ხალხმრავალ თავყრილობაზე მისვლა, გადაჩვეული ვიყავი საერთოდ, თან ათწლეულების მანძილზე უნახავ ადამიანებს უნდა შევხვედროდი, ვისაც მე-მ კლასში დავშორდი, 80-იანი წლების ბოლოს. სიმართლე გითხრათ, სკოლა არასდროს მყვარებია, არც სკოლის ურთიერთობები (რამდენიმე გამოცდის კლისის გარდა), ამიტომ რაღაცნაირი კრიტიკული განწყობით მივედი შეხვედრაზე. მოხდა სრულიად საპირისპირო. ცოტა სასმელმა, ცეკვამ, საიდანაც წამოსულმა ბავშვურმა სილაღემ ჩემში

მთლიანად მოარბილა ეს კრიტიკული დამაბუღო და უცებ წამოვიძახესავით, შეიძლება სადღეს რძელოდაც ვთქვი, "იმ წლებს რა ვუთხარი, როცა უერთმანეთოდ ვიყავით მეთქი". და მანდ მივხვდი, რომ სიყალბეს ვამბობდი, სისულელეს. რაღაცა ლოზუნგი ვთქვი, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ბევრ გული აუჩუყდა, ამან კიდევ უფრო გამაღიზიანა თუმცა უკან დასახევი გზა აღარ არსებობდა. ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც ღიად დასცინა ჩემს ამ გულაჩუყებულობას, ყველაზე მაზალო კლასელი, ადამიანი, ვინც მთელი ბავშვობა მაბრაზებდა და დამცინოდა. ისევ მან ამოლო ხმა და პაერში გააცვივა ჩემი ეს მხურვალე წამოძახილი.

ჩვენი ბიოგრაფიაც, განსაკუთრებით კი ავტობიოგრაფია, ასეთი დაუცველია. იგი სულ ზემოქმედების ქვეშაა. რამდენიც არ უნდა ვთხზათ, გამოვიგონოთ საკუთარი თავი, ნამდვილი "მე" მაინც გამოჟონავს ან გამოჩნდება ვინმე, ვინც აურდაურევს ჩვენს დალაგებულს და ყველაზე მონესრიგებულ ადგილას ჩაასობს თავის ნესტარს. ეს სხვათა შეიძლება ხშირად წამალიც აღმოჩნდეს, საუკეთესო საშუალებაც მომწვებული, მოდუნებელი "მე"-ს განსაკურნავად. ზემოთ, ერთ-ერთ ავტობიოგრაფიულ თავში, ვახსენე კიდევ ეს შხამიანი წამალი, "ფარმაკონ", როგორც ძველი ბერძნები უწოდებდნენ მას.


საკუთარი და სხვისი ცხოვრების აღქმა და ნაკითხვა დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნაკითხვაში, ცხადია, მხოლოდ აღწერილის ან დაწერილის ნაკითხვა არ იგულისხმება, არამედ, პირველ რიგში, სწორედ დაუწერლის და აღუწერლის ნაკითხვა, ხანგრძლივი თუ მოკლე ცხოვრების მთლიანობაში დანახვა. სოციალურ ქსელში ხშირად ნახავთ გამოსამშვიდობებელ პოსტს, რომელიც იწყება ასე: R.I.P., თუმცა ზოგიერთ ამ R.I.P.-ის მიღმა სრული სიცარიელეა, ზოგიერთის უკან კი დიდი ხნის მეგობრობა, თანაზიარობა, ან უბრალოდ ცოდნა, გნებავთ, ნაკითხვა დგას, სხვისი თუ თავისი ცხოვრების ნაკითხვა.

სხვისი და თავისი ასეთი R.I.P.-ის შემთხვევაში, ანუ სასუფევლის ასეთი გაელვების დროს, დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, რადგან ეს ფიქრი და ცოდნა იმ არარსებულთან, გამქრალთან გვაკავშირებს და ასეთ გაელვებებში, ყველაზე ყოფითი ამბებიც კი (წვერის გაპარსვა, თოხნა, გაზის ნათება, ოკიანის მოშვება, ცეცხლის დაწობა, კვერცხის გაფცქვანა, ნიასურის დაჭრა, ნაგვის გადაყრა, ქუდის დახურვა) უდიდესი შინაარსით ივსება. ყოველ ასეთ საქმიანობას თავისი აჩრდილი მოჰყვება, თითო-თითოდ, ჯგუფურად არა. მოდიან ნასული ბიძები, მამიდები, ბებია-ბაბუები, მშობლები, მეგობრები, ნიასურები, ნათესავები, უცნობი ძვირფასი ადამიანები და მეტიც, არარსებული ადამიანებიც მოდიან ხანდახან, ისინი, ვისაც ხორციელად არასდროს უცხოვრიათ ამქვეყნად ან ვისაც შენ უნდა მისცე სიცოცხლე.

ზემოთ ქიქრებზე ვსაუბრობდი, ჩემი ქიქრები სწორედ ესენი არიან, ჩემი აჩრდილები და მოჩვენებები. და მე მათთან ერთად ვაგრძელებ ცხოვრებას.

გივი კიკილაშვილი

მე - გივი კიკილაშვილი



დავიბადე 88 წლის წინ, 1934 წლის 5 მარტს, სიღნაღის რაიონის სოფელ ჯუგაანში. მყავს ორი შვილი - ნინო და გიორგი, ორი შვილიშვილი - ელენე და გუგა. კიკილაშვილების მრავალრიცხოვანი საგვარეულო რამდენიმე ნაწილად განიყოფება. ჩვენ ჯარიანები ვართ - წინაპრის, მეტსახელად ჯარიას ჩამომავლები, რომელსაც თანასოფრელები ომში გაჰყავდა. პაპაჩემი, მიხაკო კიკილაშვილი, სოფლის თავკაცი, მეტსახელად ფალავანა, კახეთში სახელგანთქმული მოჭიდავე იყო. მისი ჩამომავალნი ფალავანანები ვართ. ფალავანას დიდძალი ქონებაც ჰქონდა, თამბაქოს დიდი პლანტაციები გააშენა და თამბაქო ოდესასა და ტრაპიზონში გაჰქონდა. მაგრამ სიმდიდრე უბედურებად გადაექცა. სოციალისტმა ტერორისტებმა, მისმა თანასოფრელებმა, უფროსი ვაჟი, ხარიტონი მოუკლეს. ფალავანა მის დარდს გადაჰყვა, ჩემს დაბადებამდე ოცი წლით ადრე გარდაიცვალა. იმავე ტერორისტებმა მოკლეს მამიდაჩემის, ანას მამამთილი, სოფლის მამასახლისი გიგა ალადაშვილი. ეს ყოველივე მამიდაჩემის მონათხრობით ვიცი. თავად მე, ჩემი და ლამარა და დედა, ნატო აბულაშვილი კომუნისტების რეპრესიას ბუნებურად გადავურჩით. 1937 წელს კომუნისტებმა კოლექტივიზაციის მონინალმდევე, ოდითგანვე თა-

ვისუფალ ქიზიყელებს გენოციდი მოუწყვეს, აცრით მუცლის ტიფი შეჰყარეს, რის შედეგადაც ქიზიყის მოსახლეობის ნახევარი განყდა. მეც, დედაჩემიც და ჩემი დაც დავსწეულდით, მაგრამ გადავრჩით. მაშინ ხუთი წლის ვიყავი, ალბათ სამკურნალოდ გვაშიშვლებდნენ და ეს სამუდამოდ დამამახსოვრდა.

დედაჩემი ბებიაჩემმა თხუთმეტი წლისამ გააჩინა. თავადაც ბავშვი იყო, შვილის გაზრდა გაუძნელდებოდა და ახალშობილი აღსაზრდელად მამიდამისმა თელავში წაიყვანა. გოზალიშვილებისა და მაჭავარიანების დიდებულ ოჯახებში იზრდებოდა და სასწავლებელი იქ დაამთავრა. მისი თანაკლასელი ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილის ქალიშვილი იყო. ბოლშევიკებმა მათთან მეზობლი ქაქუცას ოჯახი ციხეში ჩაამწყვდიეს. მისი ქალიშვილები ციხიდან სკოლაში ბადრავით მოჰყავდათ და გაკვეთილების დასრულების შემდეგ უკანვე აბრუნებდნენ, სადაც მათი დედაც იყო. ოჯახთან დასაკავშირებლად ქაქუცას ხერხი მოუგონია: წერილს აბრეშუმის ცხვირსახოცზე წერდა, ეს ცხვირსახოცი მის სანდო კაცს მაჭავარიანების სანდო ოჯახში მიჰქონდა. დედაჩემი ცხვირსახოცს სკოლაში მიიტანდა, მის გვერდით მჯდარ გოგონას კი დედამისის, ქაქუცას მუუღლის გამოტანებული, ასე-

თივე ცხვირსახოცზე დაწერილი წერილი მოჰქონდა. გოგონები ცხვირსახოცებს გაცვლიდნენ, ასე გადაიქცა დედაჩემი ქაქუცას მეკავშირედ. სკოლის დამთავრების შემდეგ იგი თავის სოფელში დაბრუნდა და მასწავლებლობას შეუდგა. სამი წლის როცა ვიყავი, ჩვენი ოჯახი საცხოვრებლად სიღნაღში გადავიდა. დედაჩემმა სამოც წელს იმასწავლებლა სიღნაღის ვაჟთა საშუალო სკოლაში. მეც ეს სკოლა დავამთავრე.

ბავშვობის დროინდელ რამდენიმე ამბავს გავიხსენებ. ანტიბოლშევიკი დედაჩემისგან განსხვავებით, მისი კომუნისტი და პარტიის რაიკომში მუშაობდა. იმხანად სადღესასწაულო დღეებში წარმოსატქმელ ლოზუნგებს აქვეყნებდნენ. 1939 წელს, როცა ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიები უკვე ჩავლილი იყო, ხუთი წლის ვიყავი. დედაჩემმა საშვიდნომბრო ლოზუნგი დამასწავლა. წინა დღეებში საბავშვო ბაღში მივიდოდი თუ არა, ხელს აღვმართავდი და ამ ლოზუნგს შეეძახებდი. ბაღის გამგემ ეს შეამჩნია და ძალიან მოეწონა. საზეიმო კრებისთვის შემამზადა. შვიდი ნოემბრის, (ოქტომბრის რევოლუციის ოცდამეორე წლისთავის) საზეიმო კრება სიღნაღის თეატრის დარბაზში გაიმართა. ლექსები ბლომად ვიცოდე. სცენაზე გამომიყვანეს და ძალზე გრძელი ლექსი სულმოუთქმელად ჩამოვარაკრაკე. დარბაზში მსხდომთ ალბათ გაუკვირდათ, ასეთმა პატარამ ამსიგრძე ლექსი რომ წარმოვთქვი და ტაშით დამაჯილდოვეს. ტაში როცა მიწყდა, ხელი აღვმართე და ლოზუნგი დავჭექე: "გაუმარჯოს მარქს-ენგელს-ლენინს-სტალინის დიად, უძღვევოდ დროშას!". ოვაციებს ბოლო არ უჩანდა, ტაშს მიკრავდნენ, ფეხებს აბრაგუნებდნენ და გაჰყვიროდნენ: "გაუმარჯოს დიდ სტალინს! დიდება ლენინს!". სცენიდან შემინებული გავიქეცი. ასე დაიწყო და იქვე დასრულდა ჩემი სასცენო და პოლიტიკური მოღვაწეობა.

კომუნისტური აღზრდა საბავშვო ბაღიდანვე იწყებოდა. დიდი ბელადის - სტალინისადმი, უკვდავი ლენინისადმი მიძღვნილ ლექსებს გვაზეპირებინებდნენ. ასეთი იყო, მაგალითად, საახალწლო ლექსი, დღემდე რომ მახსოვს:

*ნაძვის ხეო, გვახარე
 ბავშვებს უბედნიერესს,
 ახალი წლის სიხარულს
 შემოგძახით მშვენიერს.
 დარჩი ჩვენთან, ნუ წახვალ,
 აქ ხალისი ბევრია,
 ჩვენზე ზრუნავს პელადი,
 თავს დავგვხარის ბერია.*


სკოლაში კომუნისტობისკენ აღმავალი კიბე იწყებოდა: პირველი საფეხური - I-II კლასი - ნორჩ ოქტომბრელთა ორგანიზაცია, მეორე სა-

ფეხური - III-VI კლასი - პიონერთა ორგანიზაცია, კომკავშირელობისთვის მომზადება, III საფეხური - კომკავშირული ორგანიზაცია - კრებებით, დადგენილებებით და ასე შემდეგ. წარმატებულ კომკავშირელებს სკოლის დამთავრების წინ კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატის წოდებას ანიჭებდნენ, ხოლო განსაკუთრებულად წარმატებულებს პარტიის წევრობასაც. ისინი კარიერის ვარდფენილ გზას სკოლიდანვე გაუდგებოდნენ.

პიონერს სკოლაში ყელზე აუცილებლად უნდა ჰქონოდა მოხვეული წითელი ყელსახვევი, შერეული ლითონის აბზინდით, რომელზეც გამოსახული იყო ხუთი წითელი, აღმოდებული ძელი - ხუთი კონტინენტის გაკომუნისტების სიმბოლო. პიონერებს წესად ჰქონდათ: ერთი პიონერი მეორეს ყელსახვევზე სწვდებოდა, ყელში ნაუჭერდა და მანამდე არ შეუშვებდა, სანამ წამხრჩვალი არ შესძახებდა: "ხელი უშვი მუშურ-გლუხური სისხლით შეღებილ წითელ ყელსახვევს!". მახსოვს, რომ ეს ფრაზა ვერ მათქმევინეს და ჩემს ნახრჩობას თავი ანებეს.

ერთ ამბავსაც გავიხსენებ: სიღნაღში ერთი უშვილიძირო მეზობელი გვყავდა, მაღალი, ხმელხმელი, შუახნის კაცი, გალიფეშარვლიანი, ჩემი მეზობანი, მწვანეკიტელიანი, წითელვარსკვლავიანი, სტალინისებური ქუდი ეხურა, არავის ეკარებოდა და არც მას ეკარებოდნენ. მიზეზი მერე შევიტყვე: ოცდაოთხ და ოცდაჩვიდმეტი წლებში ანტიკომუნისტებს ხვრეტდა. ალბათ ამის შემდეგ ჭკუა-გონება შერყეული ჰქონდა (რაც ჯალაისისთვის დამახასიათებელია). ყველასგან გარიყული ბავშვებს დაგვიახლოვდა. დაგვამკრივებდა, თვითონ გაიჯგიმებოდა, მის წინ უნდა ჩაგვევლო და ერთხმად შეგვეძახა: "ვემსახურებით მშრომელ ხალხს!" ის კი გვიპასუხებდა: "თავისუფლად მიისაქმ-მოისაქმეთ!". ეს რიტუალი ყოველდღე მეორდებოდა. თვითონ ხარობდა და ჩვენც ვერთობოდით. ამგვარი რიტუალი ადრე არცთუ უწყინარი იქნებოდა ზრდასრულთათვის!

სკოლის წლებმა ერთფეროვნად ჩაიარა, სკოლა დავამთავრე და თბილისში ჩამოვედი უნივერსიტეტში გამოცდების ჩასაბარებლად. აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე კონკურსი სხვა ფაკულტეტებთან შედარებით ნაკლები იყო: შვიდი ერთ ადგილზე. შვიდი გამოცდა გვქონდა ჩასაბარებელი: ქართული წერა-ზეპირი, რუსული წერა-ზეპირი, ისტორია, გეოგრაფია და უცხო ენა. ქართულ წერასა და ზეპირში ხუთეტი მივიღე. სკოლაში რუსულის მასწავლებელი საუცხოო გვყავდა, მოხუცი ქალი, მკაცრი, მომთხროვნი ელიზავეტა ამირანოვნა შავერდოვა. კარნახს ხშირად გვანერინებდა და განაფული ვიყავი. უნივერსიტეტშიც კარნახი დაგ-



ვანერინეს. უშეცდომოდ მქონდა დანერვილი, გამოცდელს არ გავუნვალებივარ, რუსულად გამომელაპარაკა და ხუთები დამინერა. ისტორიასა და გეოგრაფიაშიც ხუთები მივიღე. დადგა უცხო ენაში გამოცდის დღეც. გამოცდა სამ ენაში ტარდებოდა: ინგლისურში, გერმანულსა და ფრანგულში. გამოსაცდელს თვითონ უნდა ამოერჩია, რომელი ენაც სურდა. გამოცდის წინ სხვა გამოსაცდელები მეკითხებოდნენ: რომელ ენაზე აბარებო? ვეუბნებოდი ჩემთვის სულერთიამეთქი. მართლაც სულერთი იყო, რადგან სამივე ენის ერთნაირად უვიცი გახლდით და ორიანს მოველოდი. აი, რატომ: უცხო ენა მეხუთე კლასში დავიწყეთ, ინგლისურის მასწავლებელი ახალგაზრდა, ლამაზი ქალი, ნინო ქართველიშვილი, მხოლოდ ორ თვეს გვასწავლიდა, ფეხმძიმე იყო და, სამწუხაროდ, მშობიარობას გადაჰყვა. ინგლისურის მცოდნე სიღნაღში მეტი არავინ იყო და მერვე კლასამდე უმასწავლებლოდ ვიყავით. მერვე კლასში ინგლისურის მასწავლებლად ლენინგრადიდან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოში გადმოხვენილი რუსი ქალი, ტამარა ნიკოლაევა მოგვივლინეს. საბრალომ, ბლოკადაში განანამებმა, ჩვენს ანცობას ორი თვე გაუძლო, ჭკუაზე შეირყა და ფსიქიატრიულ კლინიკაში მოათავსეს. ისევ უმასწავლებლოდ დავგრით მეთერთმეტე კლასამდე.

მეთერთმეტე კლასში ახლად სწავლადამთავრებული შავგვრემანი, ლამაზი გოგო მოგვიყვანეს, ორი თვის მერე ვილაცამ მოიტაცა და სკოლა უინგლისუროდ დაეასრულეთ.

შევედი ინგლისურის გამოცდაზე. გამომცდელები ორნი იყვნენ - ქალი და მკაცრი შესახედაობის კაცი. ნიგნი გადამიშალეს. ასოებს ვცნობდი და ორი სტრიქონი ვავაგლახით ამოვიკითხე. ნახეს, როგორი მონინგლისურეც ვიყავი და შემანყვევინეს, ახლა გრამატიკაზე გადავიდეთო: დგომა ინგლისურად როგორ არისო? არ ვიცოდი. ჯდომა როგორ არისო? არ ვიცოდი. ეს რა გრამატიკა იყო!

საგამოცდო ფურცელი მომთხოვეს, გავუნოდე და თავი დარცხვენილმა ჩავქინდრე. ქალმა საგამოცდო ფურცელს ჩახედა და შეეყოყმანდა. კაცმა უთხრა, რალას უყურებ, ორიანი დაუნერეო. ქალმა საგამოცდო ფურცელი მიაწოდა და უთხრა: შენ დაუნერეო! კაცმა საგამოცდო ჩაათვალიერა, მერე შემომხედა და მკითხა: ამდენი ხუთიანი მიგიღია და ინგლისურმა რაღა დაგიშავაო? ჩემი თავგადასავალი მოვუყევი. ბევრი იცინეს. მერე ქალმა მკითხა, ის გოგო რა გვარი იყო, ბოლოს რომ გასწავლიდათო? თავის ყოფილ სტუდენტად თუ ეგულეებოდა. ვუპასუხე: მაყვალა ერქვა, გვარის შეტყობა ვერ მოვასწარიო-მეთქი. თავი გადააქნიეს, არ იცოდ-



ნენ, რა ექნათ. მერე კაცმა უთხრა: სამიანი დაუნერო. ქალმა იფიქრა, იფიქრა და მერე უთხრა: ბარემ ოთხიანი დავუნეროთ, სტიპენდია რაღაზე დავაკარგვინოთო (ოთხოსნებს და ხუთოსნებს ყოველთვიურ სტიპენდიას აძლევდნენ, რითაც სულე მოითქვამდი). ისეთი საცოდავი შესახედავი ვიყავი, ალბათ შეეგებრალე. ასე უცნაურად ჩავირიცხე უნივერსიტეტში. ილბალიც ამას ჰქვია: ეს გამოცდა ბოლო რომ არ ყოფილიყო, ორიანი ხომ არ ამცდებოდა!

გაიარა უნივერსიტეტში ყოფნის ხუთმა წელმა. ამ ხნის განმავლობაში ქვეყნიერებაზე დიდი ცვლილებები მოხდა: სტალინის მმართველობისა და ნახევარი მსოფლიოზე მოსკოვის ბატონობის ხანა დასრულდა. საბჭოთა კავშირის ახალი მმართველი ნიკიტა ხრუშჩოვი სტალინის პიროვნების კულტის დაგმობას შეუდგა, სტალინის გვამი ლენინის მავზოლეუმიდან გამოიტანეს, კრემაცია გაუკეთეს და ფერფლი კრემლის კედელში შედგეს (ლენინი ახლაც მავზოლეუმში ასვენია და გამოსვენებას ელის).

სტალინის დამცირებამ ქართველი სტალინელების პროტესტი გამოიწვია. სტალინის გარდაცვალების (თუ მონამვლით მოკვდინების) სამი წლის თავზე, 1956 წლის 5 მარტს თბილისში მიტინგები დაიწყო და პიკს 9 მარტს მიაღწია. სტიქიურად აგორებული ტალღა ამბოხებად გადაიქცა. უკვე გაისმოდა დამოუკიდებლობის მოთხოვნის მონოდებები. მე 9 მარტამდე გარეთ ფეხი არ გამიდგამს. გულზე არც სტალინი მეხატა, არც მისი მოთაყვანეები. ჩემი უფროსი და ლამარა მიტინგებზე დადიოდა და მეუბნებოდა, გადი, ნახე, რა ხდებაო. 9 მარტს მტკვრის სიახლოვეს გაშენებულ პარკში ჩავედი, სადაც სტალინის უზარმაზარი ქანდაკება იდგა. უმთავრესი მიტინგები იქ იმართებოდა. ამბოხებულნი იქიდან რუსთაველის გამზირისკენ გაემართნენ, კავშირის სახლში შექრას და დამოუკიდებლობის გამოცხადებას აპირებდნენ. განა ამას დაანებებდნენ? შენობიდან ტყვიამფრქვევი აკაკანდა. ამბოხებულებმა უკან დაიხიეს, ქუჩა დაცარიელდა. შენობის წინ დახოცილები ეყარა.

სადამსჯელო ოპერაციას ამიერკავკასიის ჯარების შტაბიდან წარმართავდნენ, საქართველოს ხელისუფლებას არაფერს ეკითხებოდნენ. მილიციას არ ენდობოდნენ და მიტინგების დაწყებისთანავე იარაღი ჩამოართვეს. ქუთაისში განლაგებულ ქართულ დივიზიაში აღჭურვილობის წმენდა გამოაცხადეს, იარაღი დააშლევინეს, ფაქტობრივად განაიარაღეს. შემდგომში ეს დივიზია დაშლეს, დივიზიის შემადგენლობა მთელ საბჭოთა კავშირში განლაგებულ სამხედრო ნაწილებში მიმოფანტეს.

სტალინის ძეგლის კვარცხლბეკზე მომწოდებელი მომწოდებელს ცვლიდა. ძეგლის წინა

მოედანზე ხალხი ისე მჭიდროდ იდგა, ნემსი არ ჩავარდებოდა. მალე მოედანი სადამსჯელო რაზმმა ალყაში მოაქცია. მათ უკან ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი ჯავშანმანქანები გამოჩნდა. მოალყენი ეგრეთწოდებული "მერვე პოლიციდან" იყვნენ, რომელიც რუსეთიდან ჩამოყვანილი, სადამსჯელო ოპერაციებისთვის განვრთნილ-დაგეშვითაგან შედგებოდა. ისინი კვარცხლბეკზე აიჭრნენ და მომიტინგეთა გადმოურას შეუდგნენ. ერთმანეთთან ხელჩაკიდებული მომიტინგენი არ ნებდებოდნენ. ძიძგილაობამ ერთხანს გასტანა. მერე ბრძანება გაისმა: **ШТЫКИ!** (ხიმტყვი!) რაზმელებმა ხიმტყიანი შაშხანები მომარჯვეს, კვარცხლბეკზე მდგართ გულ-მუცელი გამოფატრეს და გადმოყარეს. ორ წუთში კვარცხლბეკი დაცარიელდა. მოედანზე მყოფებს ყოველი მხრიდან მოგვანგნენ შაშხანამომარჯვებულინი. გზა ქუჩისკენ ამაველი კიბისაკენ გაგვიხსნეს. დროდადრო გაისმოდა ბრძანება: **Ложись!** (დანექით!), მერე - **Огонь!** (ცეცხლი!) ჰაერში ისროდნენ დასაფრთხოებად. შემჭიდროებულნი როგორ დავნებოდით. ვინც დანვა, გადაქელეს. ქუჩაზე აგვრეკეს. ზოგნი ქუჩას გაუყვნენ, ზოგნი მტკვრისკენ ფერდობზე ჩარბოდნენ. მათ დამიზნებით ესროდნენ. ყველაზე ბევრნი იქ დაიხოცნენ. ინსტინქტმა მიკარნახა: ქუჩას გავყოლოდი, საითაც უფრო მრავალნი წავიდნენ. შორიდან, ვაგზლის მხრიდან მოვუარე და ვაკეში გამთენიისას ავედი, სადაც ცცხოვრობდი. სამი დღე და ღამე გონებაარეული ვიყავი, გაუნძრევლად ვინექი, ჭერს ავყურებდი და თვალგახელილი ხიმტყვით გულ-მუცელგამოფატრულებს ვხედავდი.

ყველაფერი ისე დამთავრდა, თითქოს არაფერი მომხდარა, თითქოს რამდენიმე ასეული ადამიანი არ დაუხოციათ. დახოცილებსა და დაჭრილებსაც კი მტკვარში ყრიდნენ, კვალის წასაშლელად. ბოლშევიკებმა ბასრი ბრჭყალები გამოაჩინეს, გვაჩვენეს, რომ მათ სანინალმდევო ყოველგვარ ქმედებას სისხლში ჩაახრჩობდნენ.

იმ მიცვალებულთა დაკრძალვა, რომლებიც პატრონებმა მოიძიეს, გაასაიდუმლოეს. დაკრძალვაზე დასწრების უფლებას მხოლოდ ჭირისუფლებს აძლევდნენ.

დამნაშავენი არ გამოვლენილან, არავინ დასჯილა. ბოლშევიკები თავს ხომ არ დაიდანაშაულებდნენ, ხოლო დასავლეთისგან რკინის ფარდით გამიჯნულებს იქიდან ვერ გამოგვესარჩლებოდნენ.

ამ ტრაგედიიდან ორი თვის შემდეგ უნივერსიტეტის მეხუთე კურსი დავასრულე. სახელმწიფო გამოცდებილა მქონდა ჩასაბარებელი. ერთი საგანი იმ დროს ყველა ფაკულტეტისთვის აუცილებელი, მარქსიზმ-ლენინიზმის

საფუძვლები გახლდათ. ჰოდა, ჯავრი მარქსიზმ-ლენინიზმზე ამოვიყარე. გამოცდაზე შევედი, მაგიდაზე გაშლილი ბილეთებიდან ერთი ბილეთი ავიღე, ცოტა ხანს ვიჯექი და მერე გამომცდელებს ვუთხარი, ეს საკითხები არ ვიცი, ბილეთს გამოვცვლი-მეთქი. გამოცვალე, მაგრამ ერთი ნიშანი დაგაკლდებაო. ავიღე მეორე ბილეთი, ცოტა ხანს კიდევ ვიჯექი და ისევ გამოსაცვლელად გავემართე. მითხრეს, გამოცვალე, მაგრამ ერთი ნიშანი კიდევ დაგაკლდებაო. ავიღე მესამე ბილეთი და მისი გამოცვლაც რომ მოვიხდომე, მითხრეს, ვერ გამოგაცვლევინებთ, მაშინ პირდაპირ ორიანი უნდა დაგინეროთო. მაგ ბილეთზე გვიპასუხეო. არც წამიკითხავს, რა საკითხები იყო, ისე ვუთხარი, პირველი საკითხი არ ვიცი-მეთქი. მეორე საკითხზე გადადიო. არც მეორე საკითხი ვიცი-მეთქი. მესამე საკითხზე გადადიო. არც ეს ვიცი-მეთქი. აღარ იცოდნენ, რა ექნათ. მარქსიზმ-ლენინიზმში ორიანის დანერა მარქსსა და ლენინს დამციურებდა. შემეკითხნენ, გამოცდისთვის რა მოამზადეო? ვუპასუხე: არაფერი მომიზრადებია, აქ შემოსვლის წინ პარტიის ისტორიის სახელმძღვანელო გადავფურცლე-მეთქი. ლენინის რომელიმე ნაშრომი დაგვისახელეო, ხავს ეჭიდებოდნენ გამომცდელები. ერთი ნაშრომის სახელწოდების პირველი სიტყვა მატერიალიზმია, მეორე სიტყვა ძალიან ძნელია და ვერ დავიმახსოვრე-მეთქი. ნაშრომს "მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" ერქვა. ამას რა ნამაკითხებდა. უცხო სიტყვითა ლექსიკონში ახლა ჩავიხედე: ემპირიოკრიტიციზმი ფილოსოფიაში იდეალისტური მიმართულება ყოფილა. მითხრეს, საგამოცდო ფურცელი მოგვეციო. მივანოდე და თან შევეკითხე, რა ნიშანს მიწერთ-მეთქი? სამიანსო. სამიანს რატომ მიწერთ-მეთქი? მამ უფრო მეტი გინდაო? მეტი კი არა, ორიანი უნდა დამიწერთო, არაფერი მიპასუხია-მეთქი. შვილო, შეგვიბრალე, ჩვენც ადამიანები ვართო, მითხრა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარემ ისე გულწრფელად, რომ გული ამიჩქროლდა და მეც გულწრფელად გავუღიმე. ერთმანეთს მშვიდობიანად დავშორდიო.

1956 წლის მარტში დაღვრილ სისხლს ამაოდ არ ჩაუვლია. ამ ოთხმა დღემ საბჭოთა სახელმწიფოს საძირკველი შეურყია. ცხადი გახდა, რომ საბჭოთა კავშირი სოციალისტური რესპუბლიკების საძმო კი არა, მოსკოვის სამბრძანებლო იყო. ბოლშევიკებმა ჩვენი თაობა გადაიმტერეს. შემდგომმა თაობამ ძალა მოიკრიბა, ეროვნული მოძრაობა გაღვივდა და ხელსაყრელი ვითარება როცა დადგა, 36 წლის შემდეგ დამოუკიდებლობის გამოცხადებით დასრულდა.

1956 წლის 5-9 მარტის მოვლენები გამოსაკ-

ვლევია და შესაფასებელია. დასადგენია, რამდენი დაიღუპა, დასადგენია მათი ვინაობა, დაჭრილთაგან ვინმე გადარჩა თუ არა, რადგან სკდომადი ვაზნები გამოიყენეს, რომლით დაჭრილიც სასიკვდილოდ იყო განწირული. თვითონ ვარ მონმე: სადაც ოთახი გვექონდა ნაქირავები მე და ჩემს დას, იმ ბინის პატრონის ვაჟი, ფეხში დაჭრილი თოხმეტი წლის ბიჭი სისხლისგან დაცლილი გარდაიცვალა.

ნიშანდობლივია, რომ მემამოხენი უმთავრესად უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები, ახალგაზრდობა, სტალინელ მამათა თაობა კი არა, ანტიკომუნისტურად, ანტიიმპერიულად განწყობილ შვილთა თაობა იყო. ამ ტრავმებიდან სამოცდაათი წელი გადის სამი წლის შემდეგ, 2026 წლის მარტში, და აუცილებელია, დადგინდეს, რომ ეს სტალინის დიდების შემბლავეთა საწინააღმდეგო პროტესტის გამოვლინება კი არ იყო, ეროვნული ღირსების დამცველთა, რუსული იმპერიალიზმიდან სამშობლოს დახსნისთვის მებრძოლთა თავგანწირვა გახლდათ.

ორიოდ სიტყვას ჩემს თარგმანებზეც მოგახსენებთ. ჩემი პირველი თარგმანი იყო იტალიელი საბავშვო მწერლის, ჯანი როდარის ზღაპარი, "ჯელსომინო ცრუთა ქვეყანაში". ეს ნიგნი სამოცი წლის წინ ვთარგმნე. ჯანი როდარი იტალიის კომუნისტური პარტიის წევრი იყო და ცრუთა ქვეყანად ფაშისტური იტალია წარმოსახა, მაგრამ ბედის ირონიით მოსკოვის კომუნისტური იმპერიაც ფაშისტური იტალიისა და გერმანიის ტყუპისცალი გახდა და ეს ნაწარმოები ამ იმპერიის სახის მაჩვენებელი სარკეცაა და ამიტომაც ვთარგმნე. რამდენჯერმე დაიბეჭდა და ქართველი ბავშვების საყვარელი ნიგნი გახდა.

მას მერე სამოცი წელია, რუსული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებს ვთარგმნი. დიდ ლიტერატურას დალხენილი ერი კი არ ქმნის, ის დესპოტიზმით განამებული ერის ნიაღში იბადება. სწორედ ასეთი იყო და არის რუსი ერი. სათარგმნელად სამი კლასიკოსი ამოვარჩიე: ფ. დოსტოვესკი, მ. ბულგაკოვი და ა. პლატონოვი. ისინი რუსეთის სახელმწიფოს მანკიერებათა პიროვნული მამხილებელი არიან.

მთარგმნელობის მნიშვნელობაზე კი ამას ვიტყვი:

ყოველი ერი, თუნდაც ფრიად წარმატებული, საუკუნეში ერთ-ორ დიდ მწერალს თუ შობს. ხოლო მრავალეროვან, მრავალსაუკუნოვან ქვეყნიერებაში ლიტერატურის შედეგები უამრავია და მათი თარგმნით მშობლიური ლიტერატურა მიღვრდება.

სათქმელი კიდევ ბევრი მაქვს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ამას ვიკმარებ.

ნანა აკობიძე

აბელი და კენი

ზურგზე ამოტრიალებული ფაროსანა გამწარებული იბრძვის ფეხზე დასადგომად. მიდი, იბრძოლე, ვეუბნები, ეგაა ცხოვრება. ფრთამოტეხილი ჯახირობს. ეტყობა, ფეხი დაადგა ვილაცამ. იმის ჯინაზე უნდა ადგეს. საკუთარი თავის ჯინაზეც. მიდი, მავნებელო, ადექი, სანამ კეთილი ვარ, გაუყევი შენს ფაროსნულ გზას ფაროსნულ ლაშქრობებში. გაანადგურე, რაც გზაზე შეგხვდება, სანამ შენვე გაგანადგურებენ.

აჰა, შეუცნობელ არიან გზანი უფლისანი: ადგა და გაუყვა გზას გადარჩენილი, სამზეოზე გაღწეული. მაგრამ ავდექი მეც, კენის შვილი, გავედი ველზე, აღვდექი მის წინააღმდეგ და მოვკალი იგი. არაფერია უფრო დიდი სისასტიკე, მაშინ მოგკლან, როცა გადარჩენილი გგონია თავი! სასტიკი ვარ მე დღეს, რადგან, ძმაო აბელ - დაგაგვიანდა, ვერ დაიჭირე ნამი, როცა კეთილი ვიყავი. ნამია ყველაფერი. ერთი ნამია სიკეთიდან სისასტიკემდე. კეთილ ინებე და ჩაეტიე.



დილისპირული

დილის ყავა. ჭრიჭინების უწყვეტი დილა მშვიდობისა. თითქოს ძალიან ჩვეულებრივი ამბავია - ქალაქის ცენტრიდან ორი წუთის სავალზე. და რით არ ჰგავს ნამდვილ ტყეს ეს ჩემი ეზო, ეს ჩემი ხეები? მათგან ყველაზე პატარა ნახევარი მეტრიც არ იყო, რომ ჩავრგე. ახლა სახურავსაა აცდენილი და მეზობლის ფანჯრებში ცდილობს რაიმე სახეიროს დანახვას. ცდები, მეგობარო, შენ აქ არავინ გახეირებს. შავი ტყე. თეთრი ტყე. ვერაფერსაც ვერ შეიტყობ - ჩემსავით. მალე დაბერდები და გადაგხრის წელში მალეების თიაქარი. დილის ყავა ფანჩატურში, სკამებზე დახვავებულ წიგნებთან, რომლებსაც აწი არასოდეს ნაიკითხავ. როცა ნაიკითხე, რა ხეირი? მაინც ატან ხელს ერთ თხელ მათგანს. პოეტიგოგოს ლექსებია. მგონი, ჩემს თავს მაგონებს, ჩემს ნათქვამ-ნაფიქრს, ოღონდ გაუწიგნებელს. აი, ხვალ თუ გავაწიგნებ, "ეგ მე ათი წლის წინ ვთქვი", - იტყვის პოეტიგოგო. "იმან უკვე თქვა" - იტყვიან. "და მერე?" - ვიტყვი მე. დამშვიდდი, პოეტიგოგონა, ჩემთან ყველაზე უსაფრთხო ხარ. აი, გადაგდე გვერდზე - არ შემომეკითხები. შენც მშვიდად, მეც მშვიდად. დილის ყავა. დილის ჭრიჭინები. დილის სიზმარსაცდენილი ფიქრები, მთვრალი კაცივით მოზარბაცე კეთილსა და ბოროტს შორის. რაც ჩემთვის გინდოდეს, ერთიც არ ავცდეს! ეს არაა წყველა, ცხოვრებავე, ლოცვაა. შეგეწიოს.





ვალაუვალი

მოდ, ვთქვით პირდაპირ: მე გავკოტრდი.
 ყვეს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო.
 ერთი აყვავება ნეხვიც აყვავდება და ერთხელ მეც
 აყვავადი.
 ნიშნავს: მქონდა სახლი, მყავდნენ მეგობრები,
 ვიყავი ახალგაზრდა.
 მოდი, ვთქვით პირდაპირ: არასოდეს ვყოფილვარ
 ლამაზი.
 მხოლოდ ახალგაზრდა, რაც, პრინციპში, ერთი და
 იგივეა.
 როცა ყვავი ხარ, ბუც ერთი ხელის განვდენაზეა
 შენგან.
 ოღონდ ბუ ჭკვიანია შენგან განსხვავებით და
 მიაქვს და მიაქვს:

შენ მაინც ბევრი გაქვს!
 ნისკარტი იფხან გულს და დასჩხავი საკუთარ
 თავს:

ნეტავ როგორ იყო მანამდე, სანამ აყვავდებოდდი,
 როგორ ვუყვარდი,
 როგორ ვჭულდი,
 რა ერქვით საგნებს,
 რა ენაზე ვეძახდით ერთმანეთს,
 რა სახელებს და ფსევდონიმებს.
 არაფერი, სულ არაფერი...
 არაფრიდან, სულ არაფრიდან...
 არაფრისკენ, სულ არაფრისკენ...
 არაფერს, გმადლობთ. მე მაინც არ მჭირდება.
 წაიღეთ - ბოლომდე გამოზიდეთ,
 ყველა მევახშეს ბოლო თეთრამდე მიუთვალეთ.
 მილიონს თეთრიც არ დააკლდეს, თორემ მილიონი
 აღარ იქნება.

შენ მაინც არ გჭირდება.
 ჰო, დიახ. მე მაინც არ მჭირდება.
 ერთ გამხმარ უფასო ტოტს ყოველთვის ვიპოვი
 სადმე,

ჩამოვჯდები,
 ნეხვს ჩამოვიფერთხავ მხრებიდან,
 გულს გადავყოლებ,
 ვიყურებთ შორიდან -
 ერთი აყვავება როგორ აყვავდებო.

უარაფრობა

ვინ შემარჩენს ამდენ უარაფრო დილას.
 არაფერი მაქვს გასაკეთებელი.
 არაფერი მაქვს გასაკეთებელი.
 რა დიდებული მანტრათა,
 რა დიდებული დასვენებაა ყველა გაკეთებული
 საქმისგან.
 რა ნაკურთხია არაფრის კეთება.
 თვლიც რომ ისვენებს,
 ზანტად ვაყოლებ მეზობლის ბებერ კატას,
 საყვავილე ქოთნისკენ რომ მიიწევს,
 მიდი, გადმოაგდე, დღეს უქმეა,
 დღეს ცის და ქვეყნის მორთულობა არ
 ამალეულებს,
 ყურიც ყრუა დღეს ტყიდან მოტანილი ჩიტების

ჭიკჭიკისთვის.
 შესაძლოა, ესაა სამოთხე და აქ ვარ უკვე.
 რა დიდებულია არაფრის კეთება
 და ამის გამო დანაშაულის გრძნობის არქონა.
 გაგრძელდი, არაფრის კეთებაო.
 არ გათენდე. არც დაღამდე.
 ვის შერჩენია ასეთი უარაფრო დილები,
 მე რომ შემარჩეს?
 ასე არ ხდება - მიწა სკდებოდეს სადღაც,
 ანერტილიდან აფრენილი რაკეტა
 სამშობიარო სახლს ეცემოდეს ბნერტილში,
 ქოთნის ყვავილი წყლის დასხმას ითხოვდეს,
 მამაშენი მინისქვეშ იწვეს,
 შენ იწვე ამ, ერთი შეხედვით, უბოროტო დილას და
 ბუხისთვის ხელის აქნევაც გეზარებოდეს.
 მოგეკითხება ეს უარაფრო დილები!

ჩემი უპირატესობა

ჩემი სახლი მიწაზე დგას.
 მტკაველით არ გამოზომია,
 ახლა სიდიდეები სხვა ერთეულებით იზომება.
 გვერდით ახალი კორპუსი დგას და ადამიანები
 შედიან და გამოდიან -
 ჭიანჭველებივით ეზიდებიან თავიანთ ახალ
 ბინებში შესაზიდს.
 ირგვლივ ღარიბული სახლებია - უშნო ხედი
 ზემოდან.
 ჩემი სახლიც უშნო ზედხედია,
 ღარიბულ სახლებს შორის ჩაკვებულში,
 უბრალოდ, სიმწვანე აყრია ფერუმარილად და
 მტკივანი ხერხემლის მიუხედავად, მაინც
 ქუსლებზე დგას -
 ხანშიშესული პრანჭია ქალივით.
 მიწაშია ჩარჭობილი მისი ქუსლები.
 მიწაში, სადაც წუხელ ჭიანჭველების ბუდეს მივაგენი
 და

წყლის ჭავლით დავშალე
 (ასე შლიან დემონსტრანტებს ჩემს ქვეყანაში).
 თან ვფიქრობდი: მაინც მათი ვახშამი ვარ,
 სჯობს, აქედანვე შევეჩვიო.
 ვუთხრა: ჰეი, მეც ერთ-ერთი თქვენია ვარ...
 მაინც დავშალე. დავათითოკაცე და
 სანიაღვრე მილისკენ გავისტუმრე.
 მომნამკვლელი გაზი არ გავუშვი - დავინდი.
 მერე ჩემს მიწაზე ჩამოვჯექი და უმიწო
 მეზობლებს ავხედე:
 შუქები აანთეს, ქალებმა თმები გაიშალეს,
 ბავშვმა ხმაურით გაახრიგინა სკამი სადღაც
 მეხუთე სართულზე.
 კაცებმა აივნიდან უშნო ზედხედისკენ
 უპირატესობის შეგრძნებით გადმოაფერფლეს.
 ჰეი, უმიწო ხალხო,
 წადით ახლა თქვენს უმიწო სიზმრებში,
 პარკეტზე ჩამოსრიალებული საბნები
 შემოიკეცეთ.
 მაცადეთ ჩემს მიწაზე ჯდომა და უპირატესობის
 შეგრძნებით ტკბობა:
 რომ ჩემი მიწა მაქვს. არ ვიცი, რამდენი მტკაველი,



მაგრამ მაინც მინა, რომელზეც ვზივარ (მინაზე არ დაჯდე - შვილი არ გეყოლება, მაფრთხილებდა ბებიჩემი). თამამად ვზივარ ჩემს მინაზე: შვილები მყავს. მინა მაქვს, რომელსაც აქედანვე ვერვები და ესაა ჩემი უპირატესობა.

შენ მაინც არ გჭირდება

თუ რამეს გთხოვენ: "შენ მაინც არ გჭირდება", არ ათხოვო - საშიშია ასეთი მთხოვნელი. "შენ მაინც არ გჭირდება", და წაიღებს ჯერ უთოს - მაინც დაჭმუჭნული კაბით დადიხარ. მერე სარკეს - ასი წელია, არ ჩაგიხედავს. მერე ცელს - მაინც მოუთიბავია შენი ეზო-კარი. ერთხელაც ნახავს, რომ აღარ გჭირდება ეს სიცოცხლეც, დაგვიპატარავდა, უშნოდ გადავს ტანზე. წაიღებს. საშიშია. ერიდე.

გაშვება

"გამოშვი!" - გეტყვის შვილი და იქცევი სუროდ. ეხვევი. ეხლართები. ხმელი საცეცებით ეჭიდები ხორცსა და რბილში. ჯერ გინდობს, მერე ნელ-ნელა აგიგლიჯავს სხეულიდან. ჩამოისვამს ხელებს ნაშენარ ტანზე, თვალებზე, ჩამოაყოლებს შენი საცეცების მიმხმარ ნარჩენებს. "როგორ დამლაღე!" - იტყვის და წავა. შენ კი გაერთხმები მინაზე - რაღაცას მაინც იპოვი მოსაჭიდებელს. "გამოშვი!" - გეტყვის მშობელი და ახლა აქ გამოისხამ ახალ საცეცებს, უფრო წანვეტიბულს. ხორცი რბილი აღარაა, გახვევებულია და ადვილად ვერ არჭობ. მისი ხელიც უფრო დამნდობია, გზოგავს, რომ ერთიანად არ ჩამოგიგლიჯოს, შემთხვევით ფეხი არ დაგადგას. "როგორ დავილაღე!" - იტყვის. იჯერებ და აქ გაგაცურებს - გეპარება. გამხმარი ტანიდან იპოვებს ნაშენარ საცეცებს და ხელუკულმა გესვრის ღობისგადაღმა გადასული. "წაღმა-წაღმართიანად იარე!" - მოგძახის. "აბა, სად ვიარო, სად!" - ამბობ შენ-სურო და ახლა საკუთარ თავს ეჭიდები მოსაგლეჯად. თუ მოიგლეჯ, წახვალ. იცოდე, რომ ეს შენი ბოლო შანსია - როგორც - საკონტროლო ტყვია.

დაუნერელი ამბები

თუ ჩამომჯდარი დამინახეს, შემომახტებიან ეს დაუნერელი ამბები: "მე დამწერე!" "არა, მე დამწერე!" როგორც ჭინკები: თმებში მწვდებიან, ფეხებზე მაცოცდებიან, ცხვირ-პირს მიდორბლავენ: ენის წვერზე უნდათ შეღწევა. "მაცადეთ ერნამა! დამაყენეთ ჩემთვის!" ზანტად, მხოლოდ ფიქრში ვიგერიებ - მამაჩემს ვგავარ ამ დროს: ერთ დროს სათიბში - ახლა საფლავეზე მიწოლილს. მერე გავმწარდები: გავიქნე ხელებს და ჩამოვიფერთხავ, მივყრი-მოვყრი, დაესევინ და გაათრევენ ზურგიდან ჩამოცოცებული ჭიანჭველები. ზოგჯერ მაინც დამითრევენ რომელიმე - ლიტინით შემალონებს და "კარგი, ჰო, დაგწერ" - ვეტყვი. "რას დაწერ, ვის დაწერ!" - თოფით ამომიდგებიან უცებ უკან საქმიანი ქალაღდები. "მოაშორე აქედან ეს პარაზიტები, სანამ ყველანი დავხოცეთ". "მე თვითონ" - ვეტყვი თოფიან მცველებს და "წადით ახლა" - დამტკბარი ხმით - "აგერ, ბუხარი, შეძვერით - თქვენნაირები შეტეულან!" ნიხლით ვტენი ტვინის ერთ კუთხეში მიწავლულ ბუხარში. რომელიც არც ქრება, არც რჩება, ასე ზღვარზეა, რახანია, როგორც პიროტექნიკის სანყოფი. აალება იცის. საშიშია.

როგორ გროვდება ეს ცხოვრება

როგორ გროვდება ეს ცხოვრება ბავშვის დაპატარავებული ტანსაცმელივით - ვერც ყრი, ვერც აჩუქებ... როგორ გროვდება ეს ცხოვრება! ათასობით კვადრატული მეტრი გამიხდა, თითოეულ უჯრედში ადამიანები და საგნები არიან ჩასახლებული. მუდმივი ბინადრობის უფლებით. საკუთარი თავის კონსიერჟი ვარ. გასაღებსაც არ მიტოვებენ, ფანჯრები რომ გამოვიღო და გავნიავდე.


მტრებმა დაიწყეს სიკვდილი

და აჰა, ჩემმა მტრებმაც დაიწყეს სიკვდილი.
 "ერთი კაცი იყო, გკითხულობდა" - მეუბნება მამაჩემი.
 "რანაირი კაცი იყო, მამაჩემო?"
 "ბობრი კაცი იყო" - თან თხილის ჯოხს თლის ჯაყვით.
 "არ მოვა", მე ვუთხარი, "შევლაპარაკდით",
 "მერე?" - ვფითრდები - ნეტა ვისთან მოუვიდა შევლაპარაკება ჩემს ბებერ მამას,
 ხომ არ მოერია ის ბობრი კაცი.
 ჩაიცინებს მამაჩემი: "ველარ მოვა".
 ცერს უსვამს ჯაყვის პირს.
 "ხომ არ მოკალი, მამაჩემო?"
 "აბა, რა უნდა მექნა!" - უკვირს,
 მანამდე ერთი ქალი იყო მოსული. ისიც".
 "იქნება-და, არ იყვნენ სამტროდ მოსულები?"
 ჩაიცინებს ისევ: "ბოვში ხარ შენ ჯერ და არ იცი -
 აქ სამოყვროდ ვინ დაგიცდის!
 ყველას მივხედავ - მგელია მამაშენი!
 მართლა ხომ არ გგონია, მოვკვდი?"
 მგელია მამაჩემი.
 მანდაა.
 წვერალესილი ჯაყვით თლის თხილის ჯოხს.
 მიღით.
 გამოეცანით.



პროფესორი

ორ წელიწადში დოქტორი ვიქნები.
 მომემატება ათ კილომდე,
 ასაკი - ორმოცდაათ წლამდე,
 CV-ში - აბრევიატურა Ph.D
 ველარასოდეს გაეხდები, მაგრამ სამაგიეროდ გაეხდები პროფესორი;
 იმ დროისთვის უცხოენოვან ანთოლოგიებში
 ჩემი რამდენიმე ლექსი იქნება შეტანილი და
 რეცენზიებში აღნიშნავენ, რომ ავტორი ნ. ა.
 ფი ეიჩ დია. ლექსს მოემატება აკადემიური ხარისხი.
 პროფესორი, გვარად ლალლი
 მიმიწვევს (იმედი მაქვს) სან ხოსეს უნივერსიტეტში სუპერკულტურის პროგრამაზე.
 "ნადი", - მეტყვიან. "ბავშვები თავის გზაზე დგანან,
 შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ".
 აქაურ ჩემს პროფესორსაც ექნება რამე საჩემო გეგმა,
 ოღონდ ჯერ ადრეა;
 ჯერ ყურს აჩვევს ჩემს რბილ ლ-ს და არასტაბილურ ხასიათს.
 "გმადლობთ," - ვიტყვი, - მაგრამ სოფელში მივდივარ".
 სოფლის სკოლაში უნდა წავიდე მასწავლებლად.
 წავიღებ რამდენიმე აბრეშუმის კაბას
 და ქოთნით - გუგულის კაბას,
 მეგობარმა პროფესორმა რომ ჩამომიტანა კახეთიდან.
 ბავშვობაში ვოცნებობდი,
 ვყოფილიყავი პროფესორი და მეველო მოტოციკლით.
 წავალ სოფელში. ვივლი იმ დროისთვის
 რამე უკეთესი "ციკლით" და ვასწავლი ბავშვებს,
 რომ აუცილებლად წავიდნენ იქიდან, სადაც დაიბადნენ,
 რადგან არცერთი ოცნება არ ხდება დაბადების ადგილზე.
 დაბადების ადგილზე მხოლოდ სიცოცხლე და სიკვდილია.
 ნამდვილი ცხოვრება სხვაგანაა.
 წადით, ბავშვებო, იმ "სხვაგან" ადგილებში.
 თან არაფერი წაიღოთ - დაგამძიმებთ.
 მით უფრო მინა - დაგეპნევათ, ფეხქვეშ აგეზილებათ.
 თუ არ ნახვალთ, უკან ვერასოდეს დაბრუნდებით.
 წავლენ. პროფესორის სიტყვას ძალა აქვს. დამიჯერებენ.




ზაალ ჯალაღონია

იცდის ღმერთი

ფართო ქუჩა, ვდგავარ.
 ნელა ჩამიარა წითელი ფერის მანქანამ
 და განაგრძო გზა.
 ამ გაუგებრობაში მოხვედრილი
 ძველი საბჭოთა დროინდელი ე. წ. "ჟიგული" იყო.
 ქალაქში ადამიანები მოძრაობენ.
 ვილაცას ჯაჭვით დაბმული ბულტერიერი
 მოჰყავს,
 და არც კი ესმის, რა უნდა მათხოვარს, რომელსაც
 გულგრილად ჩაუვლის.
 მას კი ჯვარცმული ღმერთივით
 ხელები გაუშლია და მთელი ქალაქის ჩახუტებას
 აპირებს.
 მე მაკვირვებს, რომ ჩემი ცხოვრების გადაღმა
 შიშველი წარმოსახვები დგანან, დგანან და
 იცდიან.
 მე მათთვის მოვიგლიჯე ცხადი და უსასრულო
 ხახაში
 ჩავტენე ძალით, როგორც მსუყე ხორცის ნაჭერი.
 ჯერ ჩემს ცნობიერში შემიძლია ცხოვრების
 გაგრძელება,
 შემდეგ გავაგრძელებ უწყვეტ სინათლეს.
 ასე ვფიქრობ, მინიდან ამოსულ სუნთქვას პირს
 ვახვედრებ.

და სევდიანი გზრუნდები სახლში.
 სანოლზე
 მიბმულ სიზმარს ვათავისუფლებ.
 ნელა ვაღებ ფანჯარას და ცარიელ ოთახში
 შემოჭრილ ჰაერს
 სენტიმენტალური ღიმილით ვეგებები.
 მეორედ მოსვლა აქტუალურია თუ
 გამაღიზიანებელი?
 უფრო საშის ვიტყვოდი, ჩვენი დაულაგებლობის
 გამო.
 წვერი უნდა გავიპარსო
 და დაველოდო სტუმარს.
 ყველა სტუმარი ღმერთია, რადგან
 შენ აღარ იცი, როგორ შეგხვდება, როგორ
 შეხვდება.

თუ არ მოვიდა, შეიძლება, რომელიმე
 ქვეყნის ფეხბურთის ჩემპიონატსაც ვუყურო.
 მანამდე ვიცდი
 ამ ცარიელ ოთახში.
 ლოდინის ცა მახურავს თავზე.
 არ ვიხსენებ ჟიგულს, არც ბულტერიერს,
 მაგრამ ფიქრში ვერ ვიშორებ მათხოვრის ხელებს,
 რომლებიც სულაც არ იყო კონკრეტული
 ან აბსტრაქტული.
 ის უფრო ნარაუშლელია.
 ნამიერია და ისარვივით ყოვლად გამჭოლი.
 მითუმეტეს, რომ ის არ იყო ღმერთი.
 მაგრამ ის იდგა უფუნქციო, ჩვენგან გაუქმებული
 ღმერთივით.
 თანდათან ჩემი ოთახი პოეზიის მაგიური
 რეალიზმით
 ივსება.



ჩემი ფიქრები პოლოკის ხახუბივით არეულია,
 რომლის შიგნიდან გაცილებით მეტია ყველაფერი
 და ამოღწევაც შეუძლიათ ალტემის გარეშე.
 იქ, ქუჩაში კი დგას კაცი ბულტერიერით,
 დგას მათხოვარი და მე სტუმარს ველოდები
 ცაში კი იცდის ღმერთი.
 და ყველანი ისე ვართ, როგორც ეს
 მოგვიხერხდება...

შენს თავში ყვირილი ატეხე,
 როგორც უხსოვარმა გემით მოგზაურმა,
 დიდი ხნის შემდეგ,
 როცა პირველად იხილა
 მინა...
 მეტი თქვი შენთვის,
 და უფრო მეტი ამ დღისთვის...
 ჩაიხვდე საგნებში, როგორც
 კამკამა წყალში,
 ჩამავალ მზეში ამოიყვირე
 აქაურთა გულისნადები.
 ჩააღწევი ექოს მცირედი ჟამით
 ამ უცნაურ გრაფიკაშიც
 და გადადი დროის მეორე მხარეს.
 თითქოს ბუნდოვანებაში გადასროლილი ჩრდილი
 ხარ



უჩვეულოდ ცოცხალი.
 იმ დროის პოეტი,
 დრო რომ არ არის...
 ბავშვი არ იბადები,
 ბავშვი შემდეგ ხდები...
 მაგრამ შენ უფრო გაფიქრებს
 შუქთან ერთად გამორთული
 ადამიანებიც.
 ამ აწეულ ხელებს შორის, რომელი ცაა შემდეგი?
 არაფერშია იმის გაგება,
 ამ არარსებულ პეიზაჟებში,
 ვინ იწყებს ყოფნას,
 ან იქ საიდან ჩნდება
 პულსაცია?!

უღაბნოდან გამოვდივარ,
 როგორც პირობითი
 მოსე
 და ვოცნებობ ათასების
 თავისუფლებაზე...
 "ჰოდ ყოფნა" ჩემი ახლო კი
 არა,
 უშორესია.
 ეშვევებე საკუთარ თავს რომ გავძახო,
 ისიც მომთხოვს დადასტურებას.
 ამ დროს გარედან ყვირის
 პეიზაჟი
 და
 ქართან ერთად ფოთოლი რჩება.
 მარტობა ისე იშლება,
 თითქოს კანკალი და ცრემლია მხოლოდ
 მთელი სამყაროს ანაბეჭდი.
 ამ ანაბეჭდში იხსნება
 თვალი,
 ახალი სიტყვა,
 და ასე მზის ქვეშ
 ვცხოვრობ
 აქაურ ცხოვრებაში...
 ვარსებობ - ვიტანჯები
 მიყვარს - ვიტანჯები
 ემართობ ადამიანებში.
 და ვიტანჯები...
 ჩემი სიტყვა სუნთქვაა
 და მას ამრიალებს ხე,
 როგორც ფოთოლს.
 სიყვარული სინათლის
 მუხსიერებით
 ამ თვალებს მიღმა
 და მხოლოდ გულში.
 ჩამავალ მზის შუქზე
 აგროვებენ დამსხვრეულ ხმებს
 ტალღები.
 ახლა ყველაფერი ისაა,
 რაც უკვე ითქვა და მომავალშიც
 ითქმება
 ჩვენ შორის
 უმტკივნეულესი სიტყვებით.
 ჩემი უსასრულო ფრენები,
 არ არის გარდასული ცხოვრება.
 ჩემი გავრცელება შეუზღუდავია,
 ამიტომ არ რჩება ჩემში,
 არც სიზმრებშია.
 ის სივრცეში ანათებს,
 როგორც ნყურვილი დაბალი
 ხმით.

"ომს დღეს არავის უცხადებენ"
 ბახმანი

ომს დღეს არავის უცხადებენ.
 ომს მუდმივად ინახავენ.
 მერე იწყებენ წამიერად.
 ცხელ ლავასავით გვალვრიან

სულში.
 გმირი წარსულის გადასახედიდან:
 ოთხი ფიცარი,
 ცალი მკლავი
 ცალი თვალი ან სიბრმავე ხედვის,
 სიბრმავე გონის.
 ომისგან ჯილდო -
 დაშლილი ფსიქიკა.
 გამძლე ვირუსივით
 უკვდავი შიში.
 თუ მოგვანატრეს ჩვენგან წასულ
 მიცვალებულთა ეს "ჩუმი გასვლა"?!
 სამყარო გმინავს,
 მაგრამ ბოლოს ჩვენ ვახმოვანებთ.
 ფრთხილად მოდის ყოველი მტერი
 უჩინმარინის ქუდი ახურავს.
 ვა იმახსოვრებს იარაღთა შემზარავ ექოს,
 თვალები გრძნობენ გამცემთა
 სუნთქვას,
 მათი ბავიდან ჩრდილივით ფრთხილი
 ბრძანება ისმის.
 მაშინ უზრუნველ არსებობას
 ვინლა შეიგრძნობს?!

სად უნდა გათხარონ ჭა,
 რომელ მინაზე უნდა ჩანდეს
 ის ღია თვალივით.
 მე მაქვს კარგი იდეა, რომელსაც ვაკონტროლებ.
 ის არ უნდა წამომცდეს.
 ჯერჯერობით უნდა დავრჩე ხმელეთზე.
 მერე წყალი დაფარავს მიწას,
 სადაც ოდესღაც გათხარეს ჭა,
 ის ჩანს მიცვალებულის ღია
 თვალივით.

ჩემს ფესვებს ნუ წამოედებით.
 მე ყველგან თუ ვიტოტები,
 თქვენ გამართებთ ჩემი მოფრთხილება.
 გაუქმებული დღე ვინც დამახვედრა.
 მე იმისი ბავშვობა შევისწავლე.
 და მივხვდი რომ.
 ის გადამწვარ ნათურასავით შორს მოისროლეს.
 და დღეს, სხვებს ცდილობს გადაუხადოს
 სამაგიერო,
 იმაზე, რომ ის არასასურველი ჩვილივით მიატოვეს
 ვენებლისა და გრძნობების
 ნაგავსაყრელზე.

ჩვეულებრივად მე არაფერს ვითხოვ თქვენგან.
 გადარეულ მხეცს კბილებს არ გავუსინჯავ.
 შორიდანვე ვიცი სისხლის წვეთების დანახვისას,
 თუ როგორ გაგიჟდება, როცა იყინოსაც ასევე
 ადამიანის
 უმნიკვლო ყოფნის ალუნერელ ნელ-სურნელებას.

მე ხშირად ნათება არ მაქვს,
 არ ვჩანვარ და ვერც ჩამაქრობთ.
 დიდი ღორწო, რომელსაც იგროვებთ,
 თავად გაქცევთ უემოციო არსებებად.
 მე ვუმკლავდები ჩემს მძინარე ერთფეროვნებას,

ვეცხადები ადგილებს, სადაც დამივიწყეს.

ჩემი არსებობა მიღწეულია.
მე არ ვანათებ,
მაგრამ თვალს ვჭრი ადამიანებს.
მე ბუნებრივად მინდოდა სიცოცხლე,
მაგრამ ჩემი ქვეყნიდან გავიდნენ ბუნებრივი
ადამიანები.
გვეყვარებათ ვინმეს დრო, რომელშიც ვერ
ჩახტებით
როგორც მდინარეში, ვერ გაიქნევთ მასში ხელებს.
ვერ გაცურავთ და ვერც დაემშვიდობებით.

* * *

გუშინ რაც მოხდა,
დღეს არ ჩანს.

სანახავია ეს სამყარო
ადრე თუ გვიან.
ვინრო სივრცეში,
უსასრულობაში.

ცხადი ისე ისმის, თითქოს
დაშვებული ქუთუთოების
მიღმაც
ქარიშხალია.

ფანტაზია, რომელიც ცხოვრების
ნაწილია,
ჯერ არ მომხდარა,
მაგრამ ის იკრებს ძალას
და სიცოცხლეს აგრძელებს.

საგნების ირგვლივ
რომ არ ყოფილიყო,
მისი მოძრაობა არ იქნებოდა
ასეთი მკვეთრი.
მოძრაობას ღვიძავს
და ბუნებრივია,
მინიშნებებზე იწყებს ყველანაირ
რეაქციას.

ვინც მოძრაობს, ბედნიერია,
ჰაერში თუ არა,
ტროტუარებზე მაინც.

ერთი ხელის აქნევით შეუძლია
სახე შეიღებოს
და ქუჩის ბოლოშიც გავიდეს.
ეს ერთი ბიძგია,
შეუყოვნებელი და ყველაფრის
საპირისპირო.

თითქოს არაფერი,
ადამიანები თვალს აშორებენ,
ქარი ხედავს.
ის უმართავია შეგრძნებებითაც.

ზემოთ ხშირად ცა არ არის,
გამძლე სიზმრებია,
და თვალახელილი ბიოგრაფიები.



მდინარეებმა

მდინარეებმა ნაილონ შენი ტანი,
მდინარეებმა უწყვეტი ლიმილით გაგაცილონ,
მდინარეებმა კიდურები დაიგრძელონ,
მდინარეებმა მოგხვიონ ხელი,
ანდა ფეხებით გადაგაიარონ.
შენ სიყვარული მდინარეში
უნდა ეძებო,
შენ შენი თავი მდინარიდან უნდა წარმოშვა,
შენ მდინარეში უნდა დარჩე
მთვარესავით, ჩრდილივით უხმო..
არ უნდა უხმო, ვინც წავიდა აღარ ბრუნდება,
უნდა შეიგრძნო ღამეული ჩურჩულის
სხივით, უნდა
გვეყვარდეს არა ქალი, არა მხოლოდ.
უნდა ბრუნავდე, ისე, როგორც ეს დედამინა,
უნდა იწოდე, დიდი ლურჯი კოცონი
გენთოს.
და ქალის შემდეგ ყველა ნივთი
ისეც მივიღებს, და არა მხოლოდ ქალი...
და შენს ციმციმზე მგ ზაფერი მოვა ყველა
ქვეყნიდან,
და შენ ცასთან დარღვეულ პირობას გაიხსენებ.
შენ დარღვეული სინტაქსიდან გამოიხედავ და
სიტყვა უცებ თვალად გექცევა,
რომელიც გხედავს და თვალობასაც შენ
გაზეიმებს.
და ყველაფერს გაიხსენებ, რადგან შენ უკვე
მდინარესთან მთლიანი ხარ.
ქვასთან მთლიანი ხარ,
შენ მოდიხარ, მოდიხარ და მოდიხარ,
ადამის მერე რაც იყავი, იმას მოათრევ,
მიეზიდები.
აქ ნახავია, ამ ნახავშიც ნოლა მოგიწევს,
ამ მცენარეში, ამ სიტყვაში, ამ ყველაფერში.
ოლონდაც წამით დაივიწყე, რომ "მინა ხარ," ან
ისიც დაივიწყე, "მინა იქნები."
ოლონდაც წამით გარდახვეწე შენი ექო,
რომელიც მოგდევს,
და მდინარეში გაუჩინარდი.
ეს ცხოვრებაა, ეს მდინარეა, აქ შენ ხარ
და კიდევ ის, რაზეც არ ღირს აღარც ფიქრი,
აღარც სევდა, აღარც სიცოცხლე,
ის, რაც მოძრაობს და უძრავია და შემართული.
გადასძახე ამ სამყაროდან იმ სამყაროს.
შენი ხმა ყველგან შემოაღწევს
მიმართულებების განუსაზღვრელად.
ხმებმა ფრთები გაიმაგრონ,
მერე დატოვონ სამყაროს დედა.
არ დაბრუნდნენ, არ დაბრუნდნენ, არ
დაბრუნდნენ...
ვინც ახლა ვისმენს, თვალს მოგარიდებს,
რადგან შენს ხმაში მდინარეა,
არა წარსული, ან "ძველი ანწყო."
დასრულებული ცხოვრების შემდეგ, მკრთალად
მოჩანს ისეც ცხოვრება.
და ისიც მოჩანს, თუ რამდენი გვაქვს ნაცხოვრები.
რა მეორდება, ან სადა ჩავდგებით, ანდა რაში
გავწინილდებით, არავინ იცის.
ის მხოლოდ სადღაც მოჩანს ახდენილი ან
აუხდენელი...
მინა არ არის, ცა არ არის, არაფერია.

ო, ამის მიღმა რა გინდოდა,
ვერაჲინ გეტყვის.
ეს მდინარეა, ეს ცხოვრება, ეს მდინარეა...
ო, ამის მიღმა რაც გინდოდა, ვერაჲინ გეტყვის....




ნუ გაუძალიანდები
არსებობას.
სიცოცხლე ძველი დანაკარგია,
რომელიც დაგიბრუნეს.
გამორთვი.
სული შთაგებრეს, თუ პირში
ლოკოკინა გამოგატარეს,
სულ ერთია,
სადღაც სივრცეს დააკლდი,
სადღაც მიემატე.
პანტროსასავით ტკივილებით დანინკლულია
შენი ყოველი ნაბიჯი
და გარდასახვა ყოველივეში,
მუღმივად ნაუცბადევიო.
განშორებას ლეყუპოსფერი აკრავს
და მისი გემო, მწუთხეა, უგემური.
აქ ვერ გაჩერდები, აქედან დაძვრა
გაუჩინარებას უტოლდება.
ნუ გაუძალიანდები.
ხე მიწას კბილებით ეჭიდება
და ფილტვებიდან ერთი ბენო ნაგლეჯი
პაერი ამოაქვს.
თეთონ ცოცხლობს, შენც გაცოცხლებს.
ღრუბელი არ არის ციანიდი, რომელიც
გრანულირებული მოქმედებს,
ღრუბელი თეთრია და გამჭვირვალე.
გამჭვირვალეა მისი დაბადება, მისი სიკვდილი,
გაუჩინარება.
სახეა მისი ნათელი, და ტანი მისი ზევით ადის.
ჩვენ სხვა ქვეყანაში შეგვიპატიყეს და
დაგვახვედრეს
სულ სხვა, რომელიც ქმნადობის რკალში
ვერ მოაქცია დამბადებულმა, რადგან ადამიანი
გველივით იკლაკნებოდა, მისი წარსული მისსავე
თავში გაქრა, მისი მომავალი კი ვერა და ვერ
დაიბადა.
ის მტკივნეული კბილივით მგრძნობიარე გახდა
და საფლავამდე დაუჯერებელი იყო მისთვის
ყველაფერი ის, რაც ხდებოდა, თუ არ ხდებოდა.
ჩვენ გავედინებთ, ჩვენ გავედინებთ,
და ეს უმისამართოდ, ყოველგვარი წესრიგის
გარეშე
ხდება.
ნუ გაუძალიანდები. აი, ის, რაც ქმნის
წინაპირობას,
რაც გაძლევს უნარს არ დაიღუპო.
დაღუპვა ყველა ენაზე ერთია სიყვარულივით.
გულწრფელად თუ ილუპები, ისიც უთარგმნელი
ხდება..
პატრუქი როცა ჩაქრება, ხორცი უნდა ანთო,
სული ადრეც ენთოთ იმათ, ვინც ჩვენამდე იყვნენ.
ჩვენამდე იყვნენ - უფიქრდები ამ მდგომარეობას?
ჩვენ ვართ, ჩვენამდე მისასვლელი გზა და
მანძილიც.
ანუ ჩვენამდე არავინ იყო. ჩვენ ვართ - ჩვენამდე.
ვერც ვერაფერს დაგვარგავთ და ვერც რამეს
შევიძენთ.

ნუ გაუძალიანდები.
წრეში დავტრიალდეთ.
ამოვბრუნდეთ.
ქვევიდან კი არ ავხედოთ
ვარსკვლავებთან ზევას,
ზევიდან დავხედოთ და მის სიღრმეშიც ზევიდან
ჩავხტეთ.
ქვევითაც მკაცრ უსასრულობას დაგვახვედრებენ,
რადაცის ან ვილაცის...
განუმარტავია ადამიანური ორნატი,
მუქი წვიმა, ჰაეროვანი ბუკის ხმა ქარში,
სუდარად ქცეული კანი,
ან სუდარას შიგნიდან შეხორცებული ძრწოლის
ხორცი.
ბაგე, რომელიც ჩალის ღეროა და ხმინანებს.
მეტყველი ნიავი, როგორც უკანასკნელი ბგერა,
რომელსაც გულში უბრწყინავს
გამომწყვდეული ვარსკვლავი.
ბალახის მძიმე ყბები ფქვავენ ძვლებს
და როგორც პუდრას ისე გიყრიან სამშენიველში.
ჩემი გული მწვანე ბუჩქივითაა.
მასში იმალება რამდენიმე ცხოველი, როგორც
ფულუროში,
და გველი ათამაშებს თავის ხვითოს.
ყოველთვის სამყაროს თვალი დაცურავს მის
ზედაპირზე,
როგორც დინებას მინებებული ჩვილი,
როგორც მოსე და ათასი მოსე მოსემდე...
მიჭირავს ჩემი ყველა ბიძგი
და დამტყვეული მუხლებით ვიჭერ
უფსკრულის უმძიმეს წონას.
სანუკვარი ღამე არსად არის,
ასატანი ღამეა.
ჰოდა, არ ვუძალიანდები, ავიტან როგორმე
ყველა ღამეს...

მთელი ცხოვრება სახლს დავეძებ.
და ეს გრძელდება...
თითქოს დრო მიდიოდეს და მოდიოდეს.
ყოველ ფეხის ნაბიჯზე
სადგური მხვდება
და არაერთი გამცილებელი.
მატარებლები, მგზავრები,
ჩემოდნები...
ჩემი სწორი მისამართი ჯერაც არ ვიცი, ანუ
სახლი...
დაკარგულია ყველა ხაზი ჰორიზონტისკენ.
ანმყოს ძახილით ვერ აივსო
ჩემი ნაბიჯი.
ამ ცარიელი სარკის ელვას წლები დაჭირდა
და სულ ბოლოში თვალიც მეღლება...
სხეული გაცვდა ცხოვრების მსგავსი
თამაშებისგან,
მოლოდინებს კი მზერა დარჩათ
წინ მიმავალი...
სხივი, რომელიც შენ იყავი
გზას მინათებდა...
ვიჭირობ, ამიტომ
ჩემი შესაძლო ათი თავიდან ერთმა მაინც შეძლო
ცხოვრება...

ზურა ჯიშკარიანი

ფიქრების სიხშირე



ერთი კვირის წინ ახალმა ექიმებმა რაღაც მოწყობილობაზე შემაერთეს, სულელურ კითხვებს მისვამდნენ, მაგალითად: “ახლა დღეა?”

და ექიმი დებილი მსახიობივით ასავსავებდა ხელებს იმის საჩვენებლად, რომ ახლა დღეა.

- თქვენ 23 წლის ხართ?

- თქვენ მამაკაცი ხართ?

და ა. შ. ნახევარი საათი ყველასთვის გასაგებ თემებზე. მე, რა თქმა უნდა, ყველანაირი საუბარი მიყვარს და მიხარია, მაგრამ მალე მომბეზრდა ეს რობოტული თეატრი, ამიტომ თავის გასართობად ყოველ კითხვაზე ახალი ისტორიის მოგონება დავინწყე. სქესზე ვუპასუხე, რომ გოგო ვარ და გამეცინა, ასაკი ძალით გავიდიდე, სახელი კატეგორიულად უარყვავი და ყოველ მეორე კითხვაზე მოჩვენებითი სიბრაზით კითხვაზე კითხვით ვპასუხობდი:

- რას ლაპარაკობთ, მართლა?

სესიები სასაცილო / სახალისო იყო, იმიტომ რომ ეს ადამიანი ერთი კვირა მოდიოდა ერთი და იმავე კითხვებით, მაგრამ ცოტა ხნის მერე კითხვები შეიცვალა და ამან ნელ-ნელა არეულობა შემოიტანა. მხოლოდ ახლა ვხვდები, რა სისულელე ჩავიდინე ამ თამაშ-თამაშით.

ყველასთვის ცხადი კითხვების შემდეგ, ექიმმა უცნაური კითხვების დასმა დაიწყო, მაგალითად:

- შავი თეთრია?

- არა, რა თქმა უნდა, შავი წითელია, ბატონო ექიმო

- თქვენ 100 წლის ხართ?

- იცით რა?! მოდით ნუ დავამრგვალებთ, 100-მდე კიდევ ორი წელიწადი დამრჩა, ასეთი ბებერიც არ ვარ.

მე ასე ვპასუხობდი ამ კითხვებს, მაგრამ, როგორც ჩანს, ყველაფერი ავრიე და გავაფუჭე.

ახლა ჩემს ოთახში მთელი ჩემი ოჯახია წარმოდგენილი: დედა - ჩემი ბავშვობის საყვარელი საზამთრო ქუდი და ისეთი გამომეტყველებით, თითქოს მისი საყვარელი მთავრობა დაამხეს. არ მეცოდება დედა, მიუხედავად იმისა, რომ ალბათ საშინელი შეგრძნებაა, როცა შენი 20 წლიანი ინვესტიცია (შვილის სახით) ერთ ღამეში უჩინარდება. დედა კიდევ ნაკლებად მალიზიანებს. მართალია, რომ ამბობენ, რაღაც უხილავი კავშირი არის დედა-შვილს შორისო, ხშირად შემიმჩნევია, რომ როცა შემოვა, თუ ტელევიზორი ჩართულია, მიუახლოვდება და თითქოს თავისთვის ისწორებს, მაგრამ ისე ასწორებს, რომ მე უკეთესად დავინახო. რა იცის, რომ ყველაფერს ვგრძნობ? არ იცის. მაგრამ სჯერა ან გრძნობს. მოაქვს ხოლმე ჩემი საყვარელი ათასგვარი ნივთები, ხან მუსიკას მირთავს - ეს მეხმარება, რომ ახალ თემებში გადავიდე, როცა ფიქრი მგებრდება. არადა ფიქრის გარდა არაფერი მაქვს დარჩენილი. იცით, რა საშინელებაა, როცა ფიქრი გებზრდება და გინდა, არ იფიქრო, მაგრამ იძულებული ხარ, იფიქრო? ფიქრი კაცობრიობის დიდი ევოლუციური შეცდომაა. საშინელი ტანჯვაა. მხოლოდ ამ მდგომარეობაში მივხვდი, რომ ცხოვრებაში აქამდე არასოდეს მიფიქრია. მე რომ მეგონა, ფიქრისგან თა-



ვი მისკდებოდა, არაფერი ყოფილა მართლა ფიქრთან შედარებით. ხშირად აქ ყოფნისას ვფიქრობ, რომ ადამიანები საერთოდ თითქმის არ ფიქრობენ, სამგანზომილებიან სამყაროში ისინი მოქმედებენ, მაგრამ არ ფიქრობენ. ფიქრი იწყება, როცა გაჩერდები, უარს იტყვი მოქმედებაზე.

დედას უკან მამაჩემი დგას თავისი იდიოტური ჯვრებიანი ქუდი. მე უკვე წინა თვიდან ვიცოდი, რომ ასე დამთავრდებოდა, როცა მამაჩემმა პალატაში მღვდელი მომიყვანა. თითქოს ის იტყოდეს: "ლახარე, ადექი" და მეც წამოვიჩტიდებოდი. მამამ ბევრი ილოცა, კარგი იქნებოდა, სიტყვები ოდნავ გარკვევით მაინც რომ ეთქვა - არ ვიცი, დავიმასხოვრებდი, ახალი საფიქრალი თემა მექნებოდა, მაგრამ არაუშავს, სამაგიეროდ ჩემი უვარგისი სხეული და იმედის მომცემი სული აკურთხეს. საინტერესოა ისე, ღმერთისთვის (თეოლოგიისთვის) მე ვინ ვარ? სხეული ვარ-მეთქი, რომ ვთქვა, მთლად სწორი არ იქნება, ექიმებმა ნახევარი წლის წინ locked-in syndrome დამიდგინეს, რაც გამოიხატა იმაში, რომ დიაგნოზიდან ერთ თვეში - ცხოვრების ლატარეაში მონაწილეობაზე ჯერ უარი ჩემმა ფეხებმა გამოაცხადეს, შემდეგ უარი თქვა მარცხენა ხელმა, მერე ტუჩმა, მერე მეორე ხელმა და ა.შ. ერთი თვის წინ მე ჯერ კიდევ თვლების მეშვეობით ვბასუსობდი მომნახულელებს, მაგრამ ავადმყოფობამ ჩემი თვლებზეც გააჩერა და მას შემდეგ მე და სამყარო ერთმანეთს აღარ ველაპარაკებთ. ის ცალკეა, თავისთვის ბუნიობს, მე ჩემთვის, ცალკე ვარ აქ, ვზივარ ჩემს თავში, რომელიც, ფაქტობრივად, არ არსებობს. მაგრამ, რომ ვთქვა, რომ სული ვარ, გეცეც მთლად სწორი არ იქნება, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი "მე"-სგან მხოლოდ არამატერიალური რამე - ფიქრია დარჩენილი.

მე არ ვარ ჩემი გარეგნობა, ჩემი ქმედებები, ცხოვრებაში ჭიანჭველასაქვ არ და ვერ ვანყვებოდა, მე არც ხმა მაქვს, არც საუბრის მანერა, არც სიარულის მანერა, არც საყვარელი ქალაქები, არც საკუთარი ფეისბუქის გვერდი — ერთადერთი, რაც მე მაქვს და რაც მე ვარ, ეს არის ჩემი ფიქრი. გამოიღის, რომ ცარიელი ფიქრი ვარ.

საინტერესოა, უფალი როგორც ადამიანს ისე განმსჯის, თუ როგორც ფიქრს, ისე?

რამდენი ფიქრი წარდგება მის წინაშე ჩემ გარდა? ჩვენ რომ ტელეპათიურ სამყაროში ვცხოვრობდეთ, ჩვენ ფიქრებს, საკუთარი ენჯლო გვექცნებოდა. ყველას აქვს თავისი პროფესიული ენჯლო - ჩვენ კი ასე ვართ მიმოფანტულები უპატრონოდ. მეტიც, ფიქრების არჩევნებშიც მივიღებდით მონაწილეობას და, საერთოდ, ზოგადად, უფრო აქტიურად ჩავერთვებოდით საზოგადოების ცხოვრებაში, მერე რა, რომ სხეულები არ გვაქვს. ბევრ ადამიანს ეგერ ტვინი არ აქვს, მაგრამ მოდებულები არიან მთელ სპექტრს. ისევ წამილო მსჯელობამ.

ეს რას შეება, ზასაობს თუ მეჩვენება? ყოფილი ათეისტიდან სუპერმორნმუნედ გადაქცეული მამაჩემის გვერდით ჩემი მზალო ძმა დგას, თავის უარეს შეყვარებულთან ერთად და ამ წამს ფიქრებში ჩაძირულს მომიჩვენა, რომ ზასაობდნენ. არა, არ მომეჩვენა, აი, ისევ კოცნიან ერთმანეთს, ღმერთო გადა-

მარჩინე ამ საცოდაობას. ჩემი ძმა ცალკე ისტორია კი არა, ცალკე კატასტროფაა.


არის ბიჭების ასეთი კატეგორია, საკუთარი საცოდაობით რომ კერავენ გოგოებს, ჩემი ძმისთვის მე ვარ დაკერვის მითოლოგიის მთავარი ღვთაება, გოგოებს უყვება, თუ როგორ გაცივდის, რამდენს ღელავს ჩემზე, როგორ მივლის და ა.შ. ძალიან გამოსადეგი ამბავია, მე ხომ ვერასდროს ჩავუშვებ. ესეც სარგებლობს და დაჰყავს ასე ყოველ მეორე თვეს ახალი, გულმონყალე გოგო, სხედნიან ჩემ წინ და მიწვევს იმის სმენა, თუ როგორ კერავს ეს ბიჭი ამ გოგოს. ერთხელ ისეც მოხდა, რომ, არ ვიცი, ასეთი რა ტრიგერები ჰქონდა ტვინში, ამ გოგოს, მე მგონი, მარინა ერქვა, ჩემი ცქერით ისე აუღდა, რომ ჩემმა ძმამ პირდაპირ ჩემს პალატაში მოტყნა. ასეთ დროს ტვინის ყველაზე შორ კუნძულებზე უნდა ნახვიდე. როცა სხეული გაქვს, ადვილია - მინიმუმ ოთახიდან გახვალ, თუ ძაან გაგაბრაზებს, ქალაქს დატოვებ ან საერთოდ, სხვა კონტინენტზე გადახვალ საცხოვრებლად, მაგრამ როცა სხეულს ვერ ამოძრავებ, ფიქრებით უნდა გაფრინდე. ამისთვის საჭიროა რამდენიმე ხმაგაუმტარი ოთახი შექმნა შენს წარმოსახვაში. მე აქ უკვე მთელი ქალაქი მაქვს შექმნილი - ფიქრობ საათობით და წარმოიდგენ ყველა დეტალს და ნელ-ნელა ქმნი მთელ ობიექტებს, მთელ ოთახს, სახლს, გზებს და ხიდებს. პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ მთელი ეს ქალაქი ნებისმიერ დროს შეიძლება დაინგრეს — საკმარისია, შევწყვიტო მასზე ფიქრი, დამავიწყდეს მისი რომელიმე დეტალი, რომ ეს ზზარი ნელ-ნელა მთელ ქალაქს მოედება და ის დაიღუპება. რამდენი ქალაქი მოესწრო აპოკალიფსს ჩემს ფიქრებში.

იქნებ, აჯობებდეს მოვკვდე? რამდენჯერ მიფიქრია ამაზე, მე ხომ ისედაც ნახევრად მკვდრის პოზიციაში გავდივარ ჯანმრთელი ადამიანებისთვის, რომლებსაც ბოლომდე ვერ დაუფრენიათ ჩემი ონტოლოგიური სტატუსი. მაგრამ ვინ დამეხმარება სიკვდილში? ჩემით თავს ვერ მოვიკლავ, სხეული არ მემორჩილება, რომ შეიძლებოდეს ფიქრებით ტვინის გათიშვა - დაუყოვნებლივ ვიზიან ამას, მაგრამ, სამწუხაროდ, ფიქრები მხოლოდ იმ ტვინის ფანტომებია, რომელიც ალბათ მალე გამეთიშება კიდევ. მაგრამ იქნება კი ეს სიკვდილი? თუ მე მცენარე ვიქნები, ადამიანი-მცენარე - მწოლიარე თეთრ პალატაში, უნებლიეთ რომ ისაქმებს ხოლმე პერიოდულად და ჩემთვის უცნობი მედდები იძულებულიები არიან, ზომბის ფეკალიებს გერძობონ. დაიხ, მე ზომბი ვარ, არადა არასდროს ვოცნებობდი ამაზე ბავშვობაში. მე ყოველთვის მინდოდა გავმხდარიყავი მეხანძრე, ცეცხლმოკიდებულ სახლებს რომ აქრობს, ახლა კი საკუთარი ცეცხლმოკიდებელი ტვინის ჩაბრობა მინვს. "ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ", არა? ჩემი არსებობა სამარეში უფრო საინტერესო იქნებოდა, აქტიურ ქიმიურ პროცესებს მაინც გავივლიდი, საყვარელ ჭიება მივცემდი საკვებად სხეულს - ვინმეს მაინც გამოვადგებოდი. ფიქრები კომპარია, რომელიც ამ მთავრდება. ნეტავ მალე გაითიშებოდეს ეს ორგანოც, ტვინიც - ჩემთვის ეს სანეტარო კუნძულებზე დასასვენებლად ნასვლა იქნებოდა.

იტალიო კალვინო

“ოდისეას” ოდისეები

იტალიურიდან თარგმნა დარეჯან კიკოლიაშვილმა



რამდენი ოდისეაა “ოდისეაში”? პოემის დასაწყისში ტელემაქე მამის უცნობი ამბის გასაგებად მიდის. ამ ამბავს შემდეგ “ოდისეა” დაერქმევა. აედმა ფემიოსმა იცის ყველა გმირის *nostoi* - შინ დაბრუნება, გარდა ერთისა - თავისი მეფისა. სწორედ ამიტომ, პენელოპეს აღარ სურს, მის სიმღერებს უსმინოს, ხოლო ტელემაქე მიემგზავრება, ტროას ომგადახდილ მეომრებს მიაშურებს ამ ნაკლული ამბის საპოვნელად. თუ მას მიაგნებს, სულ ერთია, დასასრული ავი ექნება თუ კარგი, ითაკა თავს დააღწევს დროიდან და კანონებიდან ამოვარდნილ ამ მრავალწლიან ფორმადაკარგულ მდგომარეობას.

როგორც ყველა ძველ მეომარს, ნესტორსა და მენელაოსსაც მოსაყოლო ამბებს რა დაუღევს, მაგრამ იმას არ ჰყვებიან, რასაც ტელემაქე ეძებს. ეს მანამ, სანამ ბოლოს მენელაოსი ფანტასტიკურ ამბავს არ გაამხელს: სელაპის ტყავში გადაცმულმა მენელაოსმა უთვალავჯერ სახეცვლილი პროტევსი - ბებერი ზღვისკაცი - შეიპყრო და აიძულა, წარსული და მომავალი მოეთხრო მისთვის. ცხადია, პროტევსმა დანვრილებით იცოდა მთელი ოდისეა: იგი

ულისეს ამბის თხრობას იწყებს კალიფსოს კუნძულზე - ზუსტად იქიდან, საიდანაც ჰომეროსმა დაიწყო გმირის ამბავი; შემდეგ პროტევსი ჩერდება და ამ მომენტში ჰომეროსს შეუძლია, მას შეენაცვლოს და თხრობა განაგრძოს.

ფეაკების მეფის კარს მიღწეული ულისე უსმენს ჰომეროსივით უსინათლო აედს, რომელიც ულისეს თავგადასავალს მღერის; გმირს ცრემლები ნასკდება, შემდეგ გადაწყვეტს, თვითონაც მოჰყვეს. ამ თხრობაში მიადგება ჰადესში ჩასვლის ამბავს, სადაც ტირესიასს გამოჰკითხავს და ტირესიასიც მისივე ამბის გაგრძელებას უყვება. შემდეგ ულისე ხვდება სირინოზებს, რომლებიც მღერაინ; რას მღერაინ სირინოზები? ისევ ოდისეას. შესაძლოა, ისეთს როგორსაც ჩვენ ვკითხულობთ ან, შესაძლოა, სრულიად განსხვავებულს. ეს დაბრუნება-თხრობა ისეთი რამაა, რაც უკვე არსებობს, ჯერ კიდევ მოხდენამდე. უკვე *ტელემაქეაში* გვხვდება გამოთქმები “დაბრუნების ფიქრი”, “დაბრუნების უწყება”. ზევს ატრიდთა “არდაბრუნება” განეზრახა (III, 160); მენელაოსი პროტევსის ასულს სთხოვს, “დაბრუნებ



აუნყოს" (IV, 379) და ისიც ასწავლის, როგორ აიძულოს ზღვისკაცი, ეს ათქმევინოს (390), და ატრევესის ძე შეძლებს, შეიპყროს პროტევესი და მოსთხოვოს: "დაბრუნება მაუნყე, როგორ დავძლევ თევზმრავალ ზღვას" (470).

ადამიანმა ნათლად უნდა ჩამოაყალიბოს, რას ნიშნავს მისთვის დაბრუნება, იფიქროს მასზე, ახსოვდეს იგი: არსებობს საშიშროება, რომ მანამ დაავინყდეს, სანამ აღასრულებს. მართლაც, მოგზაურობის ერთ-ერთ პირველ ეტაპზე - ლოტოფაგებთან მოხვედრისას, დიდია საფრთხე, რომ ულისემ მესხიერება დაკარგოს, როგორც კი ლოტოსის ტუბილ ნაყოფს იგემებს. ის, რომ დავინყების განსაცდელი მას გზის დასაწყისში დაუდგება და არა ბოლოს, შეიძლება, უცნაურად ჩანდეს. ულისეს რომ ამდენი განსაცდელის გადალაზხვის, ამდენი დაბრკოლების დაძლევის, ამდენი გაკვეთილის მიღების შემდეგ ყველაფერი დავინყებოდა, მისი დანაკარგი ბევრად საშინელი იქნებოდა: ვერაერთინ გამოცდილება ვერ შეეძინა ამდენი ტანჯვისგან, ვერაერთინ აზრი ვერ გამოეტანა იმისგან, რაც გადახდა.

მაგრამ, თუ დავაკვირდებით, დავინყების საფრთხე IX-XII სიმღერებში არაერთხელ იჩენს ისევ თავს: ჯერ ლოტოფაგების მიპატივებით, შემდეგ კირკეს ნამღებთან, შემდეგ სირინოზების სიმღერით. ულისეს მუდამ სიფრთხილე მართებს, თუ არ უნდა, რომ ნაშმი დაივინყოს... რა დაივინყოს? ტროის ომი? ალყა? ცხენი? არა: სახლი, ნაოსნობის მარშრუტი, მგზავრობის მიზანი. გამოთქმა, რომელსაც ჰომეროსი იყენებს, არის "დაბრუნების დავინყება".

ულისემ არ უნდა დაივინყოს გზა, რომელიც გასავლელი აქვს და ბედი, როგორიც ერგო: მოკლეად, არ უნდა დაივინყოს ოდისეა. მაგრამ აედსაც, რომელიც სახელდახველოდ თხზავს, რაფსოდსაც, რომელიც ზეპირად იმეორებს სხვათაგან ნამღერს, "უნდა ახსოვდეთ", თუ სურთ, "დაბრუნებისა თქვან"; მათთვის, ვინც ლექსებს დაწერილი ტექსტის გარეშე მღერის, "დავინყება" ყველაზე უარესი სიტყვაა, რაც კი არსებობს; და მათთვის "დაბრუნების დავინყება" ნიშნავს, დაავინყდეთ პოემები, რომლებსაც *nostoi* ჰქვია და მათი რეპერტუარის უმთავრესი ამბები.

"მომავლის დაიწყების" თემაზე წლების წინ რამდენიმე მოსაზრება დავწერე (*Corriere della Sera*, 1975 წლის 10 აგვისტო), სადაც დავასკენი, რომ "ის, რასაც ულისე ლოტოსისგან, კირკეს წამლებისგან, სირინოზთა სიმღერისგან იცავს, მხოლოდ წარსული ან მომავალი არ არის. მესხიერება მხოლოდ მაშინაა ნამდვილად ღირებული - ინდივიდებისთვის, კოლექტივებისთვის, ცივილიზაციებისთვის - თუ ერთად კრავს წარსულის დანატოვარს და მომავლის გეგმას, თუ საშუალებას იძლევა, იმოქმედო და არ დაგავიწყდეს, რის გაკეთება გსურდა, გარდაიქმნა, ოღონდ ისე, რომ იყო, რაც ხარ, და იყო, რაც ხარ და არ შეწყვიტო გარდაქმნა".

ჩემს მოსაზრებას მოჰყვა ედოარდო სანგუინეტის გამოხმაურება (*Paese Sera*, ამჟამად შესულია კრებულში *Giornalino* 1973-1975) და პასუხის პასუხები ჩემგან და მისგან. სანგუინეტი მპასუხობდა: "არ უნდა დავგავიწყდეს, რომ ულისეს მოგზაურობა სულაც არ არის გამგზავრების გზა, შინ დაბრუნების გზაა. ჰოდა, დიახაც, უნდა ვიკითხო, მაინც რა მომავალი ეგებება ულისეს? რადგან ის მომავალი, რომელსაც ეძებს, სინამდვილეში მისი წარსულია. მესხიერების რეკრესიის ცრუ დაპირებებს იმიტომ ამარცხებს, რომ მთელი ასრები თესწრავის რესტავრაციას - ძველის დაბრუნებას.

ვხვდებით, რომ ერთ დღეს ნამდვილი ულისე, დიდი ულისე, ღმერთების ურჩი, უკანასკნელი მოგზაურობის ულისედ იქცა, იმად, ვისთვისაც მომავალი წარსული კი არა, წინასწარმეტყველების, ანუ ნამდვილი უტოპიის ახდენაა, მაგრამ ჰომეროსის ულისე საკუთარ წარსულს იბრუნებს, როგორც აქემყოს: მისი სიბრძნე გამოერებაშია, მისი ცნობა ადვილია ნაიარევით, რომელიც ატყვია და რომელიც მისი სამარადისო დალია".

პასუხად სანგუინეტის შევასხენებდი (*Corriere della Sera*, 14 ოქტომბერი, 1975), რომ "მითების, ისევე, როგორც ზღაპრებისა და რომან-ფელეტონების ენაში ყოველი მოქმედება, რომლებსაც სამართლიანობა, მიყენებულობა წყენის ზღვევინება ან უბადრუკ ყოფაზე შურისძიება მოაქვს, როგორც წესი, პირვანდელი იდეალური წესრიგის რესტავრაციადაა წარმოდგენილი;

მომავლის შექმნის სურვილი მით უფრო ძლიერია, რაც უფრო მწველია დაკარგული წარსულის ხსოვნა".

თუ ხალხურ ზღაპრებს დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ მათში ხდება ორი ტიპის სოციალური ტრანსფორმაცია, რომელთა ბოლო ყოველთვის კეთილია: ჯერ მალლიდან დაბლა დაშვება და შემდეგ ისევ მაღლა ასვლა. პირველი ტიპის ტრანსფორმაციის დროს უფლისწული, რომელიც რაღაც უიღბლო გარემოების გამო ღირების მწყემსად იქცევა ან სხვა საბრაზო ყოფაში ვარდება, ისევ იბრუნებს საკუთარ მეფურ მდგომარეობას; მეორე ტიპი ახალგაზრდა მწყემსია ან გლეხი, დაბადებით გლახაკი და შესაძლოა, სულით გლახაკიც, რომელიც საკუთარი ძალეობით თუ მაგიური არსებების შეწვევით ახერხებს, ცოლად შეირთოს მეფის ასული და გამეფდეს.

იგივე სქემა მოქმედებს ზღაპრებში, რომლებშიც მთავარი მოქმედი პირი ქალია: პირველი ტიპის ზღაპრებში გოგონა მეფური ან, ყოველ შემთხვევაში, დაღმინილი ცხოვრებიდან დიდ გაჭირვებაში ვარდება დედინაცვლის (როგორც ფიფქია) ან გერი დების მეტოქეობით (როგორც კონკია), ვიდრე უფლისწულს არ შეუყვარდება და სოციალური კიბის სულ ზედა საფეხურზე არ აიყვანს. მეორე ტიპის ზღაპრებში მწყემსი ან გლეხი გოგონა დაბადებით განპირობებულ ყველა დაბრკოლებას ძლევს და უფლისწულზე ქორწინდება.

შეიძლება ვთქვათ, რომ სწორედ მეორე ტიპის ზღაპრებში ვლინდება ყველაზე პირდაპირ სოციალური როლებისა და ინდივიდუალური ბედის ამოტრიალების ხალხური სურვილი, პირველი ტიპისა კი ამ სურვილს მსუბუქი ფორმით გვაგარძნობინებს, როგორც პირვანდელი-პიპოთეზური ნესრისის აღდგენის სურვილს. მაგრამ თუ დავაკვირდებით, მწყემსი ქალის ან ვაჟის საოცარი ბედი მხოლოდ სასწაულის ახდენის ან ნუგეშის ილუზიაა, რომელსაც შემდეგ ფართოდ გამოიყენებს ფელეტონი და სენტი-

მენტალური რომანი. ხოლო უფლისწულის ან უიღბლო დედოფლის არაერთი განსაცდელი სილატაკის სურათს გათელილი უფლების აღმდგენი სამართლიანობის იდეასთან აკავშირებს, ანუ აღნიშნავს ნერტილი (ფანტაზიის სიბრტყეზე, სადაც იდეებს შეუძლიათ ფეხს გავიდან ელემენტარული ფიგურების ფორმით), რომელიც გადამწყვეტი გახდება მოდერნული ეპოქის სამოქალაქო შეგნების გაღვიძებისთვის, საფრანგეთის რევოლუციიდან მოყოლებული.

კოლექტიურ ქვეცნობიერში გლახაკად გადაცმული უფლისწული იმის დასტურია, რომ ყოველი გლახაკი სინამდვილეში უფლისწულია, უზურპაციის მსხვერპლია და საკუთარი სამეფო უნდა დაიბრუნოს. ულისე, გუერინ გლახაკი, რობინ ჰუდი თუ გასაჭირში ჩაცვნილი მეფეები, მეფის შვილები თუ კეთილშობილი რაინდები მტრების ძლევის შემდეგ შეძლებენ მართალთა საზოგადოების რესტავრაციას, სადაც მათი ნამდვილი ვინაობა სადავო აღარ იქნება.

მაგრამ ეს ვინაობა იგივეა, რაც მანამდე იყო? ულისე, რომელიც ითაკაში ბრუნდება, როგორც ბებერი მათხოვარი, რომელსაც ვერაფერ ცნობს, ალბათ, ის ულისე აღარაა, რომელიც ტროაში გაემგზავრა. ტყუილად როდი გადირჩინა თავი იმით, რომ სახელად "არაინ" დაირქვა. ერთადერთი, ვინც მყისიერად და ბუნებრივად ცნობს, მისი ძალია, არგო, თითქოს ინდივიდის უცვლელი ნიშნების ამოცნობა მხოლოდ ცხოველის თვალს შეეძლოს.

ძიძისთვის მისი ვინაობის დამადასტურებელი ნიშანი ტახის ეშვით დაჩნეული ნაიარევია, პენელოპესთვის - ზეთისხილის მასალით საქორწინო საწოლის დამზადების საიდუმლო, ხოლო მამისთვის - მათი ბაღის ხეხილის სახელები. არც ერთ ამ ნიშანს მეფურისა არაფერი სცხია და ისინი ჩვენს გმირს ბრაკონიერს, დურგალს, მებაღეს უფრო ამსგავსებენ. ამ ნიშნებს უნდა დაეშვათ მისი ფიზიკური ძალა და მტერთან ულმობელი ბრძოლის უჩინო და, რაც მთავარია, ღმერთების ცხადი მხარდაჭერა, რითაც ტელემაქესაც დააჯერებს, თუმცა მხოლოდ რწმენის აქტით.

თავის მხრივ, ულისე, რომელსაც ვერაინ ცნობს, ითაკაზე დაბრუნებული ვეღარც თვითონ ცნობს სამშობლოს და ქალმერთი ათენა დაარწმუნებს, რომ ითაკა სწორედ ითაკაა. იდენტობის კრიზისი ყოველს მომცველია "ოდისეის" მეორე ნაწილში. მხოლოდ თხრობის ტექსტი გვარწმუნებს, რომ მოქმედი პირები და ადგილები იგივენი არიან. მაგრამ თხრობაც იცვლება. ის, რასაც ინკოგნიტო ულისე უამბობს მწყემს ევმეოსს, შემდეგ კი - მეტოქე ანტინოეს და თვით პენელოპეს, სხვა ოდისეაა, სულ სხვაგვარი; თითქოსდა, კრეტიდან მოსული ამ პერსონაჟის ხეტიალის, ისევე, როგორც ზღვაში დაღუპულთა და მეკობრეთა ამბები იმაზე ბევრად უფრო მართალი ჩანს, ვიდრე ის, რაც ულისემ ფეაკების მეფეს უამბო. ვინ იტყვის, რომ "ნამდვილი" ოდისეა ეს არ არის? მაგრამ ეს ოდისეა სხვა ოდისეისკენ გვახედებს: ეს, თითქოსდა, კრეტელი პერსონაჟი მოგზაურობის დროს ულისეს შეხვედრია: ამგვარად, ულისე ჰყვება ულისეს შესახებ, რომელიც მიდის ქვეყნებში, სადაც,


"ნამდვილ" ოდისეად მიჩნეულ ტექსტში, ფეხი ორსდროს დაუდგამს.

"ოდისეამდეც" ვიცოდით, რომ ულისე მისტიფიკატორია. განა მან არ მოიფიქრა "ტროას ცხენის" მზაპერობა? და "ოდისეას" დასაწყისში მას პირველად ახსენებენ ტროას ომის ორ flashback-ში ჯერ ელენე, შემდეგ მენელაოსი: ეს არის სიმულაციის ორი ამბავი. პირველ ამბავში ულისე გადაცმული შედის ალყამორტყმულ ქალაქში და ხოცვა-ჟლეტა იწყება, მეორეში - თანამებრძოლთან ერთად ცხენში დამალული შეაღწევს და ისე მოახერხებს, რომ ელენემ ვერ გამოაშკარაოს მათი ვინაობა და ვერ აიძულოს ისინი, ილაპარაკონ.

(ორივე ეპიზოდში ულისე ელენეს ნინამე დგას; პირველში ელენე მოკავშირეა, მეორეში - მონიანა აღმდეგე, რომელიც აქაველთა ცოლების ხმებს ჰბაძავს, რომ მათ როგორმე თავი გასცენ. ელენეს როლი ნინალმდეგობრივია, მაგრამ აშკარად სიმულაციური. ამგვარადვე სიმულაციურია პენელოპე - ქსოვის სტრატაგემით. პენელოპეს ტილო "ტროას ცხენის" სიმეტრიული სტრატაგემია და, მის მსგავსად, ხელსაქმესა და გაყალბებაში მის სიმარჯვეს გამოხატავს: ულისეს ორი მთავარი თვისება პენელოპეს თვისებებშიცაა).

თუ ულისე სიმულატორია, ყველაფერი, რასაც ფეაკების მეფეს უამბობს, შეიძლება, სიცრუე იყოს. მართლაც, მთელი მისი საზღვაო თავგადასავლები, "ოდისეას" ოთხ მთავარ ნიგშით თავმოყრილი, ფანტასტიკურ არსებებთან მისი შეხვედრების სწრაფი მიმდევრობა (არსებებთან, რომლებიც ყველა დროისა და ქვეყნის ფოლკლორში გვხვდებიან: მინსტრი პოლიფემე, ტიკში დამწყვდეული ქარები, კირკვი ჯადოები, სირინოზები და ზღვის ურჩხულები) ენინალმდეგება პოემის დანარჩენ ნაწილებს, სადაც დინჯი თხრობა, ფსიქოლოგიური დაძაბულობა, საბოლოო მიზნისკენ - სასიძოებისგან შევინრობული ცოლისად და სამეფოს დაბრუნებისკენ მართლველი დრამატული კრემქანდ დომინირებს. აქაც გვხვდება ხალხური ზღაპრებისთვის დამახასიათებელი მოტივები, როგორებიცაა სუდარის ქსოვა ან მშვილდით გამოცდა, მაგრამ აქ უფრო ახლოს ვართ თანამედროვე რეალიზმისა და თხრობის სარწმუნოების კრიტიკურებთან: ზებუნებრივის ჩარევა მხოლოდ ოლიმპის მკვიდრი ღვთაებების, თანაც, ძირითადად, ადამიანური სახით გამოცხადებული ჩარევაა.

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ იგივე თავგადასავლები (განსაკუთრებით პოლიფემესთან დაკავშირებული) პოემის სხვა ადგილასაც გვხვდება, შესაბამისად, თვით ჰომეროსიც ადასტურებს მათ; მეტიც, თვით ოლიმპოზე ღმერთებიც ამაზე მსგავსებობენ. მენელაოსის ტელემაქეში ულისეს ამგვარის მსგავს ზღაპრულ თავგადასავალს ჰყვება: ზღვის მოხუცთან შეხვედრას. ისლა დაგვრჩენია, რომ ფანტასტიკური სტილის ასეთი მრავალფეროვნება სხვადასხვა წარმომავლობის ტრადიციების მონტაჟს მივანეროთ, ტრადიციებისა, რომლებიც აედგამთ თაობებს გადასცენ და შემდეგ ჰომეროსის "ოდისეაში" მოიყარეს თავი, ულისეს მიერ პირველ პირში მოთხრობილი ამბები კი პოემის ყველაზე არქაულ ფენად ჩავთვალოთ.



ყველაზე არქაულად? ალფრედ ჰობსის აზრით, შეიძლება, საქმე სწორედ პირიქით იყოს (იხ. ჰობსის, "ოდისეა", I-IV. ალფრედ ჰობსის შესავალი. სტეფანი ვესტის დამუშავებული ტექსტი და კომენტარები. ლორენცო ვალას ფონდი/მონ-დადორი, მილანი 1981).

ულისე, "ოდისეაზე" ადრე ("ილიადის" ჩათვლით), მუდამ ეპიკური გმირი იყო, ეპიკურ გმირებს კი, "ილიადას" აქილეისისა და ჰექტორის მსგავსად, ამ ტიპის ზღაპრული თავგადასავლები, ზღვის ურჩხულებითა და ჯადოქრობებით, არ ახასიათებთ. მაგრამ "ოდისეას" ავტორმა ულისე ათი წლით უნდა დააშოროს სახლს, გადაკარგოს, რომ ვერც ოჯახმა მიაგნოს, ვერც ყოფილმა თანამებრძოლებმა. ეს რომ შეძლოს, მან ულისე ნაცნობი სამყაროდან სხვა გეოგრაფიულ სივრცეში უნდა გაიყვანოს, ადამიანთა მიღმა, ერთგვარ იმიერ სამყაროში (ქვესკნელში მისი ჩასვლა ტყუილად როდია მოგზაურობის კულმინაცია). ეპიკის სფეროდან მისი ამ გადასახლებისთვის "ოდისეის" ავტორი ისეთ (ნამდვილად არქაულ) ტრადიციას დაიხმარს, როგორიცაა იაზონისა და არგონავტების ამბები.

ამრიგად, "ოდისეის" სიხალეა ის, რომ ულისეს მსგავსი ეპიკური გმირი "ჯადოქრებსა და გოლიათებს, ურჩხულებსა და კაციჭამიებს" ერკინება, ანუ მოქმედებს ბევრად უფრო არქაული საგებისთვის ტიპურ სიტუაციებში, რომელთა ფესვები "ძველი ზღაპრის სამყაროში, მეტიც, მაგიურ და შამანურ პრიმიტიულ აღქმებში" უნდა ვეძებოთ.

ჰობსის აზრით, სწორედ აქ მუდავნდება "ოდისეას" ავტორის ქეშმარიტი თანამედროვეობა, რომელთაც იგი ახლობელი და აქტუალურია ჩვენთვის: თუ ტრადიციულად ეპიკური გმირი არისტოკრატიული და მხედრული სიქველით იყო შემკული, ულისეც ასეთია, მაგრამ დამატებით ის არის ადა-

მიანი, რომელიც იძენს და უძლებს უშიშეს გამოცდილებას - განსაცდელს, ტკივილს, მარტოობას. "რა თქმა უნდა, მას მკითხველი სიზმრისეულ მითურ სამყაროში შეჰყავს, მაგრამ ეს სიზმრისეული სამყარო, ამავე დროს, იმ სამყაროს ჭვრეტის სურათად იქცევა, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, სადაც დომინირებს მომხმარებლობა და შოფოთვა, ზაფრა და ტკივილი, და ადამიანი ამ სამყაროში უიმედოდაა ჩაფლული".

ამავე გამოცემაში სტეფანი ვესტი, მიუხედავად იმისა, რომ მისი ამოსავალი წერტილი ჰობსისგან განსხვავდება, დასაშვებად მიიჩნევს აზრს, რომელიც ჰობსის თვალსაზრისს განამტკიცებს: არსებობდა ჰობსისზე ადრინდელი სხვა ოდისეა, შინ დაბრუნების სხვა მარშრუტი. ჰობსისმა (ან ვინც "ოდისეას" წერდა), რომელსაც მეტისმეტად ღარიბად და უმნიშვნელოდ მოეჩვენა მოგზაურობის აღწერა, ის ზღაპრული თავგადასავლებით შეცვალა, თუმცა რაღაც შტრიხები უცვლელად დატოვა ფსევდოკრეტელის ვარიანტიდან.

მართლაც, პოემის შესავალში არის სტრიქონი, მთელი "ოდისეის" სინთეზად რომ გამოდგებოდა: "ვინც მრავალი ქალაქი მოვლო და შეიციხო მათი ზნენი". რომელი ქალაქები? რა ზნენი? ეს ჰიპოთეზა ფსევდოკრეტელის მოგზაურობებს უფრო მიესადაგებოდა...

მაგრამ მას შემდეგ, რაც პენელოპემ იცნო, სანთობოში მოსვენებული ოდისეისი ისევ ჰყვება კიკლოპების, სირინოზების ამბებს... განა ოდისეა ყოველი მოგზაურობის მითი არ არის? ალბათ ულისე-ჰობსისთვის ტყუილ-მართალი გამიჯნულად არ არსებობდა, იგი ერთსა და იმავე გამოცდილებას ხან პირადად განცდილის, ხანაც მითის ენით გვიამბობდა, და ჩვენთვისაც ხომ ყოველი მოგზაურობა, დიდი თუ მცირე, მუდამ ოდისეაა.

უისტან ჰიუ ოდენი

უპიროვნო მე

ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან გრძელიძე

“ცხოვრებაში განცდილ სიხარულს არა თავად ცხოვრება, არამედ ცხოვრების უფრო მაღალ ფორმებში გადანაცვლების შიში განაპირობებს; ტანჯვაც არ მომდინარეობს თავად ცხოვრებისგან, არამედ შიშით გამოწვეული თვითგვემა”.

ფრანც კაფკა



კაფკა ძალიან დიდია, შეიძლება ყველაზე დიდი კი; კლასიკური იგავის ოსტატი, იმ ლიტერატურული ჟანრისა, რომლის შესახებაც კრიტიკოსი ღირებულს ბევრს ვერაფერს იტყვის. მიუხედავად იმისა, რომ რომანსა და დრამატულ ნაწარმოებსაც შეიძლება იგავური მნიშვნელობა ჰქონდეს, რომანის მკითხველისა თუ სპექტაკლის მაყურებლისთვის მხატვრული ფანტაზიით შექმნილი ამბავი, პერსონაჟი, სიტუაცია და მოქმედება შეიძლება მისი პიროვნული გამოცდილების ანალოგიური იყოს, თუმცა იდენტური ვერ იქნება. მაგალითად, “მაკბეთის” დადგმას ვუყურებ და ვხედავ კონკრეტულ ისტორიულ პირობებს, რომლებიც მათ მიერვე დატრიალებულ ტრაგედიას ემსხვერპლენ: მაკბეთს თავს ვაძარებ და, ვფიქრობ, რას გავაკეთებდი და ვიერძნობდი მსგავს სიტუაციაში, თუმცა მაინც მაყურებლად ვრჩები, საკუთარი დროისა და სივრცის კუთვნილება ვარ. კლასიკურ იგავს კი ასე ვერ ნაიკითხავ. შეიძლება იგავის გმირს საკუთარი სახელი მოუძებნო (თუმცა, ხშირად, “ერთი კაცი” ან სულაც “კ”-ც საკმარისია) და ისტორიულ-გეოგრაფიული კონტექსტიც კი განუსაზღვრო, თუმცა ამგვარი კონკრეტიკა იგავის მნიშვნელობისთვის მაინც არაარსებითია. თუ მინდა გავიგო იგავის არსი, საკუთარ

ობიექტურ რეალებზე უარი უნდა ვთქვა და სრულად გავაიგივო თავი იმასთან, რასაც ვკითხულობ. ეს “არსი”, ფაქტობრივად, თითოეული მკითხველისთვის განსხვავებულია და, შესაბამისად, კრიტიკოსს არ შეუძლია “სხვებისთვის” მისი განმარტება. ხელოვნებისა და საზოგადოების ისტორიის, ენის და, უფრო მეტიც, ადამიანის ბუნების სიღრმისეული ცოდნა კარგ კრიტიკოსს საშუალებას აძლევს, პიუსასა თუ რომანში დაინახოს რაღაც, რასაც მის გარეშე ვერასდროს მიხვდებოდნენ. მაგრამ როგორც კი იგავის ინტერპრეტაციას შეეცდება, მხოლოდ საკუთარ თავს თუ წარმოაჩენს. ყოველი სიტყვა აღწერს, როგორ იმოქმედა მასზე იგავმა და, ცხადია, ვერ ეცოდინება, რა გავლენა ექნება იგავს სხვებზე. ხანდახან შეიძლება გადაწყდეს ხასიათს, რომელიც “პირდაპირ დიკენსისა თუ შექსპირის” ნაწარმოებებიდან გადმოსულს წაგავს, თუმცა კაფკას პერსონაჟს არასდროს შევხვედრილვარ. მეორე მხრივ, სავსებით შესაძლებელია, კაფკასეული ეპიზოდი გადაგხდეს თავს, მაშინ, როცა შექსპირისეულ ან დიკენსისეულ სიტუაციაში ვერაფრით აღმოჩნდები. ომის წლებში, პენტაგონში გატარებული გრძელი და მომქანცველი დღის ბოლოს, როცა ვალდება შევასრულე და ვრცელი კორიდორების გავ-



ლით სახლისკენ გზას დავადექი, ტურნიკეტთან დარაჯი დამზვდა. "სად მიდიხარ?", მკითხა დარაჯმა. "გარეთ გასვლას ვცდილობ", ვუპასუხე. "უკვე გარეთ ხარ", მომიგო და იმ მომენტში ზუსტად "კ"-სავით ვიგრძენი თავი.

რომანისთვის ან დრამატურგის შემთხვევაში, მისი პირადი ცხოვრებისა და ხასიათის ცოდნა თითქმის არაფერს მატებს მისი ნამუშევრების გააზრებას, თუმცა იგავეების მწერალს რაც შეეხება, ვფიქრობ, ბიოგრაფიულ ინფორმაციას დახმარება შეუძლია - სულ მცირე, უარყოფითი მნიშვნელობით მაინც, რადგან ადამიანს არასწორ ნაკითხვას აარიდებს თავიდან ("სწორი" ნაკითხვა ისედაც ხშირია).

[კაფკას] ბიოგრაფიის ახალ გამოცემაში მაქვს ბროდი აღწერს ჩეხი მწერლის, ბოჟენა ნემცოვას (1820-1862), რომანს "ბეზია". მოქმედება მიმდინარეობს სოფელ რიზენგებირგეში, რომელიც სასახლეს ექვემდებარება. სოფლის მოსახლეობა ჩეხურად საუბრობს, სასახლის მაცხოვრებლები კი - გერმანულად. სასახლის მფლობელი ჰერცოგინია კეთილია, თუმცა, რადგან ხშირად მოგზაურობს, გლეხებს უტიფარი მსახურებისა და გაიძვერა მოხელეების ხროვასთან უნვეთ ურთიერთობა. ჰერცოგინიას წარმოდგენაც არ აქვს, რა ხდება სოფელში. რომანის ბოლოს მთავარი გმირი ქალი სხვადასხვა დაბრკოლებას დაძლევა და პირადად შეხვდება ჰერცოგინიას, რომელსაც სიმართლეს გაუშხელს. ბოლოს ყველაფერი კარგად სრულდება.

ამ ინფორმაციაში განსაკუთრებით საგულისხმოს ის, რომ ნემცოვასთან სასახლის - გოდოლის - მოხელეები მკვეთრად ბოროტ ადამიანებად არიან წარმორჩენილი. ეს ნიშნავს, რომ კრიტიკოსები, რომლებიც კაფკას გოდოლის მკვიდრთ ზეციური ნების განმარტოციტელებლბებად აღიქვამენ, ცდებიან და ერის ჰეროდის ნაკითხვა არსებითად სწორია.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კაფკას გოდოლში გამაგრებულია გნოსტიკური დემონების მთელი გარნიზონი, რომელიც მედგრად ენინაღმდეგება ერთი მოუსვენარი სულის დაულაღავ მცდელობებს. წარმოდგენა არ მაქვს, ღვთაებრიობის კონკრეტულად როგორ იდვას ყვრდნობიან ხოლმე ის ინტერპრეტატორები, რომლებიც გოდოლს "ზეციური კანონისა და ზეციური წყალობის" სამკვიდროდ სახავენ. შეიძლება ითქვას, რომ გოდოლის ოფიცრებს, არათუ სიკეთისადმი სრულიად გულგრილი, არამედ ავსულებიც კი ეთქმით. მათ ბრძანებებსა და მოქმედებებს სიყვარულის, მოწყალების, ქველმოქმედებისა თუ დიდებულების ნიშანწყალიც კი არ ატყვია, ხოლო მათი ყინულოვანი განცენებულობა განცვიფრების ნაცვლად მიშსა და ზიზლს აღძრავს.

დოქტორი ბროდი პირველად აჩვენებს ცნობას, რომელიც, თუ მართალია, უფრო კაფკას რომანისეულს წაგაგვს, ვიდრე ბიოგრაფიულს. კონკრეტულად, ბროდის თქმით, კაფკას ჰყავდა ვაჟი, რომლის შესახებაც არაფერი იცოდა და რომელიც 1921 წელს, შვედი წლის ასაკში, გარდაიცვალა. ამ ამბის გადამონმება შეუძლებელია, რადგან ბავშვის დედა გერმანელებმა 1944-ში დააპატიმრეს და მის შესახებ აღარავის სმენია.

"პროცესისა" და "გოდოლის" ბრწყინვალეების

მიუხედავად, ვფიქრობ, მისი საუკეთესო ნამუშევარი სიცოცხლის უკანასკნელ ექვს წელიწადში შექმნილ თხზულებებში უნდა ვეძიოთ - კრებულში სათაურით "ჩინეთის კედლის მშენებლობაზე". ამ კრებულის საწყარო ისევე მისი ადრეული ნაწარმოებების საწყაროა და, თუმცა მხიარული ნამდვილად არ ეთქმის, ტონები უფრო მსუბუქი და ნათელია. აღარ იგრძნობა სულისშემძვრელი ტკივილისა და იმედგაცრუების განცდა, რომელიც თითქმის გაუსაძლისად მწვავე იყო წინანდელ მოთხრობებში (მაგალითად, "დამსჯელ კოლონიაში"). ყოფა ისევე რთული და დამთრგუნველია, თუმცა პერსონაჟები უფრო მსუბუქად, იუმორით ეგუებიან მის სიმძიმეს.

როგორც წესი, მოთხრობა იღებს და ერთიანად აყირავებს მაძიებელი გმირის ფორმულას. ტრადიციული ძიების მიზანი - პრინციესა, სიცოცხლის წყარო და ა. შ. - გმირისთვის მანამდეც ცნობილია, სანამ მოგზაურობას დაიწყებს. მიზანი შორეულია და გმირმა, ჩვეულებრივ, არც გზა იცის და არც ამ გზაზე მოსალოდნელი დაბრკოლებები. თუმცა, ამბავში ჩნდებიან სხვა არსებებიც, რომლებიც ერთი იციან და მეორეც. ისინი გმირს გზას მისაწვლიან და არიგებენ. ძიების მიზანი ყველასთვის სანუკვარი ან საყოველთაოდ აღიარებული სიკეთეა, თუმცა მხოლოდ ბედის რჩეულს შეუძლია მისი მოპოვება. სამი ძმა რიგგარეშით და დიდი მონდომებით ცდილობს მიზანს მიაღწიოს; პირველ-ორს საკუთარი ქედმაღლობა და ამპარტავენება უშლის ხელს, უმრწემესი კი იმარჯვებს, რადგან კეთილი და თავმდაბალია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ უმცროსი ისევე დარწმუნებულია წარმატებაში, როგორც მისი უფროსი ძმები.

კაფკასულ მოთხრობაში, მეორე მხრივ, გმირს მხოლოდ მისთვის სახასიათო მიზანი აქვს და კონკურენტებიც არ ჰყავს. შემხვედრთაგან ზოგიერთი ეხმარება, თუმცა ბევრად მეტი უშლის ხელს, ზოგიც გულგრილია და, რაც მთავარია, არცერთს არ აქვს წარმოდგენა, რომელია სწორი გზა. როგორც [კაფკას] ერთი აფორიზმი ამბობს: "არსებობს მიზანი, მაგრამ არა გზა; რასაც გზას ვუნოდებთ, მხოლოდ მერყეობაა". კაფკას გმირი არათუ დარწმუნებული არ არის წარმატებაში, არამედ თავიდანვე იცის, რომ მისი ძიება კრახით დასრულდება - საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, ისედაც განწირული უსასარლო და უსასრულო ტიჯავისთვის. მართლაც, მიზნის მიღწევის სურვილი იმას კი არ მონშობს, რომ ერთ-ერთი რჩეულთაგანია, არამედ იმას, რომ განსაკუთრებული წყევლა ადევს.

"იქნებ სულაც მხოლოდ ერთი პირველცოდვა არსებობს: მოუთმენლობა, რადგან მოუთმენლობის გამო გამოვკაცდევს სამოთხიდან და მოუთმენლობის გამო ვერ ვბრუნდებით უკან."

თეორიულად არსებობს ბენდინერების მშვენიერი შესაძლებლობა: კი არ ეძიებდე, არამედ ირწმუნო საკუთარ თავში რაღაც ისეთი, რისი ხელყოფაც შეუძლებელია."

მაძიებელი გმირების უმეტესობამ, როგორც წესი, იცის, რა გააკეთოს და მხოლოდ ერთადერთი პრობლემა აქვს: "შეძლებ კი?" ოდისეცხმა იცის,

რომ სირინოზების სიმღერას არ უნდა მოუსმინოს, წმინდა გრაალის მაძიებელმა რაინდმა იცის, რომ უბინო უნდა დარჩეს, დეტექტივმა იცის, რომ სიმართლე სიყალბისგან უნდა გამოიჯნოს. მაგრამ "კ" კითხულობს: "რა გავაკეთო?" არც სიკეთესა და ბორბტებას შორის არჩევანის გაკეთება უნევს, რომ ცდუნდეს მაინც და არც თავად მოქმედება გვრის იმგვარ სიამოვნებას, რომ უდარდელი იყოს. სრულიად დარწმუნებულია, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რასაც გააკეთებს, თუმცა არ იცის, კონკრეტულად რა მოიმოქმედოს. უბრალოდ არასწორი ვარაუდიც კი ისე დატანჯავს, როგორც არასწორი არჩევანის შედეგი და, მეტიც, პასუხისმგებლობის მთელი ტვირთიც კი დაწევება. თუკი სხვებისგან მიღებული მითითებები და რჩევები აბსურდულად და წინააღმდეგობრივად ჩათვალა, მაინც ვერ მიანერს სხვებს ბორბტებას და ბრალს; ესეც შეიძლება საკუთარი ბრალეულობისა და სიავის შედეგი იყოს.

ტრადიციულ მაძიებელ გმირს არეტე, განსაკუთრებული უნარი აქვს - ხან საყოველთაოდ ცნობილი, როგორც ოდისესს, ხანაც კი ფარული, როგორც ზღაპრის გმირს; პირველ შემთხვევაში ძიების წარმატებით დასრულებს გმირს დიდებას მატებს, ხლო მეორეში წარმოჩინდება, რომ ერთი შეხედვით არარა დიადი გმირი ყოფილა: გმირად გახდომა, ტრადიციული გაგებით, ნიშნავს საკუთარი გამორჩეული ნიჭისა და საქმეების წყალობით შეიძინო უფლება, თქვა "მე". მაგრამ "კ" ისედაც არის "მე" და სწორედ არსებობის ამ ცალკეულ ფაქტში - ნიჭისა და საქმეების მიუხედავად - ძევს მისი დანაშაულის შეგრძნება.

პროცესის "კ" უდანაშაულო რომ იყოს, მაშინ "კ" აღარ იქნებოდა და უსახელო გახდებოდა, როგორც ის ცნობილი ფავნი "სარკისმილმთიდან". "გოდოლის" "კ" ასობგერაა, რომელსაც უნდა, რომ სიტყვად იქცეს, მინის განმგებლად, ანუ, ერთი სიტყვით, როგორც სხვა ყველას, პიროვნული არსის შექმნა სურს, მაგრამ სწორედ ამის საშუალებას არ აძლევენ.

მაძიებელი გმირის ტრადიციული სამყარო შეიძლება უამრავ საფრთხეს მოიცავდეს, თუმცა ღია მაინც არის: გმირს შეუძლია იქით წავიდეს, საითაც მოისურვებს. მაგრამ კავკას სამყარო დახურულია და, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის სრულიად დაცლილა სენსორული მახასიათებლებისგან, მაინც მძაფრად ხელშესახება. ნივთები და სახეები ბუნდოვანია, მაგრამ მკითხველსაც კი გუდავს მათი სულისშემზოთველობა. არ მახსენდება სხვა რომელიმე წარმოსახვითი სამყარო, სადაც ყველაფერი ასე მძიმეა. ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი ძალას გაცლის. გმირი გრძობს, რომ ტყვეა და გაქცევას ცდილობს, თუმცა, იქნებ, პატიმრობა შესაფერისი მდგომარეობაა, რომლისთვისაც შეიქმნა, იქნებ თავისუფლებამ გაანადგუროს?!

"რაც უფრო მეტ ცხენს შეაბამ ეტლში, მით უფრო სწრაფად ივლი საძირკვილიდან ლოდს ვერ ამოგლეჯ - ეს შეუძლებელია - მაგრამ ის კი შეიძლება, ტკაცუნით დაწყვიტო ღვედები და მერე გზა გელის, მხიარული და უდარდელი".

მაგალითად, "ბუნავის" მთხრობელი გმირი გაურკვეველი ჯიშის ცხოველია, რალაც თხუნელსა-მაგვარი არსება და მხოლოდ ის ვიცით, რომ ხორცისმჭამელია. თავისთვის ცხოვრობს, მენყვილის გარეშე და არასდროს ხვდება საკუთარი სახეობის სხვა ცხოველს. ასევე, მუდმივად სდევს შიში, რომ შეიძლება დაედევნონ და თავს დაესხან სხვა ცხოველები: "აურაცხელი მტერი მყავს", ამბობს იგი - თუმცა ჩვენ ვერასდროს ვიგებთ, როგორები შეიძლება იყვნენ ეს მტრები და საბოლოოდ ვერცერთს ვერ ვხვდებით. მთავარი გმირი შეკვირობილია საკუთარი ბუნავით, რომელიც მთელი მისი ცხოვრების საქმეა. შეიძლება, როცა მისი თხრა დაიწყოს, ბუნაციტადელის იდეა უფრო თავშესაქცევი იყო, ვიდრე სერიოზული, მაგრამ რაც უფრო დიდდება და უმჯობესდება ეს ბუნავი, უფრო და უფრო აწვადებს კითხვა: "ნუთუ შესაძლებელია სრულიად აუღებელი ბუნავის აგება?" ეს ფიქრები სატანჯველად ექცევა, რადგან ვერასდროს იქნება დარწმუნებული, რომ არ არსებობს სიფრთხილის სხვა ისეთი ზომა, რომელიც არ გათვალისწინებულია. მეტიც, ბუნავი, რომლის აგებასაც ცხოვრება შეაღია, ექვირფასება და ისევე უნდა დაიცვას, როგორც საკუთარი თავი.

"ჩემი ერთ-ერთი საყვარელი გეგმა ითვალისწინებდა ციტადელის გამოყოფას იმ მიწისაგან, რომელიც ვარს აკრავს, - ესე იგი ციხესიმაგრის კედლების სისქე დაახლოებით ჩემი სიმალის ტოლი უნდა ყოფილიყო, - ციტადელის ირგვლივ, კედლების ზომის შესაბამისად, [დაახლოებით იმავე სივრცის] ცარიელი სივრცის შექმნას... ეს ცარიელი სივრცე ყოველთვის და, არცთუ უსაფუძვლოდ, ჩემს ულამაზეს სამყოფლად წარმომედგინა. ამ თაღზე ჩამოკიდება, ასევე, ქვემოთ ჩამოსრიალება, თავდაყირა გადმოშვება - ფეხქვეშ კვლავ მყარი ნიადაგის შეგრძნება - ყველა ამ გასართობი ილეთის შესრულება პირდაპირ ციტადელის კორპუსზე და არა საკუთრივ მის სივრცეში; დაე, შემეძლოს გავერიდო ციხესიმაგრეს, თვალები დავასვენო, მასთან შეხედონ სისხარულის განცდა უფრო და უფრო გადაედო; და მაინც შევიწინაწინო ის, ბრჭყალებით ჩაკეტიდო ამ ბაქანს..."

მოთხრობის გმირი იწყებს ფიქრს, იქნებ, უკეთესი იყოს, საიდუმლო შესასვლელთან ახლოს ბუჩქებში დავიმალო და ვუდარაჯო, რომ ასე უკეთ დავიცვაო. ერთი პირობა ნდობით აღჭურვილი პირის მოქმედებასაც კი გადაწვევს, რომ დარაჯის მოვალეობაში შევიხიროს, თუმცა ამ აზრსაც უკუაგდება.

"თუ ის არავითარ საპასუხო სამსახურს არ მომთხოვს, ჩემი ბუნავის დათვალეირებას მაინც არ მოინდომებს? ეს კი - ვილაცის შემოშვება საკუთარ საცხოვრისში - უაღრესად უსიამოვნო იქნებოდა. ბუნავი ჩემთვის ავიშენე და არა სტუმრებისთვის. ვფიქრობ, არ შემოვუშვებდი... საერთოდაც, ასე ვერ მოვიქცეოდი და, აი, რატომ: ის ამ მართო უნდა ჩამქვე და მიწის ქვეშ, რაც სრულიად წარმოუდგენელია, ან ერთდროულად უნდა ჩავმძვრალიყავით; ორივე შემთხვევაში



დავკარგავდი იმ სარგებელს, რომელსაც მისგან ველოდი - კერძოდ, დაკვირვება ეწარმოებინა გარემოზე ჩემი ჩასვლის შემდეგ. ან კი როგორ უნდა ვენდო? ... შედარებით ადვილია, ვილაცი გვეუროდეს, როცა მას უთვალთვალე კიდეც, ან იმის საშუალება მაინც გაქვს, თვალი არ მოაცილო; ალბათ ისიც კი შესაძლებელია, ვინმე შორს მყოფს ენდო, მაგრამ არა მაშინ, როცა ბუნების შიგნით, ესე იგი სხვა სამყაროში ხარ, რაც, ჩემი აზრით, შეუძლებელია.”¹

ერთ დღიას სუსტი სტვენისმავარი ხმა აღვიძებს. ვერ ხვდება, რა არის ან საიდან მოდის. შეიძლება ქარი იყოს ან იქნება მტერია. ამ მომენტიდან მოყოლებული ისტერიული შფოთი იპყრობს. იცის თუ არა უცხო მხეცმა, თუკი საერთოდ მხეცია, მისი არსებობის შესახებ და თუ კი, კონკრეტულად რა იცის. ამბავი ისე წყდება, რომ არაფერი ირკვევა. ედვინ მიუირის ვარაუდით, ამბავი უხილავი მტრის გამოჩენით და მთავარი გმირის დანებებით დასრულდებოდა. ეჭვი მეპარება, ასე ყოფილიყო. ამ

იგავის მთელი არსი ის უნდა იყოს, რომ მკითხველმა ვერც ვერასდროს გაიგოს, აქვს თუ არა მთხრობელის სუბიექტურ შიშს ობიექტური საფუძველი.

რაც უფრო მეტად აღგვაფრთოვანებს კაფკას შემოქმედება, მით უფრო მეტად გვმართებს დაფიქრება მის უკანასკნელ სურვილზე - ყველა ნაწარმოები განადგურებულიყო. ერთი შეხედვით, შეიძლება ცდუნებამ გძლიოს და ამ თხოვნაში გამოაგნებელი პატივმოყვარეობა ამოიკითხო, თითქოს ავტორი თავის თავს ეუბნებოდეს: “არ შემეფერება, დავნერო ისეთი რამ, რაც არასრულყოფილია. თუმცა, რაოდენ ბრწყინვალეც არ უნდა იყოს, სრულყოფილი ნაწერი არ არსებობს. მაშასადამე, დაე, განადგურდეს ყველაფერი, რაც დამინერია, როგორც ჩემთვის არასაკადრისი”. მაგრამ ის, რასაც დოქტორი ბროდი და სხვა მეგობრები მოგვითხრობენ კაფკას, როგორც პიროვნების შესახებ, ამ განმარტებას ერთიანად აქარწყლებს.

ჩანს, რომ კაფკა არ ფიქრობდა თავის თავზე, როგორც ხელოვანზე ამ სიტყვის ტრადიციული გა-

¹ “ბუნების” ორივე ნაწყვეტი აღებულია რუსუდან ღვინფაძის თარგმანიდან. ფრანც კაფკას მოთხრობების სრული კრებული. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2020.

გებით, რაც გულსხმობს ერთ საქმეს შენირულობას, როცა ადამიანის პიროვნული ყოფა მეორეხარისხოვანი, მისივე ხელოვნების უბრალო დანამატია. თუკი ოდესმე არსებობდა ადამიანი, რომელზეც შეიძლება ითქვას, რომ "შოიდა და სწყუროდა ნესიერება", ეს იყო კაფკა. შეიძლება, დროთა განმავლობაში საკუთარი შემოქმედება ღმერთის ძიების პიროვნულ მეთოდად დასახა. "ნერა", - აღნიშნავს იგი, - "ლოცვის თავისებური ფორმაა", ხოლო გულმხურვალე ლოცვისას ნებისმიერი მესამე ზედმეტია. კიდევ ერთგან, კაფკა მწერლობის მიზანს ასე აღწერს:

"რალაც იმდაგვარი, როცა მაგიდა ვაქვს ასაწყობი დიდი ოსტატობითა და მეთოდური სიზუსტით და თან არაფერს აკეთებ - ის კი არა, რომ თქვან, "მაგიდის აწყობა მისთვის არააფერიო", არამედ - "მაგიდის აწყობა მისთვის მართლაც მაგიდის აწყობაა, მაგრამ თან არაფერია", რითაც აწყობის პროცესი უფრო გაბედული, თავდაჯერებული, ნამდვილი და, თუ გნებავთ, კიდევ უფრო უაზრო ხდება."

თუმცა, რა მიზეზითაც უნდა ნდომებოდა კაფკას საკუთარი ნაწარმოებების განადგურება, მისმა ორჭოფობამ, სულ მცირე, მკითხველი უნდა დააფიქროს იმაზე, თუ როგორ ხედავდა და კითხულობდა თავად კაფკა საკუთარ ტექსტებს. შეიძლება ჩეხი ავტორი იმ მწერალთაგანია, რომლებსაც ბედმა არასწორი მკითხველი არგუნა. კაფკა აფრთხობს მკითხველს, რომელსაც მისი შემოქმედება ყველაზე მეტად არგებს; იმავდროულად კი, მისი ნაწარმოებების გავლენა არასასურველი და, შეიძლება, საზიანოც კი აღმოჩნდეს მათთვის, ვისაც კაფკა ხიბლავს.

მე უფრო მგონია, რომ კაფკა უნდა იკითხოს ფიზიკურად და მენტალურად სრულიად ჯანსაღმა ადამიანმა, რათა სკრუპულოზური თვითჩაკვირვების ნებისმიერი ცდუნება უგულვებლყოს, როგორც უბრალო პათოლოგიური შემოტევა. ცუდ გუნებაზე მყოფი, დიდი ალბათობით, უნდა ერიდოს კაფკას, რადგან თუკი ინტროსპექციას ბედნიერი ცხოვრებისაგან თანაბარი ლტოლვა არ დაჰყვება, როგორც თავად კაფკას შემთხვევაში იყო, ყველაფერი ძალიან მარტივად დეგრადირდება საკუთარი ცოდვითა და სისუსტით ნარცისულ და ლაჩრულ აღფრთოვანებამდე.

შეუძლებელია, ბოროტებასა და ტანჯვაზე სერიოზულად მოფიქრალი ადამიანი ერთხელ მაინც არ გაიტაცოს გნოსტიკურ-მანიქეველურმა დაშვებამ, რომ სამყარო შინაგანად და არსებობდა ბოროტია, რის აღიარებასაც კაფკას ზოგიერთი ნაწარმოები ასე სამიზად უახლოვდება.

"არსებობს მხოლოდ სულიერი სამყარო; რასაც ფიზიკურს ვეძახით, არის ბოროტება სულიერ სამყაროში.


ფიზიკური სამყარო კი არ არის ილუზია, არა-

მედ მხოლოდ მისი ბოროტება, რომელიც, სიმართლე ითქვას, გვიქმნის კიდევ წარმოდგენას ფიზიკურ სამყაროზე."


კაფკას ცხოვრება და შემოქმედება ამტიციებს, რომ შინაგანად გნოსტიკოსი არასდროს ყოფილა, რადგან ჭეშმარიტი გნოსტიკოსი ყოველთვის გარკვეული მახასიათებლების მიხედვით შეიცნობა. საკუთარ თავს სულიერი ელიტის ნაწილად მიიჩნევს და სძულს ყოველგვარი მინიერი ლტოლვა თუ სოციალური ვალდებულება. საკმაოდ ხშირად, სექსუალურ ცხოვრებაში ანარქიული აღვირაქსნილობის უფლებასაც აძლევდა საკუთარ თავს იმ მიზეზით, რომ სხეული მაინც განწირულია და ზნეობრივი კანონები მას არ ეხება.

არც დოქტორი ბროდის პრიზმით დანახული კაფკა და არც რომელიმე მისი პერსონაჟი არ აელენს სულიერი სნობიზმისკენ მიდრეკილებას; არც ის ეტყობათ, რომ მათთვის სასურველი ცხოვრების უზუნაეს ფორმებს სადმე სხვა სამყაროში ეძიებდნენ; ხილულსა და მიღმიერს (ამსამყაროსეულსა და სხვასამყაროსეულს) შორის მიჯნა არ ნიშნავს ორი სხვადასხვა სამყაროს არსებობას, არამედ მხოლოდ იმას, რომ ადამიანს არ ძალუძს ჭეშმარიტების სრულად შემეცნება.

ვინ იცის, იქნებ კაფკამ წინასწარ განჭვრიტა ბერი მისი თავყვანისმცემლის ბუნება, როცა საკუთარი ნაწარმოებების განადგურება დაიბარა.



2 ორიგინალში, უ. ჰ. ოდენი ფიზიკურად და მენტალურად "ევეპტიკურ" (მონელების უნარის მქონე) მდგომარეობას ახსენებს, რაც ორი მნიშვნელობით შეიძლება გავიზოროთ: 1) ფიზიკური და მენტალური სიჯანსაღე; და 2) კაფკას პროზის სიმძიმის "მონელების", მისი ჯანსაღად აღქმის უნარი.



დეიმონ გალგუტი
პირობა

გიორგი ხანაიშვილის თარგმანი

ლიტერატურის
ბიბლიოთეკა

The
Booker
Prizes



წიგნის სანახავად
დასაკანერეთ QR კოდი

**სამხრეთაფრიკელი დრამატურგისა და რომანისტის
ამ შთაბეჭედავმა ტექსტმა 2021 წელს ბუკერის
საერთაშორისო პრემია მოიპოვა.**

**„პირობა“ სამხრეთ აფრიკის ისტორიასთან ერთად
ავტორის უნიკალურ წერის სტილსაც გაგაცნობთ,
რომლის გამოც გალგუტს ხშირად უილიამ
ფოლკნერსა და ვირჯინია ვულფს ადარებენ.**



პალიტრა L
საბეჭდო

www.palitra.l.ge

facebook.com/Palitra.L.Publishing



სულაკაურის წიგნის მაღაზია



SULAKAURI BOOKSHOP



წიგნები მთელი ოჯახისთვის

ჩვენი ფილიალები

„სულაკაურის წიგნის მაღაზიების“ მისამართები:

- ქავჭავაძის გამზირი №215
- ცინცაძის ქუჩა №22
- „გალერია თბილისი“
- „სითი მოლი საბურთალო“
- „ვლდანი მოლი“
- „ისტ ფონთი“
- „აქსის თაურსი“
- „რუსთავი მოლი“
- „ბუგდინი მოლი“
- ქუთაისი, შარტავას ქუჩა №22

- ☎ 032 291 11 65
- @ INFO@SULAKAURI.GE
- 📍 SULAKAURI.GE
SULAKAURI.EDU.GE
- 📘 fb.com/sulakauripublishing
fb.com/groups/samastsvle
- © SULAKAURI_PUBLISHING

შეიძინეთ წიგნები საქართველოს ნებისმიერი წერტილიდან
SULAKAURI.GE